


ილია ჭავჭავაძის

სახელმწიფო უნივერსიტეტი



# ინფორმაციული წიგნიერება

ბიბლიოთეკათმსოფნეოზა და  
საინფორმაციო ტექნოლოგიები

სალექსიო კურსი

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სახსოვრად ეძვანს!

ამ წიგნის შედგენაში ჩემი უციხე წვლილს უხევი.

ბაი პეტრევიძე

14 აპრილი, 2008 წ.

# ინფორმაციული წიგნიერება

ბიბლიოთეკათმცოდნეობა და საინფორმაციო ტექნოლოგიები

სალექციო კურსი



ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი — 2009





სალექციო კურსი აგებულია სხვადასხვა სპეციალობის პირველკურსელთათვის „ინფორმაციული წიგნიერების“ სასწავლო პროგრამის მიხედვით. მისი მიზანია, დაეხმაროს სტუდენტებს გამომუშაონ სისიტემური მიდგომა და პრაქტიკული ჩვევები ბიბლიოთეკასა და არქივში მუშაობისა და ელექტრონულ საშუალებებში (მონაცემთა ბაზები, ინტერნეტი) ინფორმაციის ძიებისთვის. ყურადღება ეთმობა ინფორმაციის ძიებისთვის მოთხოვნილების გააზრებას და ფორმალიზაციას, ადექვატური წყაროების და ძიების მეთოდების გამოყენებას და ძიების ტექნიკას.

მისი გამოყენება შესაძლებელია აგრეთვე, როგორც ბიბლიოთეკათმცოდნეობის სასწავლო კურსის შესავალი.

შემდგ. ინგა ფილაური-ლორია  
რედ. ა. ლორია

კურსის შედგენაში მონაწილეობდნენ: თ ბჟალავა, გ, თაყნიაშვილი,  
მ. კალანდარიშვილი, ა. ლორია, მ. მიქაბერიძე, ნ. მჭედლიშვილი,  
ლ. ყაულაშვილი.

რეცენზენტი ი. ღარიბაშვილი

© 2008 ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ilia Chavchavadze State University

ISBN 978-99940-0-524-6

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

11 26.9.51

## შინაარსი

შესავალი.....	5
სამომლითოეთუთ სისტრუქტურა.....	7
წიგნის ისტორია.....	8
მსოფლიოსა და საქართველოს დიდი მიმლითოეთუთები.....	16
ტრანსპარენციის უზრუნველყოფის მიმლითოეთუთ.....	17
უცხოეთში მიმლითოეთუთები საქართველოში.....	25
ულოქტრანსპარენციის მიმლითოეთუთები.....	27
აბდოეი სანტონტრანსპარენციის სივრცეში.....	27
სამომლითოეთუთ თუნდრეში.....	32
სამომლითოეთუთ-მიმლიტრანსპარენციის ულასიოეთუთების.....	37
და სამოქმედ სისტრუქტურა.....	37
მიმლიტრანსპარენციის რანაწრები.....	44
საკრედიტოთუთ ალტრანსპარენციის ნიშნუთუთები.....	48
სამომლითოეთუთ მონსარტრანსპარენციის.....	49
სანტონტრანსპარენციის-მიმლიტრანსპარენციის და ინტონტრანსპარენციის	
ტრანსპარენციის მიმლითოეთუთში.....	54
მიმლიტრანსპარენციის და ულოქტრანსპარენციის სანტონტრანსპარენციის სამოქალაქოთუთები.....	59
ინტონტრანსპარენციის მიღრემის პირთრემი და წინასწარტი ანალიტი.....	68
ინტონტრანსპარენციის მიღრემის მიღრემების ტრანსპარენციის.....	71
მონტრანსპარენციის ინტონტრანსპარენციის სანტონტრანსპარენციის სანტონტრანსპარენციის.....	75
მიღრემული ინტონტრანსპარენციის მიღრემები, დამრემრემები მიღრემები.....	79
მასალის დამრემრემების მიღრემები.....	81
საკრედიტოთუთ ულოქტრანსპარენციის დაცვა ინტონტრანსპარენციის.....	86
მასალის ტრანსპარენციის დრემები.....	86
მიმლიტრანსპარენციის მიმლითოეთუთებისა და	
მიმლიტრანსპარენციის სივრცის ტრანსპარენციის.....	92
პრადტრანსპარენციის დამრემრემები.....	93
ლიტრანსპარენციის.....	95
ა) მონტრანსპარენციის ტრანსპარენციის.....	95
ბ) სანტონტრანსპარენციის ლიტრანსპარენციის -.....	96
ინტონტრანსპარენციის, ლიტრანსპარენციის, ტრანსპარენციის.....	96

## მუსავალი

კაცობრიობის ისტორიის ადრინდელ პერიოდშივე აუცილებელი გახდა ინფორმაციის მოპოვება, მისი გადაცემა, მოხმარება და შენახვა. ამისთვის სხვადასხვა საშუალებებს იყენებდნენ. იცვლებოდა ინფორმაციის მოპოვების მეთოდებიც. ყოველივე ამას წინააღმდეგობა უწევდა ადამიანი ქმნიდა.

რა არის წინაინერტობა? ამ სიტყვის მნიშვნელობა სხვადასხვანაირად ესმით, მას სხვადაგვარად განმარტავენ. ზოგს მიაჩნია, რომ წინაინერტობა, უმთავრესად, კითხვის სიყვარულს გულისხმობს, ზოგისთვის იგი, უფრო რთული შინაარსის მატარებელია: წინაინერტობა ის, ვისაც წაკითხულის ანალიზის, მისი გააზრების და გამოყენების უნარი შესწევს. ზოგის აზრით კი წინაინერტობა განათლებულობას გულისხმობს, მისი არსის შემადგენელი ნაწილია, რაც მხოლოდ და მხოლოდ სწავლის შედეგად მიიღწევა. ზოგიერთი ფიქრობს და არცთუ იშვიათად, რომ წინაინერტობა ნიშნავს სპეციალობის თეორიის ღრმად დაუფლებასა და მის პროფესიული სრულყოფისთვის გამოყენებას. ზოგიერთ ენაში წინაინერტობა სულაც არ უკავშირდება „წინაინერტობის“ ცნებას, მაგრამ ყველგან ერთი შინაარსის მატარებელია. ჩვენში წინაინერტობა, უპირველესად, განათლებულობასთან ასოცირდება. წინაინერტობაში იგულისხმება არა უბრალოდ კითხვა, არამედ წაკითხულის გააზრების, გაანალიზებისა და გამოყენების უნარ-ჩვევების ერთობლიობა, ანუ ის, რაც განათლებულ ადამიანს მოეთხოვება. წინაინერტობა ადამიანი და განათლებული ადამიანი სინონიმებად აღიქმება. რა თქმა უნდა, წინაინერტობა ადამიანი კარგი მკითხველია და თანამედროვე მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, მხოლოდ წინაინერტობა მიჯაჭვული როლია, იგი ინფორმაციას მხოლოდ ბექდური პროდუქციის სახით კი არ ეძიებს, არამედ საამისოდ იყენებს ელექტრონულ საძიებო სისტემებს, ზეპირ თუ წერილობით ინფორმაციას, კომუნიკაციის საშუალებებს, აუდიოვიზუალურ ტექნიკას. ერთი სიტყვით, თანამედროვე მკითხველი, რომელიც მრავალფეროვან საშუალებათა გამოყენების უნარით გამოირჩევა, ინფორმაციის მოძიებებს, ნებისმიერი წყაროდან მისი შერჩევის, დამუშავებისა და გამოყენების უნარს გულისხმობს. ბიბლიოთეკის საინფორმაციო რესურსების საფუძველზე ყალიბდება და ვითარდება მეცნიერების სხვადასხვა დარგი. ბიბლიოთეკა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელია. ის საუკეთესო ტრადიციების, ლიტერატურის, მშობლიური ენის შენარჩუნებასა და ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ინფორმირებული საზოგადოებაში კი, ძირითად რესურსად ინფორმაცია მოიაზრება. ეს არის საზოგადოება, სადაც უმრავლესობა ინფორმაციის მიღებაზე, დამუშავებაზე, გადაცემაზე, შენახვასა და გამოყენებაზეა ორიენტირებული. ამგვარად, შეიძლება ჩამოვყალიბოთ ინფორმაციული წინაინერტობის 7 კრიტერიუმი, რომლის საფუძველზეც შევძლებთ. ინფორმაციულად წინაინერტობა ადამიანის განსაზღვრას შევძლებთ. ინფორმაციულად წინაინერტობა ის ადამიანი, რომელსაც დამოუკიდებლად შეუძლია:

- განსაზღვროს, როდის, რა სახის და სიღრმის ან დროის ინფორმაცია ესაჭიროება.
- განსაზღვროს, რა სახის წყაროებში უნდა მოიძიოს ეს ინფორმაცია.
- განსაზღვროს მოთხოვნილების შესაბამისი წყაროებისა და ძიების მეთოდების გამოყენება.
- მოიძიოს ინფორმაცია.
- დაამუშაოს, გააანალიზოს და „ცოდნის საკუთარ ბანკში შეინახოს“ ძიების შედეგები.
- ოპტიმალურად გამოიყენოს მიღებული ინფორმაცია და ცოდნა.
- გააანალიზოს ინფორმაციის წარმოების, მიღებისა და გამოყენების ეკონომიკური, სოციალური, იურიდიული, ეთიკური მხარეები.

## სამიშლითოთო სისტემა

საბიბლიოთეკო სისტემა გულისხმობს ქვეყანაში არსებულ ბიბლიოთეკათა ერთობლიობას, რომელიც საბიბლიოთეკო ქსელისაგან შექმნილი ნაწილებისაგან შედგება. ქსელი წარმოადგენს ბიბლიოთეკების გეგმაზომიერ ერთობას იმის მიხედვით, თუ ვის გამგებლობაში არიან ისინი, რომელი ორგანოა ხელმძღვანელი რგოლი, ვინ აფინანსებს მათ. არსებობს შემდეგი ძირითადი ტიპის ქსელები: **საჯარო (მასობრივი) ბიბლიოთეკები** (საბავშვო და ახალგაზრდობის ბიბლიოთეკების ჩათვლით), **სამეცნიერო-სასწავლო ბიბლიოთეკები** (უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო ორგანიზაციების ბიბლიოთეკები), **სასკოლო ბიბლიოთეკები** (ყველა სახის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ბიბლიოთეკები) და **სპეციალიზირებული ბიბლიოთეკები** (სახელმწიფო ორგანოების, პარლამენტის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ცალკე არსებული სამეცნიერო ან ტექნიკური საზოგადოებების და სხვა ბიბლიოთეკები). განსაკუთრებულ როლს ასრულებენ **ეროვნული ბიბლიოთეკები**, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ქვეყანაში გამოცემული ყველა ძირითადი პუბლიკაციის შეგროვებასა და მათი „ეროვნულ არქივში“ დაცვაზე. საერთოდ, საბიბლიოთეკო ქსელი აგებულია ორი **პრინციპით**: **ტერიტორიული და უწყებრივი (საწარმოო)**. ბიბლიოთეკათა ქსელის ჩამოყალიბება ტერიტორიული ნიშნით განსაზღვრულია ნორმატიული აქტებითა და საერთაშორისო რეკომენდაციებით. ეს ნიშნავს, რომ თითოეული დასახლებული პუნქტის მცხოვრები უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამა თუ იმ ფორმის საბიბლიოთეკო მომსახურებით. **მეორე, საწარმოო, ანუ უწყებრივი** იმას ნიშნავს, რომ მათი ხელმძღვანელი რგოლები — უწყების უმაღლესი ორგანოება: სამინისტროები, კომიტეტები თუ გაერთიანებები, სხვადასხვა ორგანიზაციები და სახელმწიფო საწარმოები. ამ ქსელში ამოცანებისა და დანიშნულების მიხედვით შემდეგი სახის ბიბლიოთეკები გამოიყოფა: 1. სამეცნიერო-უნივერსალური; 2. სამეცნიერო-დარგობრივი; 3. სასწავლო (უმაღლესი სკოლების, საჯარო სკოლების); 4. სპეციალიზებული (უსინათლოთა, სკოლა-ინტერნატების, ინვალიდთა, კერძო ბიბლიოთეკები და სხვ.).

საქართველოს საბიბლიოთეკო ქსელის ჩამოყალიბება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო ბექდური წიგნის მომრავლებასა და სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკების გაჩენასთან ერთად.

საქართველოს საბიბლიოთეკო კანონის მიხედვით (1996), სისტემა შედგება სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკებისაგან, რომლებიც მოიცავენ მთელი საქართველოს როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო და საუწყებო ბიბლიოთეკათა ქსელებს (მუხლი 12), მათ შორის, ეროვნულ, სამეცნიერო (უნივერსალური და დარგობრივი), ტექნიკურ, სამეცნიერო-სასწავლო, მასობრივ (საჯარო), საბავშვო, სასკოლო და სპეციალიზებულ ბიბლიოთეკებს.

ბიბლიოთეკის განსაკუთრებული სახეა **საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა** — უნივერსალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც საქართველოს პარლამენტს ექვემდებარება. მისი ფუნქციები, ამოცანები და პრიორიტეტები განსაზღვრულია სპეციალური კანონით (1997). ეროვნული ბიბლიოთეკა წარმოადგენს ეროვნულ წიგნსაცავს. ამიტომ იგი იღებს ჩვენს ქვეყანაში გამოცემული ბექდვითი პროდუქციის სავალდებულო ეგზემპლარებს, ახორციელებს სრულ კომპლექტაციას როგორც მიმდინ-

არე, ისე რეტროსპექტული მასალით, თავს უყრის არა მარტო ჩვენს ქვეყანაში გამოცემულ ლიტერატურას, არამედ ყველაფერს, რაც ამ ქვეყნის ენაზე ან ქვეყნის შესახებ გამოდის. ამავდროს, ეროვნული ბიბლიოთეკა დიდი მოცულობით იძენს როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ გამოცემულ უცხოურ ლიტერატურას.

80-იანი წლების დასაწყისში, მანამდე დამოუკიდებლად არსებული მასობრივი ბიბლიოთეკების ნაცვლად, შეიქმნა ცენტრალიზებული სისტემა (ძირითადი სახელმწიფო ქსელი), რომელიც დღემდე მოქმედებს. ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის სტრუქტურა ტერიტორიულ პრინციპზეა აგებული და ცენტრალური ბიბლიოთეკისა და დაქვემდებარებული ბიბლიოთეკა-ფილიალებისაგან შედგება. ყოველ ადმინისტრაციულ ერთეულში სარაიონო ბიბლიოთეკის ბაზაზე შექმნილია სისტემის ცენტრალური ბიბლიოთეკა (ცბ), ხოლო რაიონის სხვა მასობრივი ბიბლიოთეკები, საბავშვო ბიბლიოთეკების ჩათვლით, ცბ-ს ფილიალებად ითვლება და ადმინისტრაციულად მას ექვემდებარებიან (ამჟამად ეს სისტემა რეფორმების სტადიაშია).

ცენტრალური ბიბლიოთეკა რეგიონის უმათავრეს ბიბლიოთეკას წარმოადგენს. მას მრავალმხრივი, უნივერსალური ფონდი აქვს, ქმნის ცენტრალურ საინფორმაციო-საძიებო აპარატს, რომელსაც ცბ-ს ყველა მკითხველი იყენებს. მისი მოვალეობაა, არა მარტო ფილიალების მუშაობის ორგანიზაცია, არამედ მკითხველის მომსახურება, საცნობარო-ბიბლიოგრაფიული პროცესების რეგულირება.

მსოფლიოს ქვეყნებში ბიბლიოთეკათა ტიპების არაერთგვაროვანი დაყოფა არსებობს — ყველა ქვეყანას თავისებური, ადგილობრივი ტრადიციებისა და მოთხოვნილების მიხედვით ჩამოყალიბებული ბიბლიოთეკების სახეები და ქსელი აქვს. ქვეყნის საბიბლიოთეკო სისტემაში გარკვეული, ერთგვარად გამოცალკეებული, ადგილი აქვს **უცხოეთის** საელჩოების, ორგანიზაციების, ფონდებისა და ოფისების ბიბლიოთეკებს, რომელთა ამოცანები და მიზნები გარკვეულწილად გამორჩეულია.

## წიგნის ისტორია

წიგნთმცოდნეობა და წიგნის ისტორია შედარებით ახალი დისციპლინაა, რომელიც წიგნთმცოდნეობითი საგნების კომპლექსში შედის. მისი მიზანია წიგნის წარმოშობის, თანამედროვე მდგომარეობისა და მისი გავრცელების ისტორიის შესწავლა. წიგნის ისტორია ხელს უწყობს საზოგადოებაში კულტურისა და განათლების გავრცელებას. წიგნთმცოდნეობა კი სწავლობს ხელნაწერი და ბეჭდური წიგნის წარმოშობასა და განვითარებას.

წიგნი, როგორც დამოუკიდებელი შესწავლის საგანი, დიდი ხანი არ არის, რაც მეცნიერთა ყურადღებას იპყრობს. ადრეული შრომები ეხებოდა ძირითადად წიგნის მხატვრულ ბუნებას (მის გაფორმებას, ქალაქის ხარისხს და სხვ.), იკვლევდა ცალკეულ მბეჭდავთა ბიოგრაფიებს, მაგრამ უყურადღებოდ რჩებოდა წიგნის სოციალური და კულტურული ღირებულების, მის წარმოებაში ჩაბმულ ადამიანთა, წიგნის ცენზურის, დენის და სხვა მსგავსი საკითხები. ამჟამად ეს სიცარილე ივსება და წიგნი შეისწავლება იმ ისტორიულ გარემოს ფონზე, რომელშიც მისი წარმოება და გავრცელება ხდება. დამწერლობის წარმოშობა და განვითარება საზოგადოების განვითარებასთან არის და-

კავშირებული. ადამიანთა ურთიერთობის ზრდამ, პოლიტიკური, სამართლის, რელიგიური და ესთეტიკური ძეგლების აღნუსხვის აუცილებლობამ ხელი შეუწყო დამწერლობის განვითარებას. ეს პროცესი რამდენიმე ათასი წელი გრძელდებოდა და თანდათან იცვლებოდა საწერი მასალა, საწერი იარაღი და წერის ტექნიკა. იცვლებოდა გრაფიკული ნიშნები, ვიდრე არ ჩამოყალიბდა ის დამწერლობები, რომლებიც დღევანდელი კულტურული ხალხების კუთვნილებაა.

დამწერლობის წარმოშობა შორეულ წარსულში ივარაუდება. ისტორიულად დამწერლობისათვის სამი ძირითადი და ერთმანეთისაგან განსხვავებული პრინციპი იყო გამოყენებული. პიქტოგრაფია, იდეოგრაფია და ფონეტიკური დამწერლობა. ეს სამი დამწერლობა ერთმანეთისაგანაა წარმოშობილი. მათგან უძველესია პიქტოგრაფიული (წარმოდგება ორი სიტყვისაგან ლათინური — „პიქტოს“, რაც ფერადი საღებავებით ნახატს ნიშნავს და ბერძნული — „გრაფოს“ — ვწერ), ანუ ხატოვანი დამწერლობა. ამ დამწერლობის ნიმუშები ნაპოვნია გამოქვაბულების კედლებზე, სამარხებში. პიქტოგრაფიაში იყენებდნენ ცხოველებისა და, საერთოდ, გარე სამყაროს სქემატურ გამოსახულებებს, ამიტომ დამწერლობის ეს ნიმუშები საინტერესოა ეთნოგრაფებისათვის, როგორც ძველი ხალხების ყოფა-ცხოვრების ამსახველი ნახატები, ხელოვნებათმცოდნეებისათვის, როგორც უძველესი ხელოვნების ნიმუშები და დამწერლობათმცოდნეებისათვის, როგორც უძველესი დამწერლობის ნიმუშები. პიქტოგრაფიულ ნიშნებს პიქტოგრაფები ეწოდება. ეს ნიშნები საერთაშორისოა და ამიტომ ერთნაირად გასაგები ყველა ეროვნებისათვის.

ასტრაქტული აზროვნების განვითარებასთან ერთად საჭირო გახდა დამწერლობაში ისეთი ცნებების შემოტანა, როგორცაა: სიყვარული, სიძულვილი, შიში და სხვა. მსგავსი ცნებების გამოხატვა ჩვეულებრივი ნახატებით არ ხერხდებოდა. საჭირო იყო პირობითი ნიშნების შემოტანა, რაც პიქტოგრაფების პარალელურად ხდებოდა, რის შედეგადაც წარმოიშვა დამწერლობის მეორე საფეხური — იდეოგრაფიული, ანუ ცნებითი დამწერლობა. თითოეულ ნიშანს იდეოგრამა ეწოდებოდა. იდეოგრამები მარტივი პირობითი ნიშნები, სიმბოლოებია და არაფრით ჰგავს იმ საგნებს, რომელთა საფუძველზეც ისინი შეიქმნა. ძნელია იმის თქმა, კონკრეტულად როდის შეწყდა პიქტოგრაფიული და როდის დაიწყო იდეოგრაფიული დამწერლობა. იდეოგრამებს დღესაც იყენებენ ისეთ დარგებში, როგორცაა ტოპოგრაფია, გეოგრაფია, ფიზიკა. მაგალითად, ციფრები იდეოგრამებია, პიქტოგრამების მსგავსად ისინიც საერთაშორისოა, ყველასათვის გასაგებია, თუმცა სხვადასხვა ენაზე სხვადასხვანაირად გამოითქმის.

იდეოგრაფიული დამწერლობა, თავის მხრივ, ფონეტიკურ დამწერლობას — დამწერლობის უკანასკნელ საფეხურს დაედო საფუძვლად. ამ დამწერლობის პირველ ეტაპია „სილაბური“, ანუ მარცვლოვანი დამწერლობა, ხოლო ფონეტიკური დამწერლობა არის უმაღლესი საფეხური, როდესაც თითოეულ ბგერას მისი გრაფიკული გამოსახულება — ასო შესატყვისება. იდეოგრაფიული დამწერლობა დღეს არსებული თითქმის ყველა დამწერლობის საფუძველს წარმოადგენს, ამიტომ შეისწავლება უძველესი კერები, სადაც იგი აღმოჩნდა და განვითარდა. იდეოგრაფიულ დამწერლობას ჰიეროგრაფიულ დამწერლობასაც უწოდებენ.

იდეოგრაფიული დამწერლობის უძველესი კერებია: ეგვიპტე, ასურეთ-ბაბილონი და ჩინეთი. ეგვიპტის უძველესი სამარხები, ტაძრები და პირამიდები დიდი ხნის გან-



მავლობაში იპყრობდა უცხოელ მოგზაურთა და მეცნიერთა ყურადღებას. ეგვიპტური წარწერები და პაპირუსები ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო, თუმცა მათი ნაკითხვა პრობლემას წარმოადგენდა.

XIX საუკუნის დასაწყისში, ნაპოლეონის ეგვიპტეში ლაშქრობისას ქ. როზეტის მახლობლად ერთ-ერთმა ფრანგმა ოფიცერმა, შემთხვევით, წარწერებით დაფარული ქვის ლოდი აღმოაჩინა. ამ ქვის აღმოჩენას უკავშირდება ეგვიპტოლოგიის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბება. ეგვიპტეში მიცვალებულის კულტი მეფობდა, ამიტომ სამარხებში დიდალი ნაწერებია აღმოჩენილი, რომელთა ასაკი ზოგჯერ 2 ათას წელს აღემატება. საწერ მასალად აქ პაპირუსს იყენებდნენ. სიტყვა „პაპირუს“ ეგვიპტურია და წყლის მცენარეს ნიშნავს. ეს იყო ლერწმის მსგავსი მცენარე, რომელიც ნილოსის დელტაში იზრდებოდა. პაპირუსის გრავილებს სიგანე 15-30 სანტიმეტრი ჰქონდა, სიგრძე კი — სხვადასხვა. წონით იყიდებოდა, მის ექსპორტზე მონოპოლია ფარაონს ჰქონდა. საწერი მასალის თვალსაზრისით, ქალაქის გამოგონებამდე, ის შეუცვლელი იყო. მისი ნაკლი ის იყო, რომ ორივე მხარეზე წერა არ შეიძლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტელების გარდა მას საწერად ბერძნები და რომაელებიც იყენებდნენ, ეგვიპტის გარდა არსად შემონახულა.

იდეოგრაფიული დამწერლობის მეორე მნიშვნელოვანი კერა ა მესოპოტამიის დაბლობში, ეგრეთ წოდებული შუამდინარეთია, რომლის სამხრეთში მდინარეებს ტიგროსსა და ეფრატს შორის მდებარეობდა მაღალი კულტურის სახელმწიფო შუმერი. შუმერთა ენა დღემდე განცალკევებით დგას და არცერთ ენას არ ენათესავება. შუმერთა სახელმწიფო გაანადგურეს ბაბილონელებმა, რომლებმაც გადაიღეს მათი დამწერლობა. სწორედ ამ ქვეყნის გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა თიხის საწერ მასალად გამოყენება. თიხას ზელდნენ, აბრტყელებდნენ, სწორკუთხედის ფორმას აძლევდნენ და მასზე სპეციალური წამახვილებული ლეროთი ტექსტის ჩაჭყლელას ახდენდნენ. ნიშნები ლურსმნებს (სოლებს) ჰგავდა და სწორედ ამიტომაც ამ დამწერლობას „ლურსმნულს“ უწოდებენ. ბაბილონელებისაგან დამწერლობა ამ ტერიტორიაზე მოგვიანებით დასახლებულმა ასურელებმა გადაიღეს. ასურელებმა წერის ტექნიკა შეცვალეს. თუ შუმერები სვეტებად წერდნენ, ასურელებმა მარჯვნიდან მარცხნივ დაიწყეს წერა. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ ქვეყნებში წერა-კითხვის ცოდნას.

შუამდინარეთის კულტურა უძველესია მსოფლიოში. სხვა ქვეყნებშიც გვხვდება ლურსმული დამწერლობის ნიმუშები, რომლებიც, როგორც ჩანს, აქედანაა ნასესხები. აღსანიშნავია ასურეთის ქალაქ ნინევიის გათხრის შედეგად აღმოჩენილი ასურეთის მეფის ასურბანიფალის სასახლის ნანგრევები — ძველი სამყაროს პირველი ბიბლიოთეკა. ხანძრის შედეგად სასახლე დაინგრა და ზემო სართულიდან იატაკი ჩამოიქცა, სწორედ ზემო სართულზე ყოფილა ბიბლიოთეკა. ასურბანიფალი ძველი წელთაღრიცხვის მემკვიდე საუკუნეში ცხოვრობდა. იგი განთქმული ყოფილა თავისი სისასტიკით. ყველა წარწერა სწორედ მის სისხლიან საქმეებზე მოგვითხრობს. მიუხედავად სისასტიკისა, იგი განათლებული პიროვნება იყო და სისტემატურად ზრუნავდა მამისაგან მემკვიდრეობით მიღებულ ბიბლიოთეკის შევსებაზე. ბიბლიოთეკა არქივის მოვალეობასაც ასრულებდა. მასში დაცული იყო იურიდიული დოკუმენტები, ცნობები მოსახლეობის აღწერის შესახებ, დიპლომატიური მიმონერა და სხვა. ამ დროისათვის ნუმერაციის უქონლობის

გამო თიხის ფირფიტის ბოლო სტრიქონი მეორე ფირფიტის დასაწყისში მეორედბოდა. წიგნებს თიხისავე ყუთები ჰქონდა.

კულტურულ ძეგლთა შორის აღსანიშნავია ბაზალტის ქვაზე ამოკვეთილი ბაბილონის მეფის ჰამურაბის კანონები, რომელიც მნიშვნელობით უფრო გვიანდელ რომის კანონებს არ ჩამოუვარდება.

იდეოგრაფიული დამწერლობის სხვა კერებს ჩინეთი, იაპონია და კორეა წარმოადგენს. ჩინეთმა დღემდე შემოინახა იეროგლიფური დამწერლობა. ახლანდელ იეროგლიფებს ძველთან თითქმის არავითარი კავშირი არა აქვს. ჩინეთი ცნობილია ისეთი საწერი მასალის გამოგონებით, როგორც ქალაღია. პირველი საუკუნის ბოლოს და მეორე საუკუნის დასაწყისში ჩინეთში რამდენიმე სახის ქალაღს ამზადებდნენ. გაიხსნა ქალაღის სახელოსნოები არაბეთის სახალიფოს ქალაქებში. მეთორმეტე საუკუნეში ქალაღი აფრიკის სანაპიროების გავლით ესპანეთიდან დასავლეთ ევროპაში შევიდა. ძველად ქალაღს დამასკოს ფურცელს ეძახდნენ. საქართველოში ქალაღი, როგორც სახელწოდებიდან ირკვევა, არაბეთიდანაა შემოსული — „ქალა“ „ქალაღად“ იქცა. ქალაღს ამზადებდნენ ძველი ჩრებისა და თოკებისაგან, რომლებსაც ფქვავდნენ, ურევდნენ წყალსა და ქიმიურ ნივთიერებებს, იღებდნენ ფაფისებრ მასას, საცერში წურავდნენ, გადაწურვის შედეგად დარჩენილ მასას წნეხის ქვეშ შლიდნენ, აშრობდნენ და შემდეგ გრაგნილებად ახვევდნენ. ქალაღზე რჩებოდა საცრის კვალი, რომელსაც „ფილიგრანა“ (რაც იტალიურად წყლის ნაკვალევს ნიშნავს) ეწოდებოდა.

იდეოგრაფიული დამწერლობიდან წარმოიშვა ანბანური დამწერლობა, რამაც ბგერების ასოებით გადმოცემის საშუალება შექმნა. საშუალოდ 30-33 ასოს გამოყენებით აღამიანი თავისი ნააზრების საწერ მასალაზე გადატანას ახერხებს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს არსებული ყველა ანბანური დამწერლობა იდეოგრაფიულიდანაა წარმოშობილი, სრულებით არ ჰგავს მას. ეს იმით აიხსნება, რომ დროთა განმავლობაში საწერი მასალა, საწერი იარაღი და წერის ტექნიკა იცვლებოდა. ამჟამად არსებული ყველა ანბანური დამწერლობა ერთი საერთო წინაპრის — ფინიკიურისაგან წარმოიქმნა. თუმცა ფინიკიელთა მიერ ანბანური დამწერლობის გამოგონების ფაქტი დამტკიცებული არ არის. იდეოგრაფიულ დამწერლობაში ფონეტიკური დამწერლობის საწყისებს ვხვდებით. ერთი რამ უდავოა, საიდანაც უნდა გადაედლოთ ფინიკიელებს საკუთარი დამწერლობა, მათ გააადვილეს ანბანის მოხაზულობა და ის იმ ქვეყნებში ვაავრცელეს, რომლებთანაც სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ.

ბერძნული დამწერლობა, რომელიც საფუძვლად დაედო აღმოსავლეთი და დასავლეთი ევროპის ქვეყნების ყველა დამწერლობას, ფინიკიელებისაგან მოდის. მათგან გადაიღეს წერის ტექნიკა, ასოთა თანამიმდევრობა და 22 თანხმონის აღმნიშვნელი ასო. ხმოვნები არ იწერებოდა. უფრო გვიან — VII საუკუნეში დაამატეს ხმოვნების აღმნიშვნელი ასოები და მარცხნიდან მარჯვნივ დაიწყეს წერა.

ანტიკურ ქვეყნებში, როგორც პაპირუსს, ისე ადგილობრივ საწერ მასალას და გასანთლულ ხის ფირფიტებს იყენებდნენ. სწორკუთხედის ფორმის ხის ფირფიტა სანთლის ფენით იყო დაფარული და მასზე საწერი იარაღით წერდნენ, რომელსაც თავი ფანქრისებურად წანვეტებული, ხოლო ბოლო ნიჩბის მაგვარი ჰქონდა. როდესაც რამე შეეშლებოდათ, ნიჩბისკუთრი ბოლოთი ასწორებდნენ სანთელს და წერას განაგრძობდნენ. ამ მეთოდს „სტილის მობრუნება“, ხოლო იარაღს სტილოსი ეწოდებოდა. აქედან გაჩნდა სი-

ტყვა სტილისტიკა. ამ დროს უკვე გადამწერთა გაერთიანებები არსებობდა, რომლებიც  
ამა თუ იმ ავტორის ნაწარმოებებს ამრავლებდნენ და შემდეგ ყიდდნენ. საწერ მასალად  
იყენებდნენ პერგამენტს, რომელიც შინაური ცხოველის ტყავისაგან მზადდებოდა. ეს  
საწერი მასალა, პაპირუსთან შედარებით, გამძლე იყო და ორივე მხრიდან ინერებოდა,  
თანაც კარგად უძლებდა ნესტიან ჰავას, მაგრამ ძვირი ჯდებოდა. ვარაუდობენ, რომ  
სახელწოდება დაკავშირებული უნდა იყოს ქალაქ პერგამოსთან, თუმცა ეს მეცნიერუ-  
ლად არ დასტურდება.

ბიბლიოთეკებს განათლებული მონები განაგებდნენ და წიგნების გადაწერაც მათ  
ევალებოდათ. ამ პერიოდის ბიბლიოთეკებიდან აღსანიშნავია ეგვიპტის ალექსანდრი-  
ის ბიბლიოთეკა, რომელიც მდიდარი ხელნაწერების ფონდით არის ცნობილი. აქ მუშ-  
აობდნენ განთქმული მეცნიერები, რომელთა შორის აღსანიშნავია კალიმაქე, ამ ბიბ-  
ლიოთეკის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის შემქმნელი.

დამწერლობა საბერძნეთიდან რომაელებმა გადაიღეს და მოგვიანებით უფრო  
გაამარტივეს. კერძოდ, შეცვალეს ანბანის მოხაზულობა და ამგვარად გავრცელდა  
რომაული დამწერლობა. VIII საუკუნეში ჩამოყალიბდა კლასიკური ლათინური. რომ-  
ში დიდი ყურადღება ექცეოდა წიგნის გამრავლებას, ოფიციალურად აქ III საუკუნეში  
უკვე გადამწერთა გაერთიანებები შეიქმნა. ძველ წყაროებში არსებობს ცნობები რო-  
მაული ბიბლიოთეკების შესახებ. როგორც მეცნიერებს, ისე მხედართმთავრებს დიდი  
ბიბლიოთეკები ჰქონდათ. რომის აბანოებთან საზოგადოებრივი ბიბლიოთეკებიც არსე-  
ბობდა. ყველა ეს ბიბლიოთეკა და კერძო კოლექცია სახეირო ლაშქრობების შედეგად  
მდიდრდებოდა, რადგან ნადავლის სახით რომაელ მხედართმთავრებს ხელნაწერებიც  
მოჰქონდათ. პირველად რომში მიიღო წიგნმა დღევანდელი ფორმა და მას „კოდექსი“  
წოდებოდა, რაც „ხის ნაჭერს“ ნიშნავს. აქვე ვხვდებით პირველ ხის ყდას.

ძველი ხელნაწერები, რომლებიც პაპირუსზე იყო, საბერძნეთში თითქმის არ არის  
ნაპოვნი, რადგან ნესტიან ჰავას ვერ უძლებდა. უმეტესად ნაპოვნია ვულკან ვეზუვის  
ამოფრქვევის შედეგად დაღუპული ქალაქის პომპეის და ჰერკულანუმის გათხრების  
დროს. ძველი ბერძნული და რომაული ხელნაწერები ილუსტრაციების გარეშეა. სამეც-  
ნიერო წიგნებშიც სურათებს იშვიათად ვხვდებით.

V საუკუნეში, რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, გერმანული სახელმწიფოები  
გაძლიერდნენ, რომელთაც ანტიკური კულტურა გაანადგურეს და მხოლოდ რელიგია  
გადმოიღეს. გაბატონდა ეკლესია რომელიც თავისუფალ აზრს დევნიდა. ხშირად ძველ  
რომაულ და ბერძნულ ტექსტებს შლიდნენ და უფრო ნაკლები მნიშვნელობის ტექსტებს  
წერდნენ. ამჟამად ბევრი ასეთი ხელნაწერი სხვადასხვა ბიბლიოთეკაშია დაცული. ამ  
ხელნაწერებს „პალიმფსესტები“ ეწოდება. ხელნაწერის დამზადება ეკლესიის მონაპო-  
ლია გახდა. ამზადებდნენ რელიგიური ხასიათის ტექსტებს და სასტიკად იდევნებოდა  
ყველა სხვა ხელნაწერი. ეკლესია-მონასტრებში იყვნენ გადამწერი ბერები, რომლებიც,  
გარდა იმისა, რომ წიგნის გადაწერას სულის საცხოვრებელ საქმედ თვლიდნენ, კარგ შე-  
მოსავალსაც იღებდნენ. იშვიათი ხელნაწერების გვერდით ამ პერიოდის ბევრ შეცდომით  
გადამწერილ ხელნაწერსაც ვხვდებით. ხელნაწერის სიზუსტე ბერების განათლებაზე იყო  
დამოკიდებული. შუა საუკუნეებში ისეთი ქალაქები გაჩნდა, რომელთა მოსახლეობა  
უნივერსიტეტების გახსნის კვალობაზე იზრდებოდა. უნივერსიტეტისათვის საჭირო

იყო წიგნები, ამან გადამწერი სახელოსნოების ჩამოყალიბება განაპირობა. შეიქმნა სახელოსნოები, რომლებსაც სკრიპტორიუმი ეწოდებოდა. ტერმინი სიტყვა „სკრიპტორი“-საგან გაჩნდა, რაც „გადამწერს“ ნიშნავს.

ბერძნული და რომაული კულტურის ძეგლების დაცვაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ბიზანტიის იმპერიას, რომელიც რომის დაცემის შემდეგ დიდხანს განაგრძობდა არსებობას. აქ დიდ პატივს სცემდნენ კლასიკოსებს, ხდებოდა მათი ნაწარმოებების გადწერა. ბიზანტიამ მალალ დონეზე აიყვანა ხელნაწერი წიგნის ხარისხი.

X-XI სს. გერმანიის და საფრანგეთის სამეფო კარზე საერო ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი ინტერესი გაჩნდა. მეცნიერები, გარდა საეკლესიო ტექსტებისა, ყურადღებას ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების ნაწარმოებებსაც აქცევდნენ. გაჩნდა საუნივერსიტეტო ქალაქები, სადაც მოსწავლეთა რაოდენობის ზრდის გამო, საჭირო გახდა სხვადასხვა სახის ლიტერატურა, წიგნები. მათი დამზადება კი შეზღუდული იყო წიგნის გამრავლების ტექნიკის უქონლობის გამო. დაიწყო ზრუნვა საქალაქო გადამწერი სახელოსნოების შესაქმნელად, სადაც მოხდა შრომის განაწილება. გაჩნდნენ გადამწერები, რედაქტორები, გამფორმებლები, მკინძავები, მკაზმავები. ისინი მაინც ვერ აკმაყოფილებდნენ წიგნზე გაზრდილ მოთხოვნილებას, ამიტომ დაიწყეს მექანიკური გამრავლების ხერხის ძიება. პირველ ასეთ ხერხს წარმოადგენდა ქსილოგრაფია, რომელიც შედგება ორი სიტყვისაგან „ქსილონ“ — „ფიცარი“ და „გრაფო“ — „წერ“ და ფიცარზე წერას ნიშნავს. ფიცრის ნაჭერზე გადაჰქონდათ ტექსტი, შემდეგ შემოჭრიდნენ გარშემო და დარჩენილ ადგილს ამოაღრმავებდნენ, რომ ტექსტი ამოზურცულიყო. ზედაპირი საღებავით იფარებოდა, ზემოდან ქაღალდს აფარებდნენ და ტექსტი ტყავის ბალიშებით გადაჰქონდათ. ეს ხერხი პირველად VII-VIII საუკუნეებში ჩინეთში, იაპონიასა და კორეაში გამოიყენეს. დასავლეთ ევროპაში ქსილოგრაფია მხოლოდ 40 წელს, 1400-1440წწ.-ში არსებობდა. თუმცა ევროპაში მისი აღმოსავლეთიდან შემოტანა არ დასტურდება. ამ მეთოდს ამჟამადაც იყენებს გამოცემლობა, როდესაც წიგნის მოყვარულთათვის (ბიბლიოფილებისათვის) რომელიმე ძველი გამოცემის მცირე ტირაჟით აღდგენა სურს.

ქსილოგრაფიული ბეჭდვა, მოძრავი ლიტერებით ბეჭდვა აღმოსავლეთში, კერძოდ, ჩინეთში, იაპონიასა და კორეაში დაიწყო. ევროპაში ეს მეთოდი 1440 წელს შემოიღეს და სწორედ ეს წელი მიიჩნევა წიგნის ბეჭდვის თარიღად. ხოლო პირველ მბეჭდავად გერმანიის ქალაქ მაინცის მცხოვრები იოჰან ჰანსფლაიმ გუტენბერგია აღიარებული. იოჰან გუტენბერგის დამსახურება ის არის, რომ მან ლითონის ლიტერები (ლიტერი-ასო) ჩამოსხმა, საბეჭდი დაზვად დაამზადა და ევროპაში პირველმა შეძლო ბეჭდური წიგნის გამოცემა. წიგნის ბეჭდვის დაწყებამ რევოლუცია მოახდინა მეცნიერებაში. მიუხედავად გუტენბერგის უდიდესი დამსახურებისა, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ძალზე მწირი ცნობები მოგვეპოვება. დაბადების თარიღიც კი არ არის ცნობილი. ვარაუდობენ, რომ 1394-99წწ. დაიბადა. მისი მამა ქალაქ მაინცის წარჩინებულ მოქალაქეთა წრეს ეკუთვნოდა, ფულის მოსაჭრელი სახელოსნოს (ზარაფხანის) უფროსი იყო და ამიტომ გუტენბერგი კარგად ერკვეოდა ლითონის საქმეში. იგი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა თავის გამოგონებაზე. მნიშვნელოვანია მის მიერ გამოცემული 36 და 42 სტრიქონიანი ბიბლია, რომლის დიდი ნაწილი პერგამენტზე იყო დაბეჭდილი და, როგორც ცნობილია, თითოეულ ეგზემპლარს 170 ხბოს ტყავი დასჭირდა. ირკვევა, რომ გუტენბერგი თავისი გამოგონების გამო მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდა.

იგი დიდ იმედებს ამყარებდა ბიბლიის გამოცემაზე, მაგრამ ხარჯები ვერ აინახა. ფუსტმა უჩივლა და სტამბის ნახევარი ვალში წაიღო. მოგვიანებით ფუსტისა და შეფერის გამომცემლობა ერთ-ერთი საუკეთესო გახდა გერმანიაში. ფინანსურად ფუსტი განაგებდა სტამბას, ხოლო შეფერი საუკეთესო მბეჭდავი იყო. მას საფრანგეთში ჰქონდა შესწავლილი კალიგრაფია და თავისი ცოდნა და გამოცდილება შრიფტების დამზადებისას გამოიყენა. ამრიგად, გუტენბერგი გალატაკდა. როგორც ცნობილია, ის ადგილობრივმა მმართველმა შეიკედლა და პენსიის სახით დახმარებასაც აძლევდა. გუტენბერგი 1468 წელს გარდაიცვალა. XV საუკუნის პირველ ნახევარში სტამბები გერმანიის სხვადასხვა ქალაქში დაარსდა, ხოლო რაც შეეხება ევროპის სხვა ქვეყნებში არსებულ სტამბებს, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია იტალიის ქალაქ ვენეციაში 1494 წელს გახსნილი სტამბა, რომელიც ალდუს მანუციუსის სახელს უკავშირდება. ამ სტამბაში გამოცემულ ნიგნებს აღდინები ეწოდება. ეს გამოცემები მეტწილად მცირე ფორმატისა იყო, გამორჩეული შრიფტით ეწყობოდა და საგანგებო ქალაქებში იბეჭდებოდა. ემბლემად ღუზაზე შემოხვეული დელფინი ჰქონდა. აღდინები სწრაფად გავრცელდა და იმდროინდელი ბაზრიდან დიდტანიანი და ძვირადღირებული ფოლიანტები — დიდი ფორმატის სქელი, ჩვეულებრივ, ძველებური ნიგნი — განდევნა. ალდუს მანუციუსმა ძველი ბერძენი, რომელიც დალოძინების ეპოქის კლასიკოსთა მეცნიერულად დამუშავებული თხზულებანი გამოსცა. მისი გარდაცვალების შემდეგ საქმის გამგრძელებელმა 1597 წლამდე 900-ზე მეტი აღდინი გამოსცეს.

გუტენბერგის გამოგონებამ ევროპის ქვეყნების გამომცემლებს მისი მეთოდის დანერგვის შესაძლებლობა მისცა, რამაც ბაზარზე ნიგნის რაოდენობის ზრდას შეუწყობდა. ევროპელები მსოფლიო ნიგნის ბაზარს განაგებდნენ, რადგან ამერიკასა და რუსეთში ნიგნის ბეჭდვის ისტორია შედარებით გვიან იწყება, კერძოდ რუსეთში — 1564 წლიდან, ხოლო ამერიკაში — XVII საუკუნიდან. რაც შეეხება საქართველოს, პირველი ქართული ნიგნის ბეჭდვის თარიღად აღიარებულია 1629 წელი. ქვეყნისათვის უაღრესად რთულ საშინაო და საგარეო ისტორიულ პირობებში განხორციელდა პირველი ქართული ნიგნის სასტამბოდ მომზადება და გამოცემა. შემთხვევითი არაა, რომ პირველი ქართული ნიგნი არა საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ, კერძოდ, ჯერ რომში, მოგვიანებით კი მოსკოვში დაიბეჭდა. თუმცა უცხოეთში დაბეჭდილი ქართული ნიგნების სულსჩამდგმელნი ყველგან ქართველი მამულიშვილნი და თვალსაჩინო ეროვნული მოღვაწენი იყვნენ.

რომშიწარგზავნილი იქნა ქართველი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ ომანის ძე ჩოლოყაშვილი (ბერობაში ნიკიფორე ირბახი), რომლის სახელს უკავშირდება პირველი ქართული ნიგნის რომში გამოცემა. 1627 წელს იგი რომში ჩავიდა, სადაც 1628 წლის 2 ნოემბრამდე ცხოვრობდა. სწორედ ამ პერიოდში მომზადდა ქართული ნიგნის გამოცემის საქმე. 1628 წლის 20 ივნისს „პროპაგანდა ფიდემ“ საგანგებოდ იმსჯელა ქართული ნიგნის გამოცემის თაობაზე და მისი გადაწყვეტილებით, 1629 წელს, რომში გამოსცეს პირველი ქართული ნიგნი — ქართულ-იტალიური ლექსიკონი, რომელიც ნიკიფორე ირბახის დახმარებით შეადგინა სტეფანე პაოლინიმ, ამავე წელს გამოიცა აქ „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“. ნიკიფორე ნიგნის გამოცემას არ დასწრებია, იგი 1628 წელს დაბრუნდა სამშობლოში.



1643 წელს რომში გამოცემული მომდევნო ქართული ნაბეჭდი წიგნი იტალიელი მისიონერის მარია ფრანსისკო მაჯიოს „ქართული ენის გრამატიკაა“. 1681 წელს გამოიცა „მოკლე საქრისტიანო დოქტრინა“, რომელიც ქართულ ენაზე მარია ნეაპოლელს უთარგმნია. მარიას საქართველოში უცხოვრია და ქართული ენა კარგად შეუსწავლია. მომდევნო წიგნის ქართულ ენაზე გამოცემა ქართველ დავით ტულუკაშვილს ეკუთვნის, რომელიც წარმოშობით გორიდან ყოფილა და 1723-24 წწ. გაგზავნეს სასწავლებლად რომში. მან იტალიურ ენაზე დაწერა „საქრისტიანო მოძღვრება“, რომელიც 1733 წელს თავადვე თარგმნა ქართულად. არჩილ მეორის მოსკოვში გახიზვნის შემდეგ, მისი დიდი მეცადინეობის შედეგად, 1705 წელს მოხერხდა აქ ქართულ ენაზე გამოქვეყნებულიყო „დავითნი“.

საქართველოში სტამბის დაარსებასა და ქართული წიგნის გამოცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ვახტანგ მეექვსემ ამ საქმის განხორციელება. მან დახმარება სთხოვა იერუსალიმის პატრიარქს, რომელმაც, თავის მხრივ, ანთიმოზ ივერიელს მიმართა და საქართველოში მოავლინეს უნგრელი მიხეილ იშტანოვიჩი — საქართველოში მიხეილ სტეფანიშვილის სახელით ცნობილი. სტამბა 1709 წელს დაარსდა. ვახტანგ მეექვსის სტამბაში თავდაპირველად დაიბეჭდა „სახარება“, „სამოციქულო“, „კონდაკი“ და სხვ. იბეჭდებოდა არა მხოლოდ საეკლესიო და ლიტერატურული ნაწარმოებები, არამედ ისეთებიც, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსწავლეთა აღზრდისა და თვითშეგნების ამაღლებისათვის. ასეთია 1711 წელს დაბეჭდილი „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარს სწავლა მონაფისა“. 1712 წელს აქ დაიბეჭდა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. სულ ვახტანგ მეექვსის სტამბაში ოცი წიგნი დაიბეჭდა. სტამბამ თექვსმეტი წელი — 1724 წლამდე იარსება. სტამბის დახურვის მიზეზი იყო საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება, რამაც აიძულა ვახტანგ მეექვსე დაეტოვებინა საქართველო და რუსეთში გადასახლებულიყო. მოძრაობა ქართული წიგნის გამოცემისათვის არასდროს არ შეწყვეტილა. 1749 წელს ერეკლე მეორისა და ანტონ ბაგრატიონის მეცადინეობით ნანგრევებიდან იქნა აღდგენილი თბილისის სტამბა, რომელიც ხელმეორედ განადგურდა 1795 წ. თბილისის აოხრებისას. XIX ს. დამდევისათვის სოლომონ მეორის ღვაწლმოსილობით საგამომცემლო საქმეს იმერეთშიც ჩაეყარა საფუძველი. სხვადასხვა დროს სტამბები მოქმედებდნენ ქუთაისში, სადაც 1800 წ. „დავითნი“ გამოუციათ. სტამბები მოუწყვიათ სოფ. წესში, საჩხერეში და სხვ.

XIX ს. I ნახევარში საქართველოში, უმეტესად თბილისში, საგრძნობლად მატულობს სტამბების რიცხვი. მრავლდება ქართული ნაბეჭდი წიგნი. განსაკუთრებით ბევრი რამ გააკეთა ამ საქმისათვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ.

საერთოდ, კაპიტალიზმის ეპოქაში წიგნის ბეჭდვა და გავრცელება ახალ თვისებებს იძენს. საფუძველი ეყრება ტექნიკურ სიახლეებს, რამაც, საბოლოოდ, ელექტრონული ბეჭდვის ეპოქამდე მიგვიყვანა.

დღეს წიგნები ერთმანეთისაგან არა მარტო შინაარსით, თემატიკით და მეცნიერული ღირებულებით, არამედ სტრუქტურითა და ფორმითაც განსხვავდება. წიგნებს შორის ვხვდებით მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებს, ცნობარებს, კრებულებს, მრავ-

## მსოფლიოსა და საქართველოს დიდი მიმლითოეკი

ბიბლიოთეკების ისტორია კულტურული მემკვიდრეობის ისტორიაა. მათი ფუნქციების ცვლილებები კონკრეტულ სოციალურ-კულტურულ მოვლენებს უკავშირდება. ბიბლიოთეკის მთავარი ფუნქცია (საკომუნიკაციო, შემეცნებითი და კუმულატორული) განიხილება როგორც დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკა და განისაზღვრება მისი, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტის მიერ ნაკისრი როლით. ბიბლიოთეკის მიმართ საზოგადოების მოთხოვნები თანდათან იზრდება. საზოგადოების ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ბიბლიოთეკის კერძო მფლობელობას სხვა ფორმებიც ენაცვლება, ის რომელიმე დაწესებულების — მონასტრის, მუზეუმის, აკადემიის და სხვათა ნაწილი ხდება. თუმცა დამოუკიდებელ არსებობასაც იწყებს.

**ალექსანდრიის ბიბლიოთეკა** — ერთ-ერთი უძველესი ბიბლიოთეკა ელინისტურ კულტურაში საბერძნეთის ფარგლებს გარეთ ძვ. წ. 334-324წწ. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შედეგად შეიქმნა და ელინისტური სამყაროს კულტურის სიმბოლო გახდა. ის ძველი აღმოსავლეთის ხალხების მიღწევებთან ბერძენთა კულტურის შერწყმის საფუძველზე ჩამოყალიბდა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 332-331წწ. ალექსანდრე მაკედონელმა ეგვიპტის ანექსიის შემდეგ მდინარე ნილოსის დელტაში ახალ ქალაქს ჩაუყარა საფუძველი. ამ ქალაქს ალექსანდრია ეწოდა და თავისი პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებით გაითქვა სახელი.

ეგვიპტეში ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთმა სარდალმა პტოლომეოსმა ალექსანდრია სატახტო ქალაქად გამოაცხადა. პტოლომეოს პირველი სოტერი — ეგვიპტეში ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ ელინისტური ეგვიპტის მმართველი, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას ცდილობდა. ალექსანდრიის აყვავების დროს ბიბლიოთეკის ფონდში 700-800 ათასი წიგნი ინახებოდა მრავალ ენაზე. ბიბლიოთეკის გამდიდრების მიზნით, პტოლომეოსი დიდი ხარჯის გაღებას არ ერიდებოდა. ეგვიპტის მეფეები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ემისრებს გაზავნიდნენ ხელნაწერების შესაძენად. ამგვარად გამდიდრებულმა ბიბლიოთეკამ სახელი გაუთქვა ქალაქს.

ბიბლიოთეკის თანამშრომლები ძირითადად ბერძენი პოეტები და მწერლები იყვნენ. მათი მოვალეობები მკვეთრად იყო განსაზღვრული. ზოგი ახალ ხელნაწერებს სწავლობდა, ზოგი მანუსკრიპტებს ჩაჰკირკიტებდა, ზოგი წიგნების ასლის გადაღებაზე მუშაობდა. ზუსტად აღწერილი გრაფიკები კარადებში ჰორიზონტალურ თაროებზე ინახებოდა.

ჩვენი წელთაღრიცხვის 273 წელს აჯანყების ჩასახშობად იმპერატორმა ავრელიანემ სამხედრო ძალა გამოიყენა და ალექსანდრია აიღო, რის შედეგად ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი დაიღუპა. მოგვიანებით იგი მხოლოდ ნაწილობრივ აღადგინეს. საბოლოოდ ბიბლიოთეკა 642 წელს არაბებმა გაანადგურეს. ალექსანდრიის აღების შემდეგ ხალიფა ომარმა ბრძანება გასცა, რომ გადარჩენილი წიგნებით აბანოები გაეცხლებინათ. ეს



ალექსანდრის ბიბლიოთეკის ათასწლიანი არსებობის ისტორიის დასასრული იყო.

1998 წელს ეგვიპტის მთავრობამ და იუნესკომ მიიღეს გადაწყვეტილება, ამავე ადგილას ბიბლიოთეკის აშენების შესახებ. ამავე დროს გაკეთდა განცხადება-თხოვნა ფინანსურ დახმარების თაობაზე. ბიბლიოთეკის შენობა ნორვეგიული ფირმის პროექტით აშენდა და ძალზე საინტერესოა არქიტექტურული თვალსაზრისით. იგი ეგვიპტური მზის სიმბოლოს ფორმისაა, ღია ზღვას გაჰყურებს და შესანიშნავ პირობებს უქმნის მკითხველს. მას გარს ერტყმის „დამწერლობათა კედელი“, რომელზეც გაკეთებულია წარწერები მსოფლიოს ყველა ენაზე. ახალი ბიბლიოთეკა უტოლომეოსის პრინციპით ხელმძღვანელობს — „შეგროვდეს წიგნები მსოფლიოს ყველა ენაზე“. <http://www.libalex.org>

### გერმანიის ებრაული მიმდინარეობა

გერმანიის ეროვნული ბიბლიოთეკა შეიქმნა 1990 წელს, გერმანიის გაერთიანების შემდეგ, როგორც სამი დიდი ბიბლიოთეკის: ლაიფციგის გერმანული ბიბლიოთეკის (დაარსებულია 1913 წელს), ფრანკფურტის გერმანული ბიბლიოთეკის (დაარსებულია 1947 წელს) და ბერლინის მუსიკალური არქივის (დაარსებულია 1970 წელს) ერთობლივად შერწყმის შედეგად. იგი დაარსებიდანვე (1913 წ) კრებს და იცავს გერმანულ ენაზე გამოცემულ წიგნებს, ჟურნალებს, გაზეთებს, მუსიკალურ ნოტებს და სხვა ბეჭდურ პროდუქციას, როგორც გერმანიიდან, ასევე სხვა გერმანულენოვანი ქვეყნებიდან (ავსტრია, შვეიცარია და სხვა).

მისი ფონდი ამჟამად 23.5 მილიონ ერთეულს აღემატება. 2006 წლის ახალი კანონმდებლობით მას ევალება აგრეთვე ელექტრონული პუბლიკაციების (კომპაქტდისკების, ინტერნეტ-გამოცემების) შეგროვება და დაცვა.

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის ისტორიული განვითარების (გვიანი გაერთიანების) შედეგად მის ზოგიერთ ფედერალურ მიწას გააჩნია არანაკლებ მნიშვნელოვანი და დიდი სახელმწიფო ბიბლიოთეკა; მაგალითად ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკა (დაარსებულია 1661 წელს, ფონდი — 10 მილიონი ნოგნი, 4400 ინკუნაბულა, 58000 ხელნაწერი, 960000 რუკა და ატლასი) და ბავარიის სახელმწიფო ბიბლიოთეკა მიუნხენში (დაარსებულია 1558 წელს, ფონდი — 9 მილიონი წიგნი, 90000 ხელნაწერი, 19000 ინკუნაბულა).

- <http://www.ddb.de/>
- <http://www.zlb.de/>
- <http://www.bsb-muenchen.de/>

**ბრიტანეთის ეროვნული ბიბლიოთეკა.** ბრიტანეთის პირველი სამეცნიერო ბიბლიოთეკები მდიდარი კერძო კოლექციების საფუძველზე ყალიბდებოდა, უფრო ხშირად კი ეროვნულ ბიბლიოთეკებს საფუძვლად მონარქთა ბიბლიოთეკების კოლექციები ედებოდა. ამგვარად გაიხსნა 1759 წელს ლონდონში დიდი ბრიტანეთის ეროვნული ბიბლიოთეკა — ყოფილი „ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკა“, რომელიც რეალურად 1753 წელს დაარსდა და მუზეუმის სტრუქტურაში განყოფილების სახით არსებობდა. მის ფონდში მეფე გეორგისა და პანს სლოუნის ბიბლიოთეკა შევიდა. მუზეუმის ბიბლიოთეკის ფონდები ძალზე სწრაფად, პირველ ყოვლისა, კოლონიების ხარჯზე იზრდებოდა.

11204

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ამის გამო მუზეუმის ბიბლიოთეკაში სპეციალიზებული ქვედანაყოფი — აღმოსავლური ნიგნებისა და ხელნაწერების განყოფილება შეიქმნა. ბიბლიოთეკის ფონდების შევსებას ხელს უწყობდა 1763 წელს მიღებული კანონი სავალდებულო ეგზემპლარების შესახებ.

1814 წლიდან ბიბლიოთეკა იღებს როგორც დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე ყველა გამოცემის, ასევე მთელი იმპერიის ტერიტორიის ბეჭდური პროდუქციის სავალდებულო ეგზემპლარებს. 1855 წლიდან ყველა სახის პატენტი ბიბლიოთეკის მკითხველთათვის ხელმისაწვდომი გახდა. 1940-50წწ. ბიბლიოთეკის ახალი ნიგნსაცავი აშენდა. 1856-66წწ. ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა ბიბლიოთეკის დირექტორმა ანტონიო პანიციომ. 1962 წლიდან ბიბლიოთეკა მეცნიერებისა და აღმოჩენების ეროვნული ბიბლიოთეკის ფუნქციას ასრულებს.

ბრიტანეთის პარლამენტის 1972 წლის 1 ივლისის აქტის საფუძველზე 1973 წელს შეიქმნა ბრიტანეთის სამეფოს ეროვნული ბიბლიოთეკა, რომელიც უმსხვილეს საბიბლიოთეკო გაერთიანებად იქცა. ამავე ბიბლიოთეკაში შედიოდა 1961 წელს დაარსებული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ეროვნული აბონემენტის ბიბლიოთეკა, რომელიც მას აბონემენტის სახით შეუერთდა. მის ფუნქციებში შედიოდა გაერთიანებული სამეფო ბიბლიოთეკის სისტემის დახმარება და მართვა, ფოტომასალებით აბონენტთა მომსახურება მთელი ქვეყნის მასშტაბით. აბონემენტის სპეციალურ საცავში დაცულია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგის 25 ათასზე მეტი მონოგრაფია, ხელნაწერები ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებიდან. 1974 წელს ბრიტანეთის ბიბლიოთეკას შეუერთდა კიდევ ორი დაწესებულება: ბრიტანეთის ეროვნული ბიბლიოგრაფიისა და მეცნიერული ინფორმაციის ცენტრი. 1982 წელს ასევე შეუერთდა ინდოეთის კვლევითი ცენტრის ბიბლიოთეკა და არქივი, რომელიც მანამდე საგარეო საქმეთა სამინისტროს ექვემდებარებოდა. 1983 წელს ბრიტანეთის ბიბლიოთეკას ბრიტანეთის ხმოვანი ჩანაწერების ინსტიტუტის ფონდიც გადაეცა.

ამჟამად ბრიტანეთის ბიბლიოთეკა ერთ-ერთი ცნობილი ბიბლიოთეკაა მსოფლიოში. მისი უნიკალური კოლექციები მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობად ითვლება. მის ნიგნსაცავში ინახება 25 მლნ ნიგნი, 920 ათასი უურნალ-გაზეთი, კონფერენციების თეზისები და 47 მლნ თემატიკის მოხსენებები, 1,5 მლნ სხვადასხვა სახის ცალკეულ მუსიკალური ნაბეჭდი ერთეული, 8 მლნ მეტი მარკას და ფილატელიის სხვა ნიმუში. ინფორმაციის მომხმარებელთა რაოდენობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ყოველწლიურად, 20 ათასს შეადგენს. მისი სამკითხველო დარბაზები წლის განმავლობაში 16 ათასზე მეტ მკითხველს ემსახურება. მისი ელექტრონული კატალოგი 6 მლნ-ზე მეტ ჩანაწერს შეიცავს, ბრიტანეთის სწავლულთა ნაშრომების 90 პროცენტი ელექტრონული საშუალებებით არის ხელმისაწვდომი. ბრიტანეთის ბიბლიოთეკამ უზრუნველყო შექსპირის თხზულებათა წარმოდგენა ციფრული ბიბლიოთეკის სახით. ინტერნეტში განთავსებულია დიდი დრამატურგის 21 ნაწარმოების 93 ციფრული სახის ასლი. ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში შემუშავებულია სტანდარტები ამ ქვეყნის 3600 საჯარო ბიბლიოთეკისათვის. უნიკალური საბიბლიოთეკო ფონდებით იგი მილიონობით მომხმარებელთა ყურადღებას იპყრობს. თანამედროვე ეტაპზე ის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მოდერნიზებულ ბიბლიოთეკად ითვლება. <http://www.bl.uk/>

**საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა.** საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ჩამოყალიბების თარიღად მიჩნეულია 1795 წელი, როდესაც სამეფო ბიბლიოთეკას სახელი და ფუნქციები შეეცვალა. ამ პროცესს წინ დიდი სამუშაოები უძღოდა. საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის თავდაპირველი ფონდი იყო ლუვრის ერთ-ერთ კოშკში განთავსებული შარლ V-ის ბიბლიოთეკა. 1380 წელს ბიბლიოთეკაში უკვე 917 ტომი იყო. შემდეგ შარლ VI-ის დროს ეს ტომები ერთმა წარჩინებულმა ინგლისელმა შეიძინა და ბიბლიოთეკა ინგლისში გადაიტანა, რის შემდეგაც ფონდი უკვალოდ გაქრა. მხოლოდ ლუი XI-ის დროს გახდა შესაძლებელი ბიბლიოთეკის უწყვეტად დაცვა. ამის შემდეგ კოლექცია აღარ დაკარგულა. სტამბის განვითარების დროსაც, სამეფო ბიბლიოთეკა აგრძელებდა ფონდების შეგებას ძველი ხელნაწერებით. სპეციალური მისიების შედეგად მოიპოვეს არაბული, ებრაული, ჩინური და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების დოკუმენტური მასალები. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ფრანგი მეფეები თავიანთ სასახლეში აგროვებდნენ მონეტებს, სამკაულებს, მედლებსა და სხვა ძვირფას ნივთებს. ეს კოლექცია ლუვრში მნიშვნელოვნად გაიზარდა და 1666 წელს სამეფო ბიბლიოთეკას შეუერთდა. 1537 წელს მონპელიეში გამოიცა ბრძანება ბექდურ გამოცემათა სავალდებულო ეგზემპლარების შესახებ. 1567 წელს საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკას ლუდოვიკო XII-ის კოლექცია გადაეცა. დაახლოებით 1666 წელს ბიბლიოთეკა პარიზში გადაიტანეს. 1692 წლამდე ბიბლიოთეკით სარგებლობა მხოლოდ სწავლულთათვის იყო დასაშვები, მაგრამ ბიბლიოთეკის ფონდის ზრდამ ის ფართო მასებისათვისაც გახადა ხელმისაწვდომი, ასევე დღის წესრიგში დააყენა ყველა დოკუმენტის კლასიფიცირებისა და კატალოგიზაციის აუცილებლობა. საინტერესო იყო ბიბლიოთეკარის თანამდებობის მსურველთა მიღების პირობები. უპირველეს პირობად მიიჩნეოდა ბიბლიოთეკარის განსწავლულობა, თავმდაბლობა და საქმისადმი ერთგულება. ბიბლიოთეკის დირექტორს კი, რვაკაციანი მცველისაგან (როგორც მაშინ პასუხისმგებელ ბიბლიოთეკებს უწოდებდნენ) შემდგარი საბჭოს თანხმობის შემდეგ ირჩევდნენ. დირექტორი უშუალოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარებოდა. საეკლესიო ქონება, რომელიც სხვადასხვაგვარი შინაარსის გამო განაწილებული იყო მუზეუმებსა თუ ეკლესიებში, 1789 წელს სამეფო ბიბლიოთეკას გადაეცა. 1794 წელს ბიბლიოთეკის ნაბეჭდ ნივთთა რაოდენობა 12500 შეადგენდა. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ბიბლიოთეკის ფონდების გაორმაგება აღინიშნება. საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა ეროვნული ბექდური პროდუქციის კოლექციის შექმნასა და ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფუნქციის შესრულებაზე იყო ორიენტირებული. ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რევოლუციის შემდეგ კონფისკაციის შედეგად 300 ათასი წიგნია შეტანილი. ამ ფონდის სისტემატიზაცია და კატალოგიზაცია მხოლოდ XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში დასრულდა. შეიქმნა ანბანური კატალოგი.

XX საუკუნის დასასრულს საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა ორ შენობაში მუშაობდა, რომელიც მოგვიანებით გაერთიანდა და შეიცვალა საქმიანობის პრინციპები. ერთ შენობაში ძირითადად საზოგადოების ყველა კატეგორიის მკითხველისათვის სამკითხველო დარბაზები განთავსდა. დახურული ბიბლიოთეკა გახდა საჯარო ბიბლიოთეკა. ამ შენობაში მუშაობს დარბაზის ორი სისტემა — ჰუმანიტარული, სოციალური, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერების დარბაზები. ბიბლიოთეკაში 10

მღნ ტომი ინახება. საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა ეროვნული გაერთიანებული კატალოგის შედგენაზე მუშაობს.

<http://www.bnf.fr/>

### კონგრესის ბიბლიოთეკა.

XIX საუკუნე ამერიკის შეერთებულ შტატებში საბიბლიოთეკო საქმიანობის სფეროში სერიოზული ცვლილებებით იწყება. კონგრესმა ბიბლიოთეკის შექმნა გადაწყვიტა (1800), რომელიც კონგრესის წევრებისთვის მხოლოდ და მხოლოდ საკანონმდებლო ლიტერატურით დაკომპლექტდებოდა. 1872 წელს კონგრესმენმა თეოდორ პლენდი უმცროსმა ევროპაში წიგნების შესყიდვის შესახებ წამოაყენა წინადადება, რომელიც მომდევნო წელს კონგრესმა დაამტკიცა, მაგრამ იგი მხოლოდ კონგრესის ვაშინგტონში გადასვლის შემდეგ განხორციელდა.

1811 წელს აშშ პრეზიდენტმა მედისონმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომელიც კონგრესის ბიბლიოთეკის დასაკომპლექტებლად ყოველწლიურად 1000 დოლარის გამოყოფას ითვალისწინებდა.

თავდაპირველად ბიბლიოთეკა კონგრესისა და აშშ უმაღლესი სასამართლოს შენობაში განთავსდა. ბიბლიოთეკის ფონდის ფორმირებაში სხვადასხვა დროს გარკვეულ როლს ასრულებენ პოლიტიკოსები და კონგრესმენები. პრეზდენტი თომას ჯეფერსონი დიდი ბრიტანეთიდან წიგნების შექენასა და ვაშინგტონში გადაგზავნას ხელმძღვანელობდა. მან დააარსა ვირჯინიის შტატში სამთავრობო, კულტურული, საგანმანათლებლო და სოციალური ინსტიტუტები. თომას ჯეფერსონი ხელს უწყობდა მეცნიერების განვითარებას. შექმნა უნიკალური ბიბლიოთეკა, რომელიც კვლევით ლაბორატორიად იქცა. 1814 წლისათვის მისი ბიბლიოთეკა 6,5 ათას წიგნს ითვლიდა, უმეტესად ჩრდილო და სამხრეთი ამერიკის შესახებ.

1814 წელს ინგლის-ამერიკის ომის დროს კონგრესის ბიბლიოთეკა დაზარალდა. თომას ჯეფერსონმა, ბიბლიოთეკის ზარალის ასანაზღაურებლად, კონგრესს შესთავაზა, შეესყიდათ მისი წიგნების კოლექცია. კონგრესმა ეს წინადადება მიიღო.

კონგრესის ბიბლიოთეკა კაპიტოლიუმის ბორცვზე ახალ შენობაში განათავსეს, რომელიც 1825 წელს ხანძრის შედეგად დაზარალდა.

1829 წელს კონგრესის ბიბლიოთეკის დირექტორი ჯონ სილვა მეჰანი გახდა, რომელიც ბიბლიოთეკას 30 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა. მისი ხელმძღვანელობის დროს კონგრესის ბიბლიოთეკაში ცვლილებები მოხდა 1837 წლიდან რეგულარულად მიმდინარეობს წიგნების გაცვლა აშშ და საფრანგეთს შორის.

1846 წლიდან კონგრესის ბიბლიოთეკა სავალდებულო ეგზემპლარებს იღებს, რაც ხელს უწყობს ფონდის რეგულარულ ზრდას.

1851 წელს ბიბლიოთეკა კვლავ ხანძარმა იმსხვერპლა, განადგურდა 35 ათასი ტომი, მათ შორის ჯეფერსონის ბიბლიოთეკის ორი მესამედი. 1853 წელს ბიბლიოთეკას ახალი სათავსო, ე. წ. „რკინის ოთახი“ გადაეცა. ბიბლიოთეკა ამ დარბაზში ემსახურებოდა პრეზიდენტს, კონგრესის, უზენაესი სასამართლოს, სახელმწიფო დეპარტამენტის წევრებს, მოსამართლეებსა და სამთავრობო დაწესებულებებს.

1866 წელს სმიტსონის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა და კონგრესის ბიბლიოთეკა გაერთიანდა. 1870 წელს სპოფორდის ინიციატივით მიიღეს კანონი საავტორო ეგზემ-

პლარების შესახებ, რომლის თანახმადაც ბიბლიოთეკა იღებდა ყველა ბექდური და სხვა სახის დოკუმენტაციის ორ-ორ ეგზემპლარს. 1873 წელს კონგრესის ბიბლიოთეკის ახალი შენობის პროექტისათვის კონკურსი გამოცხადდა.

1897 წლის 1 ნოემბერს გაიხსნა კონგრესის ბიბლიოთეკის ახალი შენობა. ბიბლიოთეკამ შემოუშავა საკუთარი კლასიფიკაცია, რომელმაც კონგრესის ბიბლიოთეკის სახელწოდება მიიღო. 1901 წელს ბიბლიოთეკა იწყებს ცენტრალიზებულ კატალოგიზაციას, 1920 წელს კი კატალოგიზაციის ცენტრალური ბიურო ხდება.

XX საუკუნეში კონგრესის ბიბლიოთეკა მსოფლიოში უმსხვილესი ბიბლიოთეკაა, როგორც ფონდის რიცხოვნობით (სულ 130 მლნ ერთეული, მათ შორის 30 მლნ ნივნი), ასევე საქმიანობის მასშტაბებით. გაფართოვდა მისი ფუნქციები, ბიბლიოთეკა ორიენტირებული გახდა ფართო საზოგადოების მომსახურებაზე. შემოუშავა და განხორციელდა ბიბლიოთეკის, როგორც „მულტიმედიაური ენციკლოპედიის,“ კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს იმის უზრუნველყოფას, რომ ყველა კატეგორიის მომხმარებელს ხელი მიუწვდებოდეს ინფორმაციის ყველა სახის მატარებლებსა და ყველა სახის ინფორმაციაზე.

<http://www.loc.gov/>

**რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკა** მოსკოვში 1862 წელს დაარსდა, მაგრამ მკითხველისათვის სამკითხველო დარბაზი მხოლოდ მომდევნო წელს გაიხსნა. მას საფუძვლად დაედო XVIII-XIX სს. რუსი სახელმწიფო მოღვაწის, ცნობილი მეცენატის ნ. პ. რუმიანცევის მუზეუმი-ბიბლიოთეკა. თავდაპირველად რუმიანცევის ფონდი 30 ათას ერთეულს ითვლიდა, რომელშიც ხელნაწერი ნივნები და ხელოვნების მრავალი ნაწარმოებიც იყო თავმოყრილი. ის პეტერბურგში კერძო სასახლეში იყო დაცული, მაგრამ რაკი წლების განმავლობაში შესაფერისი შენობა არ გამოჩნდა, მოსკოვის საზოგადოების თხოვნით, მოსკოვში გადაიტანეს და მას მოსკოვის საჯარო ბიბლიოთეკა და რუმიანცევის მუზეუმი ეწოდა. ფაქტობრივად, ბიბლიოთეკა მუზეუმის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა და განსაკუთრებული ყურადღება არ ექცეოდა. 1917 წლიდან მას სავალდებულო ეგზემპლარები გადაეცა, რამაც მნიშვნელოვნად დააჩქარა ფონდების ზრდა. სხვადასხვა დროს მას 400-ზე მეტი საკმაოდ მოზრდილი ბიბლიოთეკა შეუერთდა. 1921 წელს რუმიანცევის მუზეუმი დაიშალა და ბიბლიოთეკამ დამოუკიდებლობა მიიღო. 1925 წლიდან ვ. ი. ლენინის სახელს ატარებს და სახელმწიფო ეროვნული ბიბლიოთეკის სტატუსს იღებს, 1992 წლიდან რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკად იწოდება. მას დათმობილი ჰქონდა ძველი სასახლის შენობა, პაშკოვის სახლი, რომელიც 1784-86წწ. აშენდა. შემდგომ გვერდით გიგანტური შენობა მიაშენეს. აქ დაცულია 200 ენაზე მეტი ბექდვითი ერთეული. ბექდური ნივნების გარდა, აქ არის ხელნაწერთა უდიდესი კოლექცია, როგორც რუსულ, ისე ევროპის მრავალი ქვეყნის ენაზე. მათგან გამოირჩევა XI-XIII სს. ხელნაწერები, უძველესი სახარებანი, პირველი რუსული ნაბეჭდი ნივნები. ასევე მდიდარია სხვადასხვა ფონდით, როგორც არის რუკები, ატლასები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, 100-ზე მეტი ქვეყნიდან იღებს ნივნებსა და პერიოდულ გამოცემებს. ჯერ კიდევ 40-იან წლებში ბიბლიოთეკას შედგენილი და დაცული ჰქონდა რუსეთის უდიდეს ბიბლიოთეკებსა და საინფორმაციო ცენტრებში არსებული უცხოური ლიტერატურის სრული ბარათული გაერთიანებული კატალოგი, რომელიც მნიშვნელოვან საცნობო-ბიბლოგრაფიულ წყაროს წარმოადგენს. დღესდღეისობით ბიბლიოთეკაში დოკუმენტების სრული ელექტრონული კატალოგი ფუნქციონირებს.

ბიბლიოთეკა არის წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომელიც ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიისა და წიგნმცოდნეობის პრობლემებზე მუშაობს. მასთან შექმნილია ასპირანტურა სპეციალობით „ბიბლიოთეკათმცოდნეობა, ბიბლიოგრაფია, წიგნმცოდნეობა“. იგი გამოსცემს მიმდინარე ბიბლიოგრაფიულ და რეტროსპექტულ მაჩვენებლებს, საბიბლიოთეკო- ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სქემებს, ანარმოებს საერთაშორისო ნიგნცელას და ა.შ. აქვს 36 სამკითხველო დარბაზი, მათ შორის, ელექტრონული ბიბლიოთეკის დარბაზი, ინტერნეტისა და ელექტრონული რესურსების დარბაზი, ელექტრონული კატალოგების დარბაზი. ბიბლიოთეკის საერთო ფონდი 43 მლნ. ის სხვადასხვა ორგანიზაციისა და ასოციაციის წევრია.

[www.rsl.ru](http://www.rsl.ru)

**რუსეთის ეროვნული ეროვნული ბიბლიოთეკა** 1795 წელს სანკტ-პეტერბურგში დაარსდა, მაგრამ მკითხველებისათვის „საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკის სახელით“ 1814 წელს გაიხსნა. 1917 წელს დაერქვა რუსეთის საჯარო ბიბლიოთეკა, 1932 წელს მიენიჭა მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის, 1991 წელს კი — რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკის სახელი. ეკატერინე II ოცნებობდა დედაქალაქში შექმნილიყო ევროპის უდიდესი ბიბლიოთეკების მსგავსი ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა ქალაქის მოსახლეობისათვის, ანუ საჯარო-სახალხო. ეს იყო რუსეთში პირველი ბიბლიოთეკა, რომლისთვისაც სპეციალური შენობა აშენდა, მშენებლობა თითქმის 20 წელს გაგრძელდა, იმპერატორი მის დასრულებას ვერ მოესწრო. ეკატერინე II ჯერ კიდევ ბიბლიოთეკის მშენებლობის დროს იძენდა საზღვარგარეთ სხვადასხვა ხელნაწერებს, ნაბეჭდ წიგნებს, რომლის საფუძველზე შეიქმნა უცხოური ლიტერატურის განყოფილება. ქალაქის მცხოვრებნი მას „განათლების ტაძარს“ უწოდებდნენ. აქ მოდიოდნენ არა მარტო იმისათვის, რომ წაეკითხათ, არამედ იმისთვისაც, რომ ენახათ უნიკალური ხელნაწერები და ნაბეჭდი წიგნები. ის, ძირითადად, კერძო კოლექციით ივსებოდა. კოლექციებიდან აღსანიშნავია „ვოლტერის კოლექცია“, ინკუნაბულები, აღდებისა და ელზვირების მდიდარი გამოცემები.

აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკაში მრავალი უნიკალური ქართული ფონდი ინახება, მეტად საინტერესო მასალებია საქართველოს შესახებ. 66 500 წიგნი და ბროშურა, 381 ქართული ხელნაწერი, 26 ათასი ჟურნალ-გაზეთის 5 ათასი ნლოური კომპლექტი, დაცულია ქართული რუკები, ნოტები და ესტამპები. ბიბლიოთეკის შტაბში და კონსულტანტებად მუშაობდნენ მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, ა. ცაგარელი, ი. ყიფშიძე, ნ. მარი (ბიბლიოთეკის დირექტორი 1924-31წწ. და ამავე დროს სხვადასხვა ხალხის ენებზე არსებული ლიტერატურის განყოფილების გამგე), ი. ჯავახიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ა. შან-იძე და სხვ.

20-იან წლებიდან წიგნთცვლას ევროპის უმსხვილეს ქვეყნებთან ანარმოებდა. ბიბლიოთეკას შემონახული აქვს ტრადიციული კატალოგები, ამავე დროს თითქმის მთელი ფონდი ელექტრონულ კატალოგებშია ასახული. ფონდის საერთო რაოდენობა 34 მლნ შეადგენს, 26 სამკითხველო დარბაზი სხვადასხვა შენობაში წელიწადში 1,5 მლნ მომხმარებელს ემსახურება და 14 მლნ წიგნს გასცემს. ის სხვადასხვა ორგანიზაციისა და ასოციაციის წევრია.

[www.nlr.ru](http://www.nlr.ru)



**საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა** 1846 წელს დაარსდა, როგორც საჯარო ბიბლიოთეკა, მეფის ნაცვლის კანცელარიისა და კერძო ბიბლიოთეკების ზაზაზე. 1852 წელს ბიბლიოთეკა ქართველი მწერლის ვახტანგ ორბელიანის დაკვეთით აგებულ შენობაში განათავსეს. ამ დროისათვის მისი ფონდი 13 ათას ერთეულს აღემატებოდა. იმავე წლიდან ბიბლიოთეკა იღებდა სავალდებულო ეგზემპლარებს. 1868 წელს ბიბლიოთეკა კავკასიის მუზეუმს შეუერთდა და «კავკასიის მუზეუმი და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა» ეწოდა. ბიბლიოთეკის ფონდი წიგნგაცვლის წესით მიღებული გამოცემებით ივსებოდა. 1911 წელს მუზეუმი-სა და ბიბლიოთეკის ახალი შენობის აგებასთან დაკავშირებით, საჯარო ბიბლიოთეკა დროებით დაიხურა. ფონდის დიდი ნაწილი ყუთებში ჩაალაგეს. 1920 წლისათვის ბიბლიოთეკის ფონდი 52 ათას ტომს აჭარბებდა. 1923 წელს საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ. მას საფუძვლად დაედო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან არსებული საჯარო და სხვა ბიბლიოთეკების ფონდები. 1931 წლიდან ბიბლიოთეკამ ბინა დაიღო ყოფილი ქართული სათავადაზნაურო ბანკისათვის განკუთვნილ შენობაში, რომლის ნაწილი მას ადრევე ჰქონდა დაკავებული, ამავე წელს გაიხსნა იგი მკითხველისათვის. ამ დროისათვის მისი ფონდი 91 ათასი წიგნისა და 63 ათასი პერიოდული გამოცემისაგან შედგებოდა. შენობა, რომელშიც განთავსდა ბიბლიოთეკა, ქართული არქიტექტურის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს, იგი ილია ჭავჭავაძის თაოსნობითა და ა. ნ. კალგინის არქიტექტურული შესრულებით აიგო. 1955 წელს მას ეწოდა «საქართველოს სსრ კ. მარქლის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა», 1991 წლიდან — საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, 1996 წლიდან — საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2000 წელს ბიბლიოთეკას ილია ჭავჭავაძის სახელი მიენიჭა.

ბიბლიოთეკაში დაცულია უნიკალური გამოცემები და კოლექციები ქართულ და უცხოურ ენებზე. 1920 წელს ბიბლიოთეკამ შეიძინა ნ. ნიკოლაძის უნიკალური ფონდი. ამავე წლებიდან ბიბლიოთეკამ მიიღო ს. ლ. ზუბალაშვილის წიგნების კოლექცია. საჩუქრად გადმოცემული გამოცემებიდან აღსანიშნავია დიდროსა და დაღამბერის მიერ 1778-1796 წ. შედგენილი ენციკლოპედიის 36 ტომი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავის 13 ათასი ტომისაგან შემდგარი კოლექცია, რომელიც 1937 წელს გადაეცა. ეს ფონდი საფუძვლად დაედო ამავე წელს ბიბლიოთეკაში ჩამოყალიბებულ საარქივო ფონდს, რომელიც ცალკე განყოფილების სახით შევიდა ბიბლიოთეკის სტრუქტურაში. თბილისში, 1709 წელს მეფე ვახტანგ VI-ის მიერ დაარსებული პირველი ქართული სტამბის წიგნებიდან ბიბლიოთეკის ფონდში დაცულია ამ სტამბაში დაბეჭდილი 14 გამოცემა, 1712 წელს მხედრული შრიფტით დაბეჭდილი «ვეფხისტყაოსანი», მოსკოვის ქართულ სტამბაში დაბეჭდილი წიგნებიდან — 1743 წელს გამოცემული «ბიბლია». ბიბლიოთეკაში დაცულია პირველი ქართული გაზეთი «საქართველოს გაზეთი». აქვეა წარმოდგენილი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროინდელი იშვიათი პერიოდიკა, ემიგრანტული გამოცემები, კარტოგრაფიულ გამოცემათა ფონდი, მიკროფილმებისა და მიკროფიშების ფონდი და სხვ. ბიბლიოთეკა ეწევა სამეცნიერო-კვლევით და საგამომცემლო საქმიანობას ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის, წიგნმცოდნეობის დარგებში. აღსანიშნავია «ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის» სამი ტომი. (1940-1944წწ),



„ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ ექვსი ტომი რვა წიგნად (1934-1975წწ). „შრომები“ 5 წიგნად. 1990 წლამდე ბიბლიოთეკის ფონდები ინტენსიურად ივსებოდა. საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შემდეგ გარკვეული სიძნელეები ამ სფეროშიც განჩნდა. ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდი 15.239.200 დაცვის ერთეულს შეადგენს, მათ შორის, წიგნები 3.950.428 ეგზ. ჟურნალები — 2.089.653 ერთეული. ვაზეტი 7.599.400 აკინძვის ერთეული და სხვა სახის გამოცემები.

1996 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“. ამ კანონის მე-4 თავი მთლიანად ეძღვნება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სტატუსს, მის ფუნქციასა და ადგილს ქვეყნის საბიბლიოთეკო სისტემაში. 1997 წელს ცალკე მიიღეს კანონი „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ“. საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ამ კანონის საფუძველზე, 1999 წელს შეიმუშავა ბიბლიოთეკის ახალი დებულება, რომელშიც განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მისია, პრიორიტეტები და ინფრასტრუქტურა. 1989 წელს ბიბლიოთეკაში დაიდგა პირველი კომპიუტერი, რაც ახალი ეტაპის დასაწყისი იყო. ავტომატიზაციის განყოფილების თანამშრომლებმა დაიწყეს ქართული წიგნების ელექტრონული კატალოგის აგება. დაიწყო ბიბლიოგრაფიული მონაცემების შეტანა „ნიგნის მატრიანედან“. 1990 წლიდან ეროვნულმა ბიბლიოთეკამ დაიწყო ელექტრონული ფოსტის გამოყენება. 1995 წელს ეროვნულ ბიბლიოთეკას უკვე ჰქონდა შექმნილი ელექტრონული კატალოგები და მონაცემთა ბაზები: ქართული წიგნები, ქართული ავტორფერატები, უცხოური წიგნები — „უცხოური წიგნების შეერთებული კატალოგი“, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია და სხვ. 1995 წელს დაარსდა ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოციაცია, რომელმაც პირველად განახორციელა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დოკუმენტების ელექტრონული მიწოდების სამსახური უცხოელი მომხმარებლისათვის. 1998 წელს ბიბლიოთეკამ მკითხველისათვის კომპიუტერული კლასი გახსნა. 2000 წლიდან ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ინტერნეტის გამოყენებით მომხმარებლისათვის უფასოდ არის ხელმისაწვდომი უცხოური ჟურნალები. 2001 წლიდან ჩაეყარა საფუძველი ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნას.

ამჟამად საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ინტერნეტში განთავსებულ საკუთარ ელექტრონულ რესურსებს შეადგენს: ელექტრონული კატალოგები — ქართული წიგნები, საქართველოში გამოცემული უცხოური წიგნები, დისერტაციები, ქართული ავტორფერატები, დასავლეთის გამოცემები, კომპაქტ-დისკები. მონაცემთა ბაზები — ქართველი ავტორები, კომპიუტერული და საბიბლიოთეკო ტერმინების ინგლისურ-რუსულ-ქართული ლექსიკონი (5 000 ტერმინი), გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ მონაცემთა ბაზა. ელექტრონული ბიბლიოთეკა — ელექტრონული წიგნები, საჯარო ბიბლიოთეკის სტატისტიკური მონაცემები. ელექტრონული კატალოგები ითვალისწინებს ბიბლიოგრაფიული აღწერილობის საერთაშორისო სტანდარტებს.

<http://www.npl.ge>

საქართველოში მნიშვნელოვან ბიბლიოთეკებს წარმოადგენს: ეროვნული სამეცნიერო, ი. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის, სამედიცინო სამეცნიერო, ი.ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები.

## უცხოური მიმლითეკები საქართულში

საქართველოში ინტენსიურად იზრდება ინტერესი საინფორმაციო ცენტრებისა და უცხოური ბიბლიოთეკებისადმი, რომლებშიც საინფორმაციო მომსახურება საკმაოდ მაღალ დონეზეა. ეს ბიბლიოთეკები უმეტესწილად უცხო ქვეყნების სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ არის დაარსებული.

პირველი ასეთი ბიბლიოთეკა ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში 1995 წელს დაარსდა, ამერიკის საელჩოს დახმარებით, სადაც ლიტერატურა ძირითადად ჰუმანიტარული იყო. დასაწყისში ფონდის საერთო რაოდენობა ათასამდე იყო, ყოველწლიურად ემატება და უფრო მრავალფეროვანი ხდება ფონდის შემადგენლობა. 1999 წელს შემოდის პროგრამა „აირექსი“, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა კომპიუტერული კლასის გახსნა და სტუდენტებისათვის უფასო ინტერნეტით სარგებლობა. ამ ბიბლიოთეკის საფუძველი გახდა 1994 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი „ამერიკანისტიკის“ ლაბორატორია, რომელიც 1998 წელს ამერიკის შესწავლის ცენტრად გადაკეთდა. შესასწავლი საკითხების სპექტრის გაფართოების შედეგად მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის სასწავლო ცენტრის სტატუსი მიიღო. 2002 წელს დაარსდა ამერიკის შესწავლის ცენტრის საქართველოს ასოციაცია. ამერიკის შესწავლის ასოციაცია აერთიანებს ამერიკის შესწავლის საკითხებით დაინტერესებულ პროფესორ-მასწავლებლებს, ასპირანტებს, სტუდენტებს, მაგისტრანტებს, ამზადებს აშშ ისტორიის სახელმძღვანელოებს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისათვის, ამზადებს სტუდენტებს და მაგისტრანტებს საცვლილო პროგრამებში მონაწილეობისათვის. ამ ცენტრის მთავარი მიზანია აშშ ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, მეცნიერების, კულტურის, რელიგიისა და სხვა სფეროების შესწავლა პროფესიულ დონეზე და ამ ცოდნის პოპულარიზაცია ქართული საზოგადოების უფროს ფენებში.

გოეთეს ინსტიტუტის საინფორმაციო — საბიბლიოთეკო ცენტრი შედარებით ახალია, ის 2000 წლიდან ფუნქციონირებს და ბიბლიოთეკებსა და დანესებულებებს ინფორმაციის მოპოვებაში ეხმარება. ბიბლიოთეკებს გერმანულ წიგნებს, დარგობრივ ლიტერატურას, პერიოდიკას აწვდის. გოეთეს ინსტიტუტის ინფორმაციისა და ბიბლიოთეკის განყოფილება აწყობს სემინარებს და სხვა სახის ღონისძიებებს ბიბლიოთეკარებისა და სტუდენტებისათვის, რისთვისაც გერმანიიდან სპეციალისტებს იწვევს. 2003 წლიდან ეწოდა საინფორმაციო ცენტრი, იგი ხელს უწყობს გერმანიის საზოგადოებასთან და კულტურასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე ინფორმაციის მოპოვებას. ამ წლიდან შესაძლებელი გახდა მომხმარებლისათვის კომპიუტერის, ელექტრონული მონაცემთა ბაზისა და ინტერნეტის გამოყენება. მას პარტნიორული ურთიერთობა აქვს საქართველოს დიდ ბიბლიოთეკებთან.

<http://www.goethe.de/ins/ge/tif/wis/bib/deindex.htm>

ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის სახელობის გერმანული ბიბლიოთეკა 2002 წელს გაიხსნა საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკისა და გერმანული კულტურის ინსტიტუტის ერთობლივი პროექტით. ბიბლიოთეკაში არსებული

მასალა, ძირითადად, შემდეგ სფეროებს მოიცავს: თანამედროვე გერმანული ლიტერატურა, საზოგადოება და პოლიტიკა, ეკონომიკა და ისტორია. უფრო დიდი მოთხოვნა ლექსიკონებზე და ენციკლოპედიებზე. მომხმარებელს საშუალება აქვს ისარგებლოს გერმანულენოვანი წიგნებითა და ვიდეოკასეტებით. ბიბლიოთეკა აწარმოებს წიგნებისა და ვიდეოკასეტების გაცემას. ხელმისაწვდომია ყველასათვის, ვისაც გააჩნია ეროვნული ბიბლიოთეკის საშვი.

1998 წლის ოქტომბერში ილია ქავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკაში გაიხსნა **ფრანგული ენისა და კულტურის ცენტრი (დიუმას ცენტრი)**, რომელმაც მკითხველებს კარი გაუღო 1999 წლის იანვარში. 2000 წელს ბიბლიოთეკაში შეიქმნა ელექტრონული კატალოგი, ხოლო 2003 წელს გაიხსნა საბავშვო განყოფილება, ბიბლიოთეკის შექმნის მიზანია, თანამედროვე საფრანგეთი აისახოს ყველა სფეროში, ყველა სახის დოკუმენტი. ფონდთან თავისუფალი დაშვებაა და ყველა დოკუმენტის გატანა შეიძლება. ბიბლიოთეკა ემსახურება ყველა კატეგორიის მომხმარებელს. აქვს 14 ათასზე მეტი დოკუმენტი, 90 დასახელების ჟურნალ-გაზეთი, აქტიურად ანყოფნის კულტურულ ღონისძიებებს: ახალი წიგნების გამოფენებს, თემატურ გამოფენებს, ყოველკვირეული ფილმების სეანსებს, ახალი დისკების პრეზენტაციებს და ა. შ. [www.ccf.tbilissi.caucasus.net](http://www.ccf.tbilissi.caucasus.net)

**2000 წელს ილია ქავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში დაარსდა ავსტრიული ბიბლიოთეკა**, რომელიც 2002 წელის გაიხსნა. მას აქვს კულტურის ცენტრის ფუნქციები, ემსახურება ნებისმიერ მკითხველს. ბიბლიოთეკის ფონდს შეადგენს ავსტრიელი ავტორების, ავსტრიული გამოცემლობების წიგნები, გარდა ამისა, სხვა ქვეყნების მიერ გამოცემული წიგნები ავსტრიის შესახებ. ბიბლიოთეკაში კვირაში ერთ დღეს ეწყობა ავსტრიული ფილმების ჩვენება. ბიბლიოთეკა მართავს საინფორმაციო შეხვედრებს და სემინარებს, ბიბლიოთეკის ფონდი ასახულია ელექტრონულ კატალოგში.

<http://www.oestbib.iliuni.edu.ge>

**2000 წლიდან თბილისში ფუნქციონირებს ბრიტანეთის საბჭო და მისი ბიბლიოთეკა.** საინფორმაციო ცენტრი მომხმარებელს სთავაზობს წიგნების ფართო არჩევანს: ბრიტანული კულტურა, პოლიტიკა, ხელოვნება, ბიზნესი, ფინანსები, მარკეტინგი, ინგლისური ენის შესასწავლად საჭირო ლიტერატურა. ტარდება ინგლისური ენის შესწავლის კურსი მოზარდებისათვის, მოსამზადებელი კურსი კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოცდებისათვის და სხვ. ტრადიციული ბეჭდური პროდუქციის გარდა, ბიბლიოთეკა გვთავაზობს აუდიო და ვიდეოკასეტებს. ლიტერატურა მხოლოდ ინგლისურენოვანია. ბიბლიოთეკის რესურსების მოძიება გაადვილებულია ელექტრონული კატალოგების მეშვეობით. ყველა საჭირო მასალის ასლების გადაღება იაფი ჯდება, რა თქმა უნდა, დაცულია საავტორო უფლებები. აქვე შეუძლია მომხმარებელს მიიღოს ინფორმაცია ბრიტანეთში სწავლის შესახებ. ბიბლიოთეკის წევრებისათვის ინტერნეტთან დაშვება თავისუფალია. წიგნის შეკვეთა ტელეფონითაც შეიძლება. წიგნის გატანა 4 კვირით არის ნებადართული. ნებისმიერ მსურველს შეუძლია განეწვიანდეს ბიბლიოთეკაში, რომლის ღირებულება არის 20 ლარი.

[www.britishcouncil.org.ge](http://www.britishcouncil.org.ge)

1991 წლის ოქტომბრიდან აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შენობაში დაარსდა **იაპონური ენის შესწავლის ცენტრი**, ამჟამად ფონდის რაოდენობა დაახლოებით 5 ათასია. ლიტერატურა მხოლოდ იაპონურ ენაზეა და ემსახურება იაპონური ენის შესწავლით დაინტერესებულ სტუდენტებს.

[www.tiaa.edu.ge](http://www.tiaa.edu.ge)

თავისი სასწავლო ფონდით გამოირჩევა **ამერიკული აკადემია** — კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომელიც 2000 წელს დაარსდა. სკოლის ატმოსფეროს ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანია საგანგებოდ შერჩეული ამერიკული სახელმძღვანელოები. აქვთ ანბანური და თემატური კატალოგი ტრადიციული და ელექტრონული ვერსიით, კატალოგების თაროსთან დაშვება თავისუფალია.

ამერიკული კულტურის პოპულარიზაციას ეწევა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაარსებული ე. წ. **„ამერიკული კუთხეები“**, რომლებიც რეგიონის მთავარი ბიბლიოთეკის ბაზაზე ჩამოყალიბდა. ისინი არსებობს თელავში, გორში, ხაშურში, ბათუმში, ცხინვალში. საქართველოში არ არსებობდა ენობრივი ნიშნით ბიბლიოთეკების დაყოფის ტრადიცია, ამჟამად, ამან უკვე სისტემატური ხასიათი მიიღო. თბილისში ჩნდება სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებთან და სხვა უცხოურ ორგანიზაციებთან შექმნილი ენობრივი პროფილის ბიბლიოთეკები, რომელთა მთავარი მიზანია უცხოური ენებისა და მათი კულტურის პოპულარიზაცია.

## ელექტონული მიმლითოეკები

<http://www.academicinfo.net>

<http://www.digital-librarian.com>

<http://infomine.ecr.edu/>

<http://www.ipl.org/>

<http://lii.org/>

<http://www.hw.ac.uk/libWWW/irn/pinakes/pinakes.html>

<http://vlib.org/>

## აბდეი სანთდბმაცდ სიეტცეში

ქვეყნის ისტორიის, მისი წარსულის სრულყოფილი გაშუქება შეუძლებელია წერილობითი წყაროების, საარქივო დოკუმენტების გარეშე. არქივი ნიშნავს დამოუკიდებელ დაწესებულებას ან დაწესებულების ერთ-ერთ სტრუქტურულ ნაწილს, რომლის ძირითადი დანიშნულებაა დოკუმენტური მასალების მიღება-აღრიცხვა, დაცვა-შენახვა, დამუშავება (სისტემატიზაცია, აღწერა, სამეცნიერო-საცნობარო აპარატის შექმნა და მათი გამოყენება მეცნიერული, პრაქტიკული და კულტურული მიზნებისათვის). არქივი ლათინური სიტყვაა, მომდინარეობს ძვ. წ. II საუკუნიდან და ნიშნავს ადგილს, სადაც ინახება სახელმწიფო აქტები. ეტიმოლოგიურად იგი უკავშირდება ბერძნულ

არხონს, რომელიც თავდაპირველად ნიშნავდა ადგილს, სადაც იმყოფებოდა ხელისუფლება, ხოლო შემდგომ, კერძოდ კი, პირველი საუკუნიდან ჩვენს ნელთალრიცხვამდე, ადგილს, სადაც შენახული ჰქონდათ ოფიციალური დოკუმენტები. ძველ საბერძნეთში საბუთსაცავის აღმნიშვნელ ტერმინად „მეტრონი“ გამოიყენებოდა. არქივს ეს სახელწოდება ღმერთების დედის ტაძრის — მეტრონის სახელის მიხედვით დაერქვა. მეტრონი არქივად ძველი ნელთალრიცხვის IV საუკუნიდან ითვლებოდა. აქ ინახებოდა იმ აქტების საბუთების ორიგინალები და ასლები, რომლებიც უმაღლესი ხელისუფლების პირებისაგან გამომდინარეობდა. არქივებში ინახება ისტორიული პირველწყაროები, დაწესებულება-ორგანიზაციათა, საწარმოთა და ცალკე პირთა მუშაობის პროცესში შექმნილი დოკუმენტები. არქივი ასახავს ამა თუ იმ ეპოქაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ, იდეოლოგიურ მდგომარეობას.

ამ დაწესებულების წარმოშობა დაკავშირებულია წერილობითი ძეგლების გაჩენასთან და მათს დაცვასთან. თავდაპირველად, საბუთსაცავის მოვალეობას ბიბლიოთეკა ასრულებდა. იგი, როგორც წერილობითი ძეგლების საზოგადოებრივი საცავი, უძველეს დროში შეიქმნა. ცნობილია ძველი ნელთალრიცხვის ბიბლიოთეკები — III საუკუნეში დაარსებული ალექსანდრიის და პერგამონის, უფრო ადრე — VII საუკუნეში ასურეთის მეფის ასურბანიფალის ბიბლიოთეკა, რომლებიც მეტად ვიწრო წრისათვის იყო ხელმისაწვდომი. შემდგომში ბიბლიოთეკები კარგავენ საბუთსაცავის ფუნქციას და ინარჩუნებენ მხოლოდ წერილობითი ძეგლების საცავის ფუნქციებს. არქივებში დაცულ ზოგიერთ დოკუმენტს ჰქონდა აღნიშვნები, რომლებიც შიფრს მოგვაგონებს. დოკუმენტების შენახვის ხერხები და არქივების მოწყობილობა თითქმის უცვლელია ათწლეულების მანძილზე. დოკუმენტის შესანახად იყენებდნენ სხვადასხვა მოწყობილობა — აგურისა და თიხის ნიშებს, თიხისა და ხის ყუთებს, კალათებს, თიხის ჭურჭელს. კალათებსა და ყუთებს აკრავდნენ თიხის ეტიკეტებს შესანახი დოკუმენტების აღმნიშვნელი წარწერით. ზოგჯერ ეტიკეტზე მითითებული იყო დოკუმენტის სათაური, პიროვნება, რომელსაც ეხებოდა ეს დოკუმენტი და მისი შექმნის თარიღი. უძველესი სახელმწიფოს არქივები მეტწილად სასახლის (ხელისუფლების) არქივების კატეგორიას განეკუთვნება. მონათვლობელი სახელმწიფოების ტერიტორიული ზრდისა და განმტკიცების კვალობაზე ფართოვდებოდა ხელისუფლებისა და მმართველობის ფუნქციები, შესაბამისად იზრდებოდა დოკუმენტების რაოდენობაც. მეფეთა სასახლეებში ინახებოდა მათი ბრძანებულებები და კანონები, სამართლის წიგნები, სხვა სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულებები, საგარეო-პოლიტიკური მიმოხილვა, მაღალი თანამდებობის პირთა, მხედართმთავართა მოხსენებები, მეფის ანალები.

ძველ სახელმწიფოებში საქმიანი დოკუმენტებისა და ლიტერატურული ტექსტების შენახვა არ იყო მკაცრად გამიჯნული. ამიტომაც, როგორც ტაძრების, ისე სასახლის მრავალი საცავი შერეულ ხასიათს ატარებდა. ჩვენს ნელთალრიცხვამდე IV საუკუნის პირველ ნახევარში ყველა სახელმწიფო საბუთი და აქტი გადატანილ იქნა ერთ შენობაში — ღმერთების დედის ტაძარ მეტრონში. ამრიგად IV საუკუნეში მეტრონი, გარკვეული თვალსაზრისით, ცენტრალურ სახელმწიფო არქივად გადაიქცა, სადაც ინახებოდა მთავრობის დეკრეტები და კანონები, საბჭოსა და სახალხო კრების საქმეები, სამოკავშირეო ხელშეკრულებები, დიპლომატიური მიმოხილვა და სხვა განსაკუთრებულად მნიშ-

ენელოვანი სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის დოკუმენტები. როგორც ცნობილია, არქივების წარმოშობა, ერთი მხრივ, წერილობითი ძეგლების გაჩენას, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ძეგლების დაცვა-შენახვის აუცილებლობას უკავშირდება.

საქართველოში უკვე ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან არსებობდა საისტორიო ხასიათის წარწერები. ხოლო XI საუკუნის მემატინის ლეონტი მროველის ცნობით, ქართული დამწერლობა ქართლის სამეფოს პირველი მეფისა და ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებლის ფარნავაზ პირველის დროს, ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეთა მიჯნაზე შეუქმნიათ და ხმარებაში შემოვილიათ. მეცნიერთა უმრავლესობა ასაბუთებს, რომ ჩვენამდე რეალურად მოღწეული უძველესი დამწერლობითი ძეგლები არ შეიძლება ქრონოლოგიურად პირველად ძეგლებად მივიჩნიოთ, რომ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე არსებობდა ქართული წარმართული მწერლობა, რომელიც ქრისტიანულმა ეკლესიამ და ჟამთა სიავემ იმსხვერპლა. ქართველმა ხალხმა ოდითგანვე იცოდა წერილობითი ძეგლების მნიშვნელობა და ამიტომ იცავდა მათ და ინახავდა. სამეფო კარზე მოღვაწეობდნენ მდივან-მნიგნობრები, რომელთაც წერა ხელობად ჰქონდათ ქვეული და შესაფერის პირებთან და დაწესებულებებში იყვნენ განსწავლული. არქივებისა და საარქივო საქმის ისტორიის თვალსაზრისით, მრავალმხრივ საყურადღებოა ტერმინ დივანის ეტიმოლოგიური წარმოშობა და მნიშვნელობა. დივანი სპარსული სიტყვაა, მისი თავდაპირველი მნიშვნელობაა „ჩანაწერი“, „ნიგნი“. შემდეგ ამ ტერმინმა სახელმწიფო კრების, კანცელარიის, დაწესებულების მნიშვნელობა მიიღო. სამეფო არქივსაცავს პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა და მასში დაცული საბუთების გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. სახელმწიფო არქივების გარდა, ძველ საქართველოში საეკლესიო-სამონასტრო არქივები (სიონი, შიომღვიმე, მცხეთა, გელათი, ალავერდი, სამთავისი, ნიკორწმინდა და სხვ.) არსებობდა. ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა ეკლესია-მონასტრების უდიდეს დამსახურებას ქართველი ერის მატერიალური და სულიერი საგანძურის საიმედოდ დაცვის საქმეში.

1801 წლის საქართველოს საარქივო საქმის განვითარებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ დაარსებულ საუნეებო არქივთა შორის ამიერკავკასიაში ძველ საბუთთა ერთ-ერთი სახიზარი (საბუთსაცავი) იყო საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის არქივი, რომელშიც სხვა დოკუმენტებთან ერთად, ძველი ქართული საბუთებიც ინახებოდა. კანტორა საქართველოში სასულიერო მმართველობის მოწყობის მიზნით 1814 წელს დაარსდა. ამჟამად ის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინახება. სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი დოკუმენტები: მეფისნაცვლის დიპლომატიური კანცელარიის არქივის მასალები, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის არქივის მასალები, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს არქივის მასალები და სხვ. მრავალ უნიკალურ მასალას მოუყარა თავი საქართველოს საისტორიო და ეთნოგრაფიული საზოგადოების არქივმა, რომელიც 1907 წელს დაარსდა. შემდეგ პერიოდში ფუნქციონირებდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის არქივი (1918-1919წწ), საქართველოს დამფუძნებელი კრების არქივი (1918-1919წწ), შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (1918-21წწ), საქართველოს მინთომოქმედების სამინისტროს არქივი (1918-1921წწ). საარქივო საქმის განვითარება იწყება 1920 წლის 23 აპრილს, როდესაც დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი რესპუბლიკის ცენტრალ-



ური სამეცნიერო არქივის დაარსების შესახებ, რომელმაც ოლღას ქუჩაზე (ამჟამად მ. კოსტავას) ყოფილი სამხედრო საილქო სასამართლოს შენობაში დაიდო ბინა და დაიწყო მუშაობა დოკუმენტების მიღებაზე. ასე ეყრებოდა საძიარკველი ეროვნული დოკუმენტური ძეგლების ერთ ადგილზე თავმოყრისა და დაცვის უზრუნველყოფის საშვილიშვილო საქმეს. ცენტრალური სამეცნიერო არქივის უშუალო მემკვიდრეა საქართველოს ცენტრალური საიტორიო არქივი. არქივი საბოლოოდ 1940 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის სახელწოდებით და ზემოთ ხსენებული ცალ-ცალკე არსებული არქივები გააერთიანა. 1990 წლის დეკემბერში საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი სარქივო სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო გაერთიანება „მემატიანე“, რომელიც უშუალოდ მთავრობას დაექვემდებარა. 1995 წელს „მემატიანე“ საქართველოს რესპუბლიკის საარქივო დეპარტამენტად გარდაიქმნა, ხოლო 1997 წელს — საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტად. ეს არქივი საქართველოს უდიდესი ფონდსაცავია, რომელშიც 933 ათასზე მეტი საქმე ინახება. აქ მოქმედებს ფოტოდოკუმენტების ლაბორატორია, რომელიც 1944 წელს შეიქმნა და 350 ათასზე მეტი კინო, ფოტო და ფონოდოკუმენტს ინახავს.

გარდა ცენტრალური სახელმწიფო არქივებისა, საქართველოში ფუნქციონირებს საქალაქო და რაიონული სახელმწიფო არქივები, რომლებიც ორმაგ დაქვემდებარებაში არიან. ადმინისტრაციულად და ფინანსურად ისინი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ემორჩილებიან. მათ არქივ-საცავებში ინახება დოკუმენტები ან დოკუმენტების კომპლექსები, რომლებიც ამა თუ იმ ქალაქის ან რაიონის ტერიტორიაზე განთავსებული მმართველობითი ორგანოების, საწარმო-დანესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ცალკეული პიროვნებების საქმიანობის შედეგად იქმნება. საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ 6 ცენტრალურ, 6 საქალაქო და 57 რაიონულ სახელმწიფო არქივში დაცულია ეროვნული საარქივო ფონდი — 4770 ათასი წერილობითი, 28 ათასი კინო, 305 ათასი ფოტო და 16 500 ფონოდოკუმენტი. აქ ინახება ქართველ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა, სამხედრო პირთა, მწერალთა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა მემკვიდრეობა. საარქივო დოკუმენტები მოგვიტოვებენ 1905 წლის რევოლუციის წინა პერიოდში კახეთის, გურიის, იმერეთის, სამეგრელოს, სვანეთის, დუშეთის, გორის გლეხთა მღელვარების და აჯანყების ამბებს. აქვეა დაცული დიმიტრი ყიფიანის მიერ შედგენილი საგლეხო რეფორმის პროექტი და მისი წერილები. ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინახება 1832 წლის შეთქმულების მასალები. კერძოდ, ა. აფხაზის, ს. დოდაშვილის, დ. ყიფიანის, გ. ორბელიანის, ა. ჭავჭავაძის, ე. ერისთავის და სხვათა ჩვენებები, საგამომძიებლო კომისიის ოქმები. ფონდებში დაცულია 1819 წლის პირველი ქართული გაზეთის „ტფილისის უწყებანის“ და 1832 წლის ყურნალ „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანის“ ორიგინალები, პირველი დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის პროექტები, რესპუბლიკის გერბის და დროშის ნიმუშები, საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია და აქტი. დიდ ყურადღებას იპყრობს საზღვარგარეთ გამოცემული ქართული ემიგრანტული ლიტერატურის კოლექცია — ვიქტორ ნოზაძის, გრიგოლ რობაქიძის, ალექსანდრე მანველიშვილის, გ. ყიფიანის და სხვათა ნაწარმოებები. ქართული თეატრალური ცხოვრების ამსახველი



დოკუმენტები, ქართული კინემატოგრაფიის დაბადებისა და შემდგომი განვითარების დოკუმენტები.

არქივები, როგორც წარსულის კულტურული მემკვიდრეობის დიდმნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილი, ერის მესხიერებას ინახავს. საარქივო დოკუმენტების გამოყენება მეცნიერული მუშაობის გამოხატულებაა და მიზნად ისახავს **რეტროსპექტული ინფორმაციით** საზოგადოების უზრუნველყოფას. სახელმწიფო არქივები ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით, საპუბლიკაციო და მეთოდოლოგიურ მუშაობას ეწევიან. უნდა აღინიშნოს ქართველი მეცნიერის, საქართველოში საარქივო საქმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, პროფესორ შალვა ჩხეტიას დიდი წვლილი საარქივო საქმის, განსაკუთრებით, დოკუმენტების გამოყენების დარგში. მას ეკუთვნის მრავალი ნაშრომი საარქივო საქმის თეორიულ თუ პრაქტიკულ პრობლემებზე. ესენია: „არქივებისა და საარქივო საქმის ისტორია“, „არქივმცოდნეობის საფუძვლები“, „თანამედროვე არქივმცოდნეობის ძირითადი პრობლემები“ და სხვ. სახელმწიფო არქივები გამოსცემენ დოკუმენტების კრებულებს, ალბომებს, ბუკლეტებს, პერიოდულ ორგანოს „საისტორიო მოამბე“ და ა.შ. სახელმწიფო არქივი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ტელერადიო-კორპორაციასთან, თითქმის მთლიანად საარქივო მასალებზეა აგებული დოკუმენტური ფილმების სერიאלები. 1990 წლამდე გამოდიოდა პერიოდული ორგანო „სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი“. **დოკუმენტების გამოყენებისას** მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თემატური გამოფენების მოწყობას. საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის საგამოფენო დარბაზში სისტემატურად ეწყობა საარქივო დოკუმენტების თემატური გამოფენები, რომლებზე წარმოდგენილი მრავალი საბუთი, დოკუმენტური კინო და ფოტომასალა გარკვეულ წარმოდგენას უქმნის დამთვალიერებელს საქართველოს წარსულსა და დღევანდელობაზე.

საქართველოს კანონმდებლობით არქივები სამ კატეგორიად იყოფა: სახელმწიფო, საუწყებო და კერძო. სახელმწიფო არქივები ცალკე სახელმწიფო დაწესებულებებია, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული საარქივო ფონდის მუდმივ შენახვას, საუწყებო არქივები არსებობენ სახელმწიფო ორგანოებთან და სხვა დაწესებულებებთან ერთად აზორციელებენ დოკუმენტების დროებით შენახვას, წარმოადგენენ სახელმწიფო არქივებში დაცული ეროვნული საარქივო ფონდის ახალ-ახალი დოკუმენტებით შევსების წყაროს.

საქართველოს საარქივო დარგის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს პარლამენტმა **2006 წლის 29 დეკემბერს** მიიღო ახალი დოკუმენტი: **საქართველოს კანონი ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ**, რომელიც 2007 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში. ამ კანონის მეორე მუხლში ჩამოყალიბებულია მთავარი ამოცანები: ა) საქართველოში არქივის მართვის პრინციპებისა და სისტემის განსაზღვრა; ბ) ეროვნული საარქივო ფონდის დაცვის, შევსების, აღრიცხვისა და ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტებით სარგებლობის ძირითადი პრინციპების დადგენა; გ) საქართველოს ეროვნული არქივის მიერ განეული მომსახურების საფასურის ოდენობის განსაზღვრა.

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ საქართველოს დამოუკიდებლად აღიარებამდე ამ ფონდებით სარგებლობა შეზღუდული იყო, ახალ კანონში კი ნათქვამია, რომ ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტებთან დაშვება თავისუფალია, გარდა ამ მუხ-



ლის მე-4 პუნქტითა და ამ კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. დაიტერგებულ პირს შეუძლია, საინფორმაციო-საძიებო სისტემის მეშვეობით მოძებნოს და გაცნოს ეროვნული სარქივო ფონდის დოკუმენტებს, გააკეთოს დოკუმენტებიდან ამონაწერი და ისარგებლოს ეროვნული არქივის საინფორმაციო მომსახურებით. ეროვნული არქივის მიერ განუწეული მომსახურება ფასიანია. კანონის 30-ე მუხლში აღნიშნულია მომსახურებისათვის დადგენილი სავალდებულო გადასახდელი. აღნიშნულ კანონს აქვს დანართი: საფასურის განაკვეთები, რომელშიც კონკრეტულად არის განსაზღვრული მომსახურების სახეობების მიხედვით დადგენილი ნორმები. ამ კანონის ამოქმედებამ საზოგადოების გაზრდილი ინტერესი გამოიწვია არქივის მიმართ. დოკუმენტების გაცნობა ადამიანებს საშუალებას აძლევს სწორად შეაფასონ წარსული და აწმყო. არქივებში დაცული მრავალფეროვანი მასალა ეტრატზე დაწერილი უძველესი გუჯრების, ხელნაწერი წიგნებისა თუ კინოფოტოფონოდოკუმენტების სახით საისტორიო მეცნიერების პირუთვნელი წყარო, ჩვენი ქვეყნის უმდიდრესი მატრიანე, კულტურული საუნჯეა, რომლის გონივრული გამოყენება სწორედ დღეს იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

## სამიშლითოთუა თდნტტი

ბიბლიოთეკის მნიშვნელობა და სიმდიდრე, ძირითადად, ფონდებით ფასდება. ამიტომ ფონდების მიზანმიმართული გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ბიბლიოთეკაში არსებული სისტემა საშუალებას იძლევა, რომ მკითხველს ყოველ დოკუმენტზე მიუწვდებოდეს ხელი. სიტყვა «ფონდი» გერმანული ენიდან მოდის და ნიშნავს რაიმეს საერთო საფუძველს. ამჟამად ფონდის ყოველ შემადგენელ ერთეულს «დოკუმენტს» უწოდებენ. დოკუმენტი თავისთავად ბიბლიოთეკას არ წარმოადგენს, თუკი იგი სისტემად არ არის ჩამოყალიბებული. ამგვარად, ბიბლიოთეკის განმსაზღვრელი ელემენტი-დოკუმენტი» კი არ არის, არამედ დოკუმენტების მონესრიგებული ერთობლიობა, რომელიც გარკვეული წესით არის დალაგებული და დაცული კანონმდებლობით. **დოკუმენტი (document)** რაიმე მატერიალურ მატარებელზე ტექსტის, ხმის, გამოსახულების (ან მოძრავი გამოსახულების) სახით ჩაწერილი საინფორმაციო ელემენტია, რომლის დანიშნულებაა საზოგადოებრივი გამოყენება სივრცესა და დროში. კერძო შემთხვევაში დოკუმენტის ტექსტი შეიძლება იყოს მონაცემთა ელემენტი, კომპიუტერული პროგრამა და სხვ. ცხადია, რომ დოკუმენტი შეიძლება იყოს ფაილი ან პირიქით.

ბიბლიოთეკის ფონდები თავისი შინაარსის, გამოცემის სახეების, მიზნობრივი და მკითხველური დანიშნულების მიხედვით სხვადასხვაგვარია. შინაარსის მიხედვით, ფონდი შეიძლება იყოს **უნივერსალური და სპეციალური (დარგობრივი)**. ბიბლიოთეკის ფონდების დაყოფა, უპირველესად, **გამოცემათა სახეების მიხედვით ხდება, ეს არის:**

1. ბეჭდვითი ნაწარმოებები — არაპერიოდული გამოცემები (წიგნები, რუკები, ატლასები, ალბომები, ნოტები, ცალკეული სახის გამოცემები და სხვ.), პერიოდული გამოცემები (ჟურნალები, გაზეთები, გრძელდებადი გამოცემები), დოკუმენტაციის სპეც. სახეები (სახელმწიფო სტანდარტები, საავტორო მონომები და სხვ.);
2. რეპროდუცირებული

მასალა (ქსერო ასლები, მიკროფილმები და სხვ.); 3. გამოუქვეყნებელი მასალა — დისკრეტული ერტყიები, მანუსკრიპტები, დეკონირებული ხელნაწერები, სამეცნიერო შრომების ანგარიშები და სხვ.; 4. აუდიოვიზუალური მასალა — ფონომასალა (გრამფირფიტები, მაგნიტოფირები, დიაფილმები, ვიდეოდისკები და სხვ.); 5. სამანქანო კითხვა (პერფორირებული, პერფოლენტები). ფონდების კლასიფიკაცია ენობრივი ნიშნის მიხედვითაც შეიძლება: ფონდები მშობლიურ ენაზე, უცხო ენებზე. ასევე შეიძლება დაჯგუფება გეოგრაფიული ნიშნის მიხედვითაც — ავტონომიურ რესპუბლიკებში, უცხო ქვეყნებში, ამა თუ იმ რეგიონში გამოცემული წიგნები, იგულისხმება ე. წ. **სამხარეო ლიტერატურა**, ანუ ის ლიტერატურა, რომელიც ამა თუ იმ მხარეში გამოცემულა, განურჩევლად მისი შინაარსისა თუ ენისა. შედარებით გამორჩეულ ტიპს წარმოადგენს **მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურის** ფონდი. ჩვეულებრივ, დიდი ბიბლიოთეკები თავს უყრიან ლიტერატურას, რომელიც ამ ერის ისტორიულ, გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და სხვა დამახასიათებელ თავისებურებებს ასახავს. რაც შეეხება დაყოფას **ასაკობრივი** ნიშნის მიხედვით, უმეტესწილად, ეს მაშინ ხდება, როდესაც ბიბლიოთეკა ბავშვებსაც ემსახურება. ამ შემთხვევაში ფონდები ცალკე გამოიყოფა ბავშვებისა და მოზარდებისათვის. მთელ რიგ ბიბლიოთეკებში ფონდებს იმის მიხედვითაც გამოყოფენ, თუ რამდენად **აქტიურად** გამოიყენება ისინი. აქტიურ ფონდს **ოპერატიულ** ფონდსაც უწოდებენ, რაც იმას გულისხმობს, რომ ამ ფონდზე მოთხოვნა შედარებით დიდია. არსებობს უმარტივესი სტრუქტურის ბიბლიოთეკები, რომლებსაც ქვეგანყოფილები არ გააჩნიათ და ბიბლიოთეკები, რომლებსაც შედარებით რთული სტრუქტურა აქვთ — განყოფილებები, სექტორები. ბიბლიოთეკის ფონდების დიფერენცირება **დანიშნულების მიხედვით**, ფაქტობრივად, ლიტერატურის განაწილებას წარმოადგენს ქვეგანყოფილებებს შორის, რომელთაც თავიანთი ფონდები აქვთ, ასეთებია: საცავი, აბონემენტი, სამკითხველო დარბაზი, ბიბლიოგრაფიული, პერიოდიკის, მეთოდური განყოფილებები და სხვ. დანიშნულების მიხედვით კიდევ ორი კატეგორიის ფონდს განასხვავებენ: **ძირითადსა და დამხმარეს**. მიიჩნევენ, რომ ძირითადია ის ფონდი, რომელსაც ადგილი მუდმივად აქვს მიჩნეული სტრუქტურულ ქვეგანყოფილებაში, დამხმარე ფონდისათვის კი დამახასიათებელია გამოყენების პერიოდულობა, შედარებით მოკლევადიანობა, გარკვეული დროის განმავლობაში ეს ფონდი ძირითად ფონდში ბრუნდება. ყოველგვარ დაყოფას თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ის ხელს უწყობს საქმის ორგანიზაციასა და მართვას, მკითხველთა უკეთ მომსახურებას.

საბიბლიოთეკო ფონდები იმგვარადაა განთავსებული, რომ მისი გამოყენებისათვის რაციონალური პირობები იყოს შექმნილი. ფონდების რაციონალურად განთავსება გულისხმობს, ერთი მხრივ, მათ მოხერხებულად დანაწილებას საცავსა თუ სხვა სტრუქტურულ ქვეგანყოფილებაში, მეორე მხრივ, მათ განლაგებას, რაიმე სისტემის მიხედვით. ეს კი მკითხველის ოპერატიულად და შეუფერხებლად მომსახურების საშუალებას იძლევა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორაა ორგანიზებული ბიბლიოთეკაში კომუნიკაციური საშუალებები, როგორი ურთიერთკავშირი არსებობს დამუშავებასა და საცავს, განსაკუთრებით კი, საცავსა და მომსახურების ობიექტს შორის. **ფონდის განთავსების სამი ძირითადი ვარიანტი არსებობს: ჰორიზონტალური, ვერტიკალური და შერეული**. საერთოდ, ფონდების მოთავსების სისტემას თავისი განვითარების ისტორია აქვს. უძველეს ბიბლიოთეკებში, სადაც მხოლოდ თიხის ფირფიტებისა და პაპირუსის

გრაგნილების წიგნები იყო, ფონდების დასაცავად სპეციალური ყუთები და კოლოფები გამოიყენებოდა. XVII საუკუნეში შემოდის კარადები, შემდეგ კედლის თაროები. ამჟამად არსებობს მექანიკური და ავტომატური სტელაჟები. სწორად განთავსების მიზანი ისაა, რომ გამოყენებულ იქნეს ფართობის მთლიანი ნაწილი, მოეწყოს მოძრავი თაროები, რომლებიც ერთმანეთს მიეჯრება და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში დაშორდება წიგნების გამოსაღებად. დიდ ბიბლიოთეკებში გავრცელებულია პორიზონტალური განთავსების ვარიანტი წიგნის თაროსთან მკითხველთა თავისუფალი დაშვებისათვის. ეს უმთავრესად აქტიურად გამოყენებული ფონდებისათვის არის რეკომენდებული და ფონდების გამოყენების განსაკუთრებული ორგანიზაცია ესაჭიროება. ამ შემთხვევაში მცირდება მანძილი და შესაბამისად დროც, ფონდსა და მკითხველს შორის. შედარებით რაციონალური ხდება გზა ფონდთან. თავისუფალი დაშვება ფონდთან საშუალებას იძლევა მკითხველმა თავად შეარჩიოს საჭირო ლიტერატურა, ამიტომ ფონდი იმგვარად უნდა განთავსდეს, რომ მკითხველს არ გაუჭირდეს მასში ორიენტაცია და თავისუფალი მოძრაობა. თავისუფალი დაშვების დროს მკითხველს უშუალოდ წიგნებთან აქვს საქმე, რაც უფრო ნაყოფიერსა და სასარგებლოს ხდის ძიების პროცესს.

ფონდების განთავსების ბოლო ვარიანტია დოკუმენტების გარკვეული სისტემის მიხედვით დალაგება. ფონდების განლაგებისას ბევრ რამეს უნდა მიექცეს ყურადღება: უპირველესად, ის გამოყენებისათვის ხელსაყრელი უნდა იყოს, უმსუბუქებდეს შრომას ბიბლიოთეკარსა და მკითხველს, უზრუნველყოფდეს წიგნის შერჩევის დაჩქარებულად წარმოებას, ადვილად ხერხდებოდეს საჭირო წიგნის პოვნა და დაბრუნებული წიგნის მისაღვილზე ჩართვა. ყველა ბიბლიოთეკა ცდილობს, იმგვარი სისტემა შეირჩიოს, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თავისი პროფილის ამოცანებსა და შესაძლებლობებს.

**საერთოდ, განლაგების სისტემათა კლასიფიკაციის დროს ორ ჯგუფს გამოყოფენ:** ძირითადად, რომელიც ფონდს შინაარსის თვალსაზრისით განსაზღვრავს, და მეორეხარისხოვანს, როდესაც დაყოფის საფუძვლად რაიმე ფორმალური ნიშანია აღიარებული. **პირველს განეკუთვნება: სისტემატური, საგნობრივი, თემატური განლაგებანი, მეორეს: ანბანური, ქრონოლოგიური, გეოგრაფიული, ენობრივი, ფორმატული, ნუმერაციული.** შინაარსობრივი ტიპის განლაგებები უმთავრესად იმგვარ ბიბლიოთეკებში გამოიყენება, სადაც ფონდები გიგანტურ მასშტაბს არ აღწევს, სადაც შესაძლებელია ყოველ სტელაჟზე სარეზერვო ადგილების დატოვება, შემდგომში მათი ფონდებით შესავსებად. შინაარსობრივ განლაგებებს შორის ყველაზე გავრცელებულია სისტემატური განლაგება. ამ დროს წიგნები ცოდნის დარგების მიხედვითაა განლაგებული, ხოლო ყოველი განყოფილებისა და ქვეგანყოფილების შიგნით განლაგება უმეტესად ავტორის ან სათაურის საწყისი სიტყვის ანბანის რიგის მიხედვით ხდება. ფონდის დაჯგუფების საფუძველია საკლასიფიკაციო სისტემის ტაბულები (სქემები), რომლებიც მოცემულ ბიბლიოთეკაში გამოიყენება. ყოველ წიგნს თავფურცელზე, გარეკანზე თუ ყდაზე, ანერია თაროზე ადგილის მაჩვენებელი შიფრი (ანუ მისამართი). შიფრი ორი მონაცემისგან შედგება: შემოკლებული საკლასიფიკაციო ინდექსისა და საავტორო ნიშნისაგან, შიფრის ინდექსი, საკლასიფიკაციო სისტემის მიხედვით, მოცემულ დარგში წიგნის ადგილს განსაზღვრავს, ხოლო საავტორო ნიშანი — წიგნის ადგილს საანბანო რიგში, რაც მის პოვნასა თუ ჩართვას აჩქარებს.

იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა სხვადასხვა დარგში ამა თუ იმ თემაზე არსებული ლიტერატურის თავმოყრა, თემატურ განლაგებას გამოიყენებენ. სისტემატურ განლაგებისგან იგი იმით განსხვავდება, რომ აქ შესაძლებელია, ერთ თემაზე ისეთი ლიტერატურის თავმოყრა, რომელიც სხვადასხვა დარგს განეკუთვნება. მაგალითად, თემაზე „საქართველო“, შეიძლება შეიკრიბოს ლიტერატურა ისეთი დარგებიდან, როგორცაა: ისტორია, გეოგრაფია, ეთნოგრაფია, პალეოგრაფია, ლინგვისტიკა, ტურიზმი და სხვ. თემატური განლაგება ავსებს და მოხერხებულად ერწყმის სისტემატურს. ამ განლაგებას უმეტესად თაროსთან თავისუფალი დაშვების დროს გამოიყენებენ. რაც შეეხება საბავშვო ბიბლიოთეკებს, აქ ასეთი განლაგება ძირითადად კი ითვლება. ეს განლაგება განსაკუთრებული იმით არის, რომ წიგნები არ იდებენ ინდივიდუალურ „თემატურ“ შიფრს, რადგანაც ლიტერატურა ე. წ. თემატურ თაროებზე თავსდება.

განსაკუთრებული (შეზღუდული, ვიწრო) საგნის მიმართ მკითხველთა გაზრდილი ინტერესისა და მოთხოვნილების სრულყოფილად დაკმაყოფილების მიზნით, ე. წ. საგნობრივი განლაგების წესს მიმართავენ, რომელიც გარკვეული დროისათვისაა ნაწარმადევი. ეს სისტემა საკმაოდ ძველია, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში, იგი დღემდე გამოიყენება, როგორც დამხმარე საშუალება. ამ შემთხვევაში, საგნობრივი კატალოგის ანალოგიურად, წიგნების განლაგება გარკვეული საგნის გამომხატველი სიტყვის ან სიტყვათა ჯგუფის მიხედვით ხდება.

**შედარებით უფრო მრავალგვარად გამოიყენება ფორმალური ტიპის განლაგება.** მათი დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ საცესებით უგულებელყოფილია შინაარსობრივად ერთნაირი წიგნების თავმოყრა. ფორმალური ტიპის განლაგებიდან გამოირჩევა **ანბანური განლაგება**, იგი გამოიყენება როგორც დამოუკიდებელი სისტემა და აგრეთვე სხვა ტიპის განლაგების დამატებითი საშუალებაც. ეს სისტემაც საკმაოდ ძველია, მაგრამ ჯერ არ დაუქარგავს თავისი მნიშვნელობა. ანბანური განლაგებისას წიგნები მათი ავტორის გვარის ან, თუ ავტორი მითითებული არ არის, წიგნის სათაურის საწყისი ასოების რიგზე ლაგდება, რომ ხოლო ზუსტი და გაიოლებული რომ იყოს ფონდის ანბანურად აწყობა, საავტორო ტაბულები (ცხრილები) გამოიყენება. არის ორნიშნა, სამნიშნა, ოთხნიშნა და, იშვიათად, მეტნიშნიანი ტაბულებიც. რამდენადაც დიდია ფონდი, იმდენად მეტია ერთგვაროვანი ასოების თავმოყრის შესაძლებლობა.

**ქრონოლოგიური** განლაგების დროს, წიგნები მათი გამოცემის წლების მიხედვით — პირდაპირი ქრონოლოგიით ვაწყობა.

**გეოგრაფიული განლაგება** შეიძლება ორგვარად იქნეს გაგებული: ერთი, როცა წიგნები განლაგებულია იმ ადგილის მიხედვით (ანბანის დაცვით), სადაც გამოცა ეს წიგნი; მეორე, როცა წიგნები ჯგუფდება რომელიმე მხარის შესახებ. ამგვარ განლაგებას, ჩვეულებრივ, ფონდის ერთ გარკვეულ ნაწილზე იყენებენ. მაგალითად, მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურის დალაგების ან სამხარეო ლიტერატურის თავმოყრისათვის. სამეცნიერო ბიბლიოთეკებში ეს სტანდარტების, გამოგონებათა აღწერების, საფირმო კატალოგების, წარმოება-დანესებულებათა ანგარიშებისა და სხვა ოფიციალური მასალის განლაგებისათვის გამოიყენება.



ენობრივი განლაგების დროს წიგნები იმ ენების მიხედვით ჯგუფდება, რომელზედაც არის გამოცემული, ხოლო ყოველი ენობრივი ჯგუფის ფარგლებში წიგნები შეიძლება სისტემატურად, ანბანურად ან სხვა რომელიმე ნიშნის მიხედვითაც განლაგდეს.

**ფორმატული განლაგება** ჯერ კიდევ XIII საუკუნეში არსებობდა. ის საშუალებას იძლევა, ეკონომიურად განლაგდეს ფონდი. ამ განლაგების დროს წიგნებს აჯგუფებენ მათი ბლოკების სიმაღლის მიხედვით (ტრადიციულად მათ ფორმატს უწოდებენ). ყოველი ჯგუფის ფარგლებში ისინი საავტორო ნიშნის მიხედვით, რიგითი ნომრის ან რომელიმე სხვა ნიშნის მიხედვით ლაგდება. გამოყოფენ სამ ძირითად ჯგუფს: 20 სანტიმეტრამდე, 20-დან 26-მდე და 26 სანტიმეტრის ზევით. ფორმატული განლაგება დამოუკიდებლად ვერ იფუნქციონირებს, თუ მას სხვა რომელიმე სისტემა არ მიესადაგა. სწორედ ამგვარად იქმნება ყველაზე გავრცელებული ვარიანტი — **ფორმატულ-ინვენტარული განლაგება**. წიგნები ერთნაირი ზომის ფარგლებში ინვენტარის ნომრის მიხედვით ლაგდება. ამგვარი წესი განაპირობებს წიგნებისათვის მათს მუდმივ ადგილს. იგი ძიებისა და ჩართვისათვის მეტად მოსახერხებელია. შიფრიში მითითებული უნდა იყოს წიგნის ფორმატის განმსაზღვრელი ნიშანი (ლიტერი-სიგლა ან რიცხვი) და ინვენტარის ნომერი. მეტად თავისებურ ჯგუფს წარმოადგენს **ნუმერაციული** განლაგება. ის ითვალისწინებს წიგნების განლაგებას მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. ტექნიკური თვალსაზრისით, ეს განლაგება ზედმინეწით მარტივია, ის საშუალებას იძლევა, იოლად, შეუფერხებლად განვალაგოთ და ვიპოვოთ საჭირო დოკუმენტი, მოვახდინოთ ფონდის შემონახვა. ამ განლაგების რამდენიმე ნაირსახეობა არსებობს. იგი შეიძლება იყოს: კერძოდ ნუმერაციული, ინვენტარული ან მიმაგრებითი. კერძოდ ნუმერაციული განლაგებისას, განსაკუთრებულ შიფრს იყენებენ და მას გამოგონებათა აღწერის, მრავალტომეულებისა და სხვა ამგვარი გამოცემების განლაგებისას მიმართავენ.

ინვენტარული განლაგება ითვალისწინებს წიგნების წყობას მკაცრი ინვენტარული ნომრების მიხედვით, აგვარი განლაგება ფონდების სწრაფი შემონახვისათვის საუკეთესო პირობას ქმნის, აიოლებს საჭირო წიგნის პოვნას. რაც შეეხება მიმაგრებით განლაგებას, იგი დაცვის ყველაზე მკაცრი ვარიანტია და ამჟამად იშვიათად გამოიყენება. მისი არსი ის არის, რომ ყოველ წიგნს მიჩენილი აქვს თავისი მუდმივი ადგილი. ეს, უმეტეს შემთხვევაში, ფონდის რომელიმე განსაკუთრებული ნაწილისათვის გამოიყენება.

რომელ სისტემასაც უნდა მიმართოს ბიბლიოთეკამ, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს საკუთარი კომუნიკაციები, საცავის ფართობის ოპტიმალური გამოყენება და ფონდებს, კატალოგებსა და აბონემენტს შორის ურთიერთკავშირის ფორმა. საერთოდ, ფონდების განლაგების სისტემაზე შეხედულებები ერთბაშად არ ჩამოყალიბებულა. XVIII საუკუნის ევროპელი სპეციალისტები კატეგორიულად აცხადებდნენ, რომ ყველაზე საუკეთესო წესი სისტემატური განლაგებაა. XIX საუკუნის შუა ხანებში ფორმალურმა განლაგებამ საგრძნობლად შეაფერხოვა სისტემატური განლაგება, მაგრამ ფონდთან თავისუფალი დაშვების შემთხვევაში კვლავ მისცა ბიძგი სისტემატური განლაგების პრიორიტეტის აღიარებას. თუმცა XX საუკუნის დასაწყისში და შემდგომ პერიოდში ბიბლიოთეკების ზრდამ, და ელექტრონული საშუალებების შემოტანამ საბიბლიოთეკო საქმის სპეციალისტები აიძულა, განლაგებათა სხვა გზები და საშუალებები ეძებნათ.

ცნობილია, ფონდების დიდხანს შენარჩუნება, ძირითადად, მათი სწორად ორგანი-



ზებული დაცვის, შენახვისა და მოვლის შედეგად მიიღწევა. ფონდების დაცვა იმგვარ ღონისძიებათა სისტემას გულისხმობს, რომლის საშუალებითაც ხდება, როგორც ყოველგვარი საინფორმაციო წყაროს ხელყოფის პროფილაქტიკა, ისე მისი ფიზიკური მოვლა-შენახვა. სწორად ორგანიზებული დაცვა, უპირველეს ყოვლისა, გამომხატულებას წიგნების შესაფერისი ადგილის გამოყოფაში პოულობს — წიგნები თაროებზე თავისუფლად უნდა იყოს განლაგებული ოპტიმალური ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური რეჟიმის დაცვით. ფონდის დაცვა გარანტირებულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით, თვით კონსტიტუციითაც კი. ზოგ ქვეყანაში (მათ შორის საქართველოშიც) მოქმედებს საბიბლიოთეკო კანონი, რომელშიც ფონდების დაცვის გარანტიებია გათვალისწინებული. ზოგან ის დებულებებითა და ბრძანებებით არის გამყარებული. ფონდების ხელყოფა ყოველგვარი ქონების ხელყოფის იდენტურია და იგი კანონის ძალით სასჯელს — შრომით, ადმინისტრაციულ, სამოქალაქო, ფინანსურ თუ სისხლის სამართლის — ექვემდებარება. არსებობს საერთაშორისო საბიბლიოთეკო ასოციაცია (იფლა), რომელიც აქტიურად ერევა ყველა ქვეყნის ბიბლიოთეკებში ფონდების რაციონალურად დაცვისა და მონესრიგების საქმეში.

## სამბლიოთეკა-მიმლიგბათიული კლასიფიკაცია და სამიუმთ სისტემები

კლასიფიკაცია ადამიანის ცოდნის ორგანიზების მეთოდია, რომლის საშუალებითაც ხდება არა მარტო ცოდნის საერთო კლასებად დაყოფა, არამედ კლასებს შორის ურთიერთობის დამყარება და განსხვავებათა დადგენა, ქვეკლასების გამოყოფა. ბიბლიოთეკაში თაროებზე საბიბლიოთეკო დოკუმენტებისა და მათი აღწერილობათა განლაგება საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის მიხედვით ხდება. ფონდებისა და კატალოგების ამგვარი ორგანიზება საშუალებას იძლევა, ინფორმაცია ადვილი მოსაძიებელი იყოს.

**საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის ამოცანა:** უზრუნველყოს თაროებზე წიგნების ლოგიკური განლაგება, ხელი შეუწყოს მკითხველს, რომ მას გაუიოლდეს საბიბლიოთეკო დოკუმენტის პოვნა, ერთი სახის ნაშრომების ერთად განლაგება და სხვა. ამას გარდა, მიაწოდოს მკითხველის ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია კატალოგიდან და ბიბლიოგრაფიული საძიებლიდან.

საბიბლიოთეკო საკლასიფიკაციო სქემებში მოცემულია თემები, ქვეთემები და მათი სიმბოლოები. თითოეული საკლასიფიკაციო სქემა კლასებისა და ქვეკლასების გამოსახატავად გარკვეულ სიმბოლოთა სისტემას იყენებს, რასაც ნოტაცია ანუ შეტყობინება ეწოდება. ზოგიერთ სისტემაში ნოტაცია ანბანის ასოებისაგან შედგება, ზოგიერთში — ციფრებისაგან, ზოგში კი — ორივეს კომბინაციისაგან. ამის გათვალისწინებით შერეულ ნოტაციასა და ექსპესიულ ნოტაციას (გამოხატავს ურთიერთობას დაქვემდებარებულ საგნებს შორის) განასხვავებენ.

საკლასიფიკაციო საქმის ხარისხი დამოკიდებულია მოხერხებულობაზე, რაც ნიშნავს დოკუმენტების კლასიფიცირებას ისე, რომ ხელმისაწვდომი იყოს სარგებლობისათვის.

ყოველი გამოცემის კლასიფიცირებისას ჯერ გამოცემის შინაარსს ექცევა ყურადღება, შემდეგ მის ფორმებს.

ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაცია ჯერ კიდევ ძვ. წ. IV საუკუნეში ჩამოყალიბდა და განვითარება მეცნიერებათა კლასიფიკაციის საფუძველზე პოვა. ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციით ხდება წიგნების კლასიფიკაცია მათი შინაარსის მიხედვით, რომელიც მეცნიერების ამა თუ იმ დარგს, ამა თუ იმ საკითხს ასახავს. შესაბამისად ხდება წიგნების დახარისხებაც. შინაარსობრივად ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაცია მეცნიერებათა კლასიფიკაციის გამეორებაა, გარკვეული განსხვავებებითა და სპეციფიკური მხარეებით. ყველაზე გამოხატული სპეციფიკურობა, რაც განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება, ინდექსაციაა. **ბიბლიოგრაფიულ კლასიფიკაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს ე. წ. ინდექსებს.** ინდექსი ლათინური სიტყვაა და „მაჩვენებელს“ ანუ „აღმნიშვნელს“ ნიშნავს. საკლასიფიკაციო ინდექსი მეცნიერებათა დარგების გამოხატველია. ინდექსების საშუალებით ხდება წიგნების თაროებზე განლაგება, თაროებიდან გადმოღება და მკითხველისათვის მიწოდება, კატალოგებში წიგნთა აღწერილობის ჩართვა და ძიება.

მეცნიერებათა საკლასიფიკაციო სისტემები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საფუძვლად ედებოდა ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სქემებს და საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა. ბიბლიოგრაფიულ კლასიფიკაციას ბიბლიოთეკები სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ეპოქაში იყენებდნენ და დღესაც იყენებენ. ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის უძველესი სისტემა, რომლის შესახებაც ცნობებმა ჩვენამდე მოაღწია, არის ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარის — **კალიმაქეს სისტემა**. ამ ბიბლიოთეკის სისტემატური კატალოგი 120 წიგნს მოიცავდა. სავარაუდოა, რომ თითოეული წიგნი ცალკე კლასს ანუ განყოფილებას წარმოადგენდა. კალიმაქეს კატალოგის ყველა წიგნი ალექსანდრიის ბიბლიოთეკასთან ერთად შთანთქა ხაწმრმა.

ჩვენამდე მოღწერული ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციიდან ცნობილია ასურეთის მეფის ასურბანიფალის ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაცია. ძვ.წ. VII საუკუნეში ძველ ასურეთში — ნინევიასში, არსებობდა ასურბანიფალის მიერ ათეულათასობით თიხის ფირფიტისაგან შემდგარი არქივი—წიგნსაცავი, ლურსმული ნაწერებით. აღნიშნულ ბიბლიოთეკაში თიხის ფირფიტები დაყოფილი იყო განყოფილებებად. მათ შესახებ ცნობები მხოლოდ ფრაგმენტულადაა მოღწერილი.

შუა საუკუნეებში, საკლასიფიკაციო სისტემები სქოლასტიკურ ხასიათს ატარებდა. ისინი რელიგიური წიგნებით იწყებოდა და იმავე შინაარსის წიგნებით მთავრდებოდა.

საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ დიდი ცვლილებები შეიტანა საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაციაში, განსაკუთრებით კლასიფიკაციის მიმართულებით. შეიქმნა კლასიფიკაციის ახალი, პროგრესული სისტემები მთელ ევროპაში, რამაც დიდი ზეგავლენა იქონია მსოფლიო მასშტაბით.

ამერიკაში საბიბლიოგრაფიო კლასიფიკაციამ უმაღლესი განვითარება პოვა. აქ დაიბადა კლასიფიკაციის ორი დიდი სისტემა: მეღვილ დუის ათწილადი სისტემა და ჩარლზ კეტერის ექსპანსიური სისტემა. ეს უკანასკნელი შემდეგ საფუძვლად დაედო ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკის კლასიფიკაციას, თუმცა მსოფლიო აღიარება ვერ მოიპოვა. მსოფლიო მნიშვნელობის საკლასიფიკაციო სისტემების დამუშავება ყველა განვითარებულ ქვეყანაში საყოველთაო ინტერესს იწვევდა. ახალ-ახალმა ფილოსოფი-

ურმა და იდეოლოგიურმა მოძღვრებებმა ზიძგი მისცა მეცნიერული კლასიფიკაციის განვითარებას, რომელიც წარმატებულ ბიბლიოთეკათა ბიბლიოგრაფიულ კლასიფიკაციას ედებოდა საფუძვლად. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამერკელ მეცნიერთა მოღვაწეობა. დამოუკიდებელი ბიბლიოგრაფიული სისტემის შექმნის ცდები იყო რუსეთშიც. ეს რუსეთის დიდი ბიბლიოთეკების საქმიანობაში აისახებოდა. რაც შეეხება საქართველოს, აქ უცხო არ იყო შუასაუკუნეობრივი გამოცდილება, რისი დასტურიცაა იოანე პეტრიწის ნაშრომი „განმარტებანი პროკლესათვის დიადოხოსისა და პლატონის ფილოსოფიისათვის“, აგრეთვე წიგნების დაჯგუფების ის ტრადიცია, რომელიც დამკვიდრებული იყო — სათანაო, საკითხავი, დაუჯდომელი და სხვა.

1895 წელს ბრიუსელში მოწვეული იყო I საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული კონფერენცია, სადაც გადაწყდა, შექმნილიყო „უნივერსალური ბიბლიოგრაფიული რეპერტუარი“ — მსოფლიოში არსებული დარგობრივი ლიტერატურის სრული ბარათული კატალოგი. ამისთვის დაარსდა საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტი (სბი). „რეპერტუარისა“ და სბი-ს ორგანიზატორების დამსახურებაა უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის (უაკ) შექმნა, რომლის საფუძველს მ. დუის ათწილადი კლასიფიკაცია წარმოადგენს. შემდეგში მას დაემატა ზოგადი და სპეციალური განმსაზღვრელები და ამგვარად, საბოლოოდ გაფორმდა „უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია.“ უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის დასახასიათებლად მისი დასახელება გამოდგება — უნივერსალური და ათწილადური.

ინდექსირების შესაძლებლობების სიმრავლისა და ადვილად დაყოფის შედეგად, უაკ-ი მრავალფეროვანი ინფორმაციის სისტემატიზაციისა და მოძიებისათვის წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა მოცულობისა და მნიშვნელობის ფონდებში. უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია აგებულია სისტემურ პრინციპზე.

უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის უმთავრეს დამახასიათებელ თვისებაა ძირითადი და დამხმარე ცხრილების განყოფილებების იერარქიული წყობა, რომელიც მოქმედებს პრინციპით — ზოგადიდან კონკრეტულამდე, ციფრული ათწილადი კოდის გამოყენებით. ამასთან, ურთიერთკავშირების ძირითად სახეობებს წარმოადგენს დაქვემდებარება და თანადაქვემდებარება. თანადაქვემდებარების ურთიერთობით დაკავშირებულია კლასები, რომლებიც ძირითადი კლასის ქვეკლასებს წარმოადგენს. ყოველი კლასი (ძირითადი დანაყოფი) მეტ-ნაკლებად მონათესავე მეცნიერებათა ჯგუფს მოიცავს. მაგალითად, მე-5 განყოფილება მათემატიკას და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს მოიცავს, მე-6 — გამოყენებით მეცნიერებებს: ტექნიკას, სოფლის მეურნეობას, მედიცინას.

**შემდგომი დეტალიზაცია ინდექსის გავრძელებით ხდება.** უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის ცხრილი იყოფა მთავარ და დამხმარე ნაწილებად. გარდა ამისა, უაკ-ში მესამე ნაწილად ჩართულია ანბანური და საგნობრივი საძიებელები. ცხრილის მთავარ და დამხმარე ნაწილებად დაყოფა დაფუძნებულია მათში ასახულ ცნებებზე. ძირითად ცხრილში ასახულია ცნებები, რომლებიც სპეციფიკურია მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების გარკვეული დარგებისთვის, ოღონდ, მათთვის დამახასიათებელი თავისებურებებით. დამხმარე ცხრილებში შეტანილი ცნებები, ძირითად ცნებასთან ერთად, ასახავს მათ შინაარსს ან ფორმას. ამასთან, ზოგადი განმსაზღვრელები ისეთ ცნე-

ბებს შეიცავენ, რომლებიც ყველა განყოფილებაში გამოიყენება, ხოლო სპეციალური განმსაზღვრელები — შინაარსობრივად ახლო მდგომ ერთ ან რამდენიმე განყოფილებაში. მთელი სისტემა 10 ძირითად განყოფილებად იყოფა:

0. ზოგადი განყოფილება;
    1. ფილოსოფიური მეცნიერებანი, ფილოსოფია;
    2. რელიგია. თეოლოგია;
    3. საზოგადოებრივი მეცნიერებანი;
    4. (თავისუფალია);
    5. მათემატიკა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი;
    6. გამოყენებითი მეცნიერებანი. მედიცინა, ტექნიკა;
    7. ხელოვნება. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება. მუსიკა, თამაში, სპორტი.
    8. ენათმეცნიერება, ფილოლოგია, მხატვრული ლიტერატურა, ლიტერატურათმცოდნეობა;
    9. გეოგრაფია, ბიოგრაფია, ისტორია.
- უაკ-ის ძირითად ცხრილებში არსებობს განმსაზღვრელების ცხრილებიც, რომლებიც ცალკეულ საკლასიფიკაციო რიგს ქმნის.

განმსაზღვრელები ორ — სპეციალურ და საერთო — ჯგუფად იყოფა. განმსაზღვრელები, რომლებიც ყველა განყოფილებაში გამოიყენება, საერთო განმსაზღვრელებად იწოდება, განმსაზღვრელები, რომლებიც მხოლოდ უაკ-ს განსაზღვრულ განყოფილებაში გამოიყენება სპეციალურებად.

სპეციალური განმსაზღვრელები ერთი ან რამდენიმე დარგისთვის საერთო ცნებების აღსანიშნად გამოიყენება. ისინი ინდექსისაგან ერთგვარად მოცილებად და მომრავ ნაწილს წარმოადგენენ, რომლებიც შესაძლებელია მიერთებული იყოს მოცემული განყოფილების მიერ ინდექსთან შემდგომი დაკონკრეტებისათვის.

ზოგადი განმსაზღვრელები ზოგად კატეგორიებს ასახავენ, რომლებიც მთელ ცხრილში გამოიყენება (დრო, ადგილი, ენა, ფორმა და სხვ.) და ემსახურება ზოგადი კატეგორიების და ნიშნების სტანდარტულ ინდექსს. ზოგადი განმსაზღვრელები ძირითადი ცხრილის ინდექსების გარეშე არ გამოიყენება.

100 ნელზე მეტია, რაც არსებობს უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია. ამ ხნის განმავლობაში მან დიდი ცვლილებები განიცადა, არაერთხელ ყოფილა კრიტიკის საგანი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი გავრცელების არე მსოფლიოში ძალზე დიდია.

ბიბლიოგრაფიული საკლასიფიკაციო სისტემებისა და მათი საფუძვლების — მეცნიერებათა კლასიფიკაციების წარმოშობა და განვითარება გამოწვეული იყო ადამიანის ცოდნის არეალის გაფართოებითა და საზოგადოების სოციოკულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ევოლუციით. ამგვარი პროცესები მეცნიერებისა და საბიბლიოთეკო დარგებში ინოვაციური პროცესების განხორციელებას იწვევდა, ხოლო ბიბლიოთეკების საქმიანობაში ისტორიულ ეპოქათა შესაბამისად, საზოგადოებრივ პროგრესსა თუ რეგრესს ასახავდა.

ბიბლიოთეკაში მომხმარებელს ათასგვარი მოთხოვნა აქვს. მათი დაკმაყოფილება შეუძლებელი იქნებოდა, წინასწარ შედგენილი ისეთი კატალოგების გარეშე, რომლებიც მრავალმხრივად ასახავს ბიბლიოთეკის ფონდს. სწორედ ამ მრავალფეროვან

მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ბიბლიოთეკებში იქმნება კატალოგები, რომლებიც ერთმანეთთან არის დაკავშირებული, ერთიან სისტემას წარმოადგენს და მისი მეშვეობით მომხმარებელი სრულყოფილ ინფორმაციას იღებს საბიბლიოთეკო ფონდების შესახებ.

კატალოგი ბერძნული სიტყვაა და „ნუსხას“, „სიას“ ნიშნავს. საბიბლიოთეკო კატალოგები ბიბლიოთეკაში დაცული დოკუმენტების (წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, ნოტების, რუკების, ხელნაწერების, მიკროფილმების და ა.შ) სიას წარმოადგენს, სადაც მასალა დალაგებულია გარკვეული გეგმისა და წესის მიხედვით. საბიბლიოთეკო კატალოგებს დიდი ხნის ისტორია აქვთ. საბიბლიოთეკო კატალოგების სისტემაში ერთიანდება სხვადასხვა სახის კატალოგები, რომლებიც ერთმანეთისაგან არა მარტო განლაგების წესის, არამედ დოკუმენტის სახეობათა, დროის, დანიშნულების, ფონდის მოცვის, ფორმის მიხედვითაც განსხვავდება.

კატალოგის მრავალი სახე არსებობს: ანბანური, სისტემატური, საგნობრივი, თემატური, ქრონოლოგიური და ა. შ. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ანბანური, სისტემატური და საგნობრივი კატალოგები.

**ანბანურ კატალოგში** დოკუმენტების აღწერილობანი განლაგებულია ავტორთა გვარის ან დოკუმენტების სახელწოდებათა ანბანის მიხედვით და მკითხველს უზასუხებს კითხვაზე: არის თუ არა ბიბლიოთეკაში ამა თუ იმ ავტორის ან ამა თუ იმ დასახელების დოკუმენტი, რა არის გამოცემული რომელიმე პიროვნების შესახებ.

ანბანური კატალოგი შორეულ წარსულში შეიქმნა და მაშინ სისტემატური კატალოგის საძიებელს წარმოადგენდა. საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ XVI საუკუნის მოღვაწე ფლორიანე ტრეფლერი ბიბლიოთეკის ხუთი სახის კატალოგთა შორის უპირატესობას ანბანურ კატალოგს ანიჭებდა. XVI-XVII სს. ანბანური კატალოგი უკვე სისტემატური კატალოგისაგან დამოუკიდებლად არსებობდა.

**სისტემატურ კატალოგში.** აღწერილობანი განლაგებულია ცოდნის დარგების მიხედვით, ანუ მეცნიერებათა კლასიფიკაციის გარკვეული სისტემის მიხედვით. ამ კატალოგის საშუალებით მკითხველს შეუძლია საბიბლიოთეკო ფონდი შინაარსის მიხედვით გაიცნოს. მეცნიერებათა ერთი დარგის, ერთი საკითხის შესახებ წიგნების აღწერილობანი ერთად ლაგდება. სისტემატურ კატალოგს თან ახლავს ანბანურ-საგნობრივი საძიებელი, რომელიც მომხმარებელს ამ სახის კატალოგის სწორად გამოყენებაში, საჭირო ინდექსის დადგენაში ეხმარება. ეს საძიებელი სისტემატური კატალოგის გასაღებს წარმოადგენს.

კატალოგებს შორის სისტემატური კატალოგი ყველაზე ძველია. იგი წერილობითი ძეგლების საცავთან ერთად შეიქმნა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია სისტემატური კატალოგის მქონე მთელი რიგი ბიბლიოთეკები. ჩვენს წელთაღრიცხვამდე XVI-XV სს. ცნობილია ამენხოტებ III-ისა და რამზეს III-ის ბიბლიოთეკები. არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ამ ბიბლიოთეკებს სისტემატური კატალოგები და გარკვეული სისტემით განლაგებული ფონდებიც ჰქონდათ. სამწუხაროდ, ამ სისტემებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ბიბლიოთეკები მხოლოდ

სისტემატური კატალოგით მუშაობდნენ, რაც თავისთავად ამ კატალოგის მნიშვნელობასა და პოპულარობაზე მიგვანიშნებს.

**მესამე სახის კატალოგი — საგნობრივი**, შედარებით გვიან შეიქმნა. იგი წარმატებით ფუნქციონირებს დღევანდელ დიდ ბიბლიოთეკებში. მასში წიგნების აღწერილობანი განლაგებულია მასალის შინაარსის, ანუ საგნის გამომხატველი სიტყვის მიხედვით, ანბანური რიგით. წიგნის საგნის, ანუ შინაარსის გამომხატველ სიტყვას „საგნობრივი რუბრიკა“ ეწოდება, ხოლო წყობის ასეთ სისტემას — „საგნობრივი რუბრიკატორი“. საგნობრივ კატალოგს ხშირად „ლექსიკურ კატალოგს“ უწოდებენ, რადგანაც მასში საგნები ანბანურად არის განლაგებული, თუმცა ლექსიკონში მოცემულია საგნის განმარტება, ხოლო საგნობრივ კატალოგში — ამ საგნის შესახებ არსებული ლიტერატურის დასახელება. საგნობრივი კატალოგი სისტემატური კატალოგის განყოფილებებს არ იმეორებს. აქ ხდება უფრო მეტი კონკრეტიზაცია მოცემულ დარგში. საგნობრივ კატალოგში დაცულია ერთგვაროვნება, ერთი და იგივე საგანი მუდამ ერთი ფორმულირებით არის მოცემული, გამოწაკლისია სინონიმების გამოყენების შემთხვევა. რუბრიკა უნდა იყოს „ვიწრო“, „კერძო“, კონკრეტული. საგნობრივ კატალოგში განზოგადება დაუშვებელია.

კატალოგთ, რომელშიც წიგნთა აღწერილობანი განლაგებულია შინაარსის მიხედვით, — რეალური კატალოგი ეწოდება. სისტემატური და საგნობრივი კატალოგები რეალურ კატალოგს წარმოადგენენ. ანბანურ კატალოგს კი, ნომინალურ კატალოგს უწოდებენ, რადგან წიგნის აღწერილობა ავტორის სახელის ან გვარის მიხედვით არის განლაგებული.

**საბიბლიოთეკო კატალოგები** ერთმანეთისაგან ფონდის მოცულობის (შემცველობის) მიხედვითაც განსხვავდებიან და შესაბამისად, გენერალური და სპეციალური კატალოგები ეწოდებათ. გენერალური კატალოგი ისეთ კატალოგს ეწოდება, რომელიც მთელი ბიბლიოთეკის ფონდს მოიცავს. სპეციალური კატალოგი კი, ბიბლიოთეკის რომელიმე ნაწილს, ერთი რომელიმე დარგის ან ერთი რომელიმე სახის ლიტერატურას მოიცავს. მაგალითად, სპეციალური კატალოგებია: მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურის კატალოგი, რუკების კატალოგი და ა.შ.

ფონდის მოცვის მიხედვით გამოარჩევენ **შეერთებულ კატალოგსაც**. ის მოიცავს არა ერთი, არამედ რამდენიმე ბიბლიოთეკის ფონდს. შეერთებული კატალოგი ტერიტორიული პრინციპის, ბიბლიოთეკების ტიპების ან ენობრივი პრინციპის მიხედვით დგება. შეერთებული კატალოგის საშუალებით მკითხველი იგებს, თუ რომელ ბიბლიოთეკაშია დაცული მისთვის საჭირო რომელიმე კონკრეტული წიგნი ან სად რა ლიტერატურა მოიპოვება მისთვის საინტერესო საკითხზე.

**კატალოგებს დროის ნიშნითაც განსხვავებენ**. ამ თვალსაზრისით კატალოგები ორ ჯგუფად იყოფა: რეტროსპექტული და მიმდინარე. დანიშნულების მიხედვით სამუშაო და მკითხველთა კატალოგებსაც განსხვავებენ.

**საბიბლიოთეკო კატალოგები ერთმანეთისაგან გარეგნული ფორმითაც განსხვავდებიან**. დღემდე, თანამედროვე ბიბლიოთეკებში, ყველაზე მეტად გავრცელებულია ბარათული ფორმის კატალოგი. თითოეული სახელწოდების დოკუმენტების აღწერილობა



ბა ცალკე სტანდარტულ ბარათზე კეთდება. შემდეგ ეს ბარათები კატალოგში სახეობის მიხედვით განლაგდება: სისტემატურ კატალოგში — საკლასიფიკაციო ცხრილის მიხედვით, ანბანურ კატალოგში — ავტორთა ანბანის მიხედვით, საგნობრივ კატალოგში — საგნობრივი რუბრიკის ანბანის მიხედვით.

**არსებობს წიგნის ფორმის** კატალოგიც, რომელიც წიგნის სახით არის შედგენილი და გამოცემული.

ბიბლიოგრაფიული მუშაობის დროს, ზოგჯერ, საკმარისი არ არის მარტო კატალოგების გამოყენება, რომელშიც მხოლოდ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდია ასახული. ძალიან დიდი ინფორმაცია თავმოყრილი ჟურნალ-გაზეთებში, ამიტომ აუცილებელია მათი აღრიცხვა და დამუშავება, რომ მკითხველს სასურველი ინფორმაციის მოკლე დროში მოძიება გაუადვილდეს. ამაში მას **ბიბლიოგრაფიული კარტოთეკები ეხმარება.**

დიდ სამეცნიერო ბიბლიოთეკებში ისეთ კარტოთეკებს იყენებენ, როგორცაა: ჟურნალებისა და გაზეთების სტატიების, სისტემატური, თემატური, მხარეთმცოდნეობითი, სპეციალური (რეცენზიები, პერსონალია) და ა. შ.

ისტორიულ პერიოდში სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფორმის კატალოგები გამოიყენებოდა — ბლოკოტური, პანორამული, ტურნიკეტული და სხვა, რომლებმაც აქტუალურობა დაკარგეს და იშვიათადღა გამოიყენება რაიმე სპეციალური მიზნით.

**თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ბიბლიოთეკებს ელექტრონული კატალოგები აქვთ.** ასეთ კატალოგში ჩანანერის მოძებნა საკვანძო სიტყვების მეშვეობით ხდება. ელექტრონული კატალოგის გამოყენებისას, არ არის აუცილებელი ბიბლიოთეკაში ყოფნა, ძიების ჩატარება გაცილებით უფრო სწრაფი პროცესია. ელექტრონული კატალოგი ამ შემთხვევაში ინტეგრირებულია ბიბლიოთეკაში მიმდინარე პროცესებთან.

ავტომატიზებულ ბიბლიოთეკაში ძირითადი საბიბლიოთეკო პროცესები ავტომატიზებულია, დოკუმენტების უმეტესი ნაწილი, გარდა ელექტრონული გამოცემებისა, ტრადიციული, არაელექტრონული ფორმატით ინახება. ელექტრონული კატალოგი ერთიანად ცვლის რამდენიმე ბარათულ კატალოგს, მათ შორის ანბანურს, სისტემატურს, საგნობრივს. ელექტრონული ბიბლიოთეკის სინონიმური ტერმინია „ციფრული ბიბლიოთეკა“.

საძიებო სისტემა უზრუნველყოფს მოქმედებათა თანმიმდევრობას, რის შედეგადაც მიიღება მოთხოვნილი ინფორმაცია. საერთოდ, საინფორმაციო სისტემა ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და ძიების ორგანიზებულ საშუალებას წარმოადგენს, რომელიც სხვადასხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოიყენება. საინფორმაციო-საძიებო სისტემა წარმოადგენს შემდეგი კომპონენტების ერთობლიობას: მომხმარებელი (თავისი მიზნებით, პრობლემებითა და ცოდნით), საინფორმაციო რესურსები და შუამავალი, რომელიც მომხმარებელს საინფორმაციო რესურსებთან ურთიერთობაში ეხმარება.

## მიმლიტგატვილი ჩანაწიტი

ბიბლიოთეკაში მისული მკითხველი სასურველი წიგნის, უურნალ-გაზეთის, ან სხვა რაიმე დოკუმენტის მოსაძებნად, როგორც წესი, იყენებს კატალოგებს, თუკი მას ბიბლიოთეკის ფონდებთან უშუალოდ მისვლის საშუალება არა აქვს.

კატალოგების დანიშნულებაა, მკითხველს შეძლებისდაგვარად მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია ბიბლიოთეკაში დაცული ბეჭდური ერთეულების შესახებ. ბიბლიოთეკაში ლიტერატურის შესვლის შემდეგ ხდება მისი დამუშავება, რაც გულისხმობს წიგნების ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენას და გადატანას საკატალოგო ბარათზე, რომელსაც შემდეგ მკითხველი ეცნობა. საკატალოგო ბარათზე გამოტანილი ინფორმაციის საშუალებით მკითხველს მაქსიმალურად უნდა შეექმნას წარმოდგენა, თუ რა წიგნია ნაგულისხმევი და გამოადგება თუ არა მას ესა თუ ის ლიტერატურა. ეს საჭიროა იმისთვის, რომ დაიზოგოს დრო, ზედმეტად არ განვალდეს არც მკითხველი და არც ბიბლიოთეკის თანამშრომელი, და რაც მთავარია, მიაგნონ საჭირო დოკუმენტს.

მომხმარებელი კარგად უნდა იცნობდეს ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის სპეციფიკას, რათა უკეთ შეძლოს მისი წაკითხვა. საერთოდ, ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი კეთდება ერთიანი წესის, ერთიანი სტანდარტის მიხედვით. ერთიანი წესით ჩანაწერის გაკეთებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ნებისმიერ ბიბლიოთეკაში მისულმა მკითხველმა ერთსა და იმავე წიგნზე ერთნაირი ინფორმაცია მიიღოს. ბიბლიოგრაფიული აღწერის წესების უგულვებლყოფა გამოიწვევს ქაოსს, რადგან თუ ბიბლიოგრაფები თავიანთი შეხედულებისამებრ დაიწყებენ აღწერას, ზოგი წიგნის ერთ ელემენტს მიაჩნტებს უპირატესობას, ზოგი — მეორეს, სხვები — სხვას.

XX საუკუნის შუა წლებამდე არ არსებობდა ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ერთიანი საერთაშორისო სტანდარტი. განვითარებულ ქვეყნებში მოქმედებდა აღწერილობის საკუთარი წესები. თვით ისეთ ძლიერ ცენტრალიზებულ სახელმწიფოშიც კი, როგორც იყო საბჭოთა კავშირი, დიდი ხნის განმავლობაში არ ყოფილა შემუშავებული აღწერილობის ერთიანი სისტემა. მხოლოდ 50-იან წლებში გამოიცა საერთო საკავშირო ინსტრუქცია „ბეჭდვით ნაწარმოებთა აღწერის ერთიანი წესები“, რომელიც ქართულად 1954 წელს გამოიცა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა სხვადასხვა ქვეყანას შორის ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნილება, რამაც ეს ქვეყნები ინფორმაციის გაცემისა და მიღების ერთიანი წესების შექმნის აუცილებლობის წინაშე დააყენა. შეიქმნა ბიბლიოგრაფიული აღწერილობის საერთაშორისო სტანდარტები, რომელთა საშუალებითაც მონესრიგდა ინფორმაციის გაცვლის მექანიზმი. გათვალისწინებული იყო ადგილობრივი სპეციფიკა, სხვადასხვა იყო წესები სამეცნიერო ბიბლიოთეკებისთვის და სხვა — მასობრივი და საბავშვო ბიბლიოთეკებისთვის. საბიბლიოთეკო ასოციაციებისა და ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაციამ (იფლა) მიიღო საერთაშორისო ზოგადი ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სტანდარტი.

ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (აღწერილობა) დიფერენცირებულია ლოგიკური თანამიმდევრობით და რამდენიმე ჯგუფს (სფეროს) მოიცავს. ყოველი სფერო სხვადასხვა ელემენტისაგან შედგება. ბიბლიოგრაფიული სფეროები და მათი ელემენტები გარკვეულ თანამიმდევრულ კომპლექსს ქმნიან.

საყოველთაო სტანდარტითაა დადგენილი აგრეთვე ის პირობითი ნიშნები, რომლებიც აღწერილობაში გამოიყენება სფეროებისა თუ ელემენტების გამოსაყოფად. ესენია სასვენი ნიშნები და ზოგი მათემატიკური გამოსახულება, რომლებიც განზოგადებულად პუნქტუაციად იწოდება: ნერტილი (.), ტირე (—), ტოლობის ნიშანი (=), მძიმე (;), ნერტილ-მძიმე (:), ორი ნერტილი (:), ცალი დახრილი ხაზი (/), ორი დახრილი ხაზი (//), სამი ნერტილი—გამოტოვების ნიშანი (. . .), მრგვალი ფრჩხილები ( ), კვადრატული ფრჩხილები [ ]. ყოველ მათგანს აზრობრივი დატვირთვა აქვს და დანიშნულებისამებრ გამოიყენება. საერთაშორისო სტანდარტში სფეროები შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

**1. სათაურისა და ავტორობის შესახებ ცნობების სფერო.** ეს სფერო წარმოადგენს აღწერილობის საწყისს, რომელიც იწერება საკატალოგო ბარათის პირველ სტრიქონზე. ამ სფეროში შედის ისეთი ელემენტები, როგორიცაა: ავტორის დასახელება, ძირითადი სათაური, მასალის ზოგადი აღნიშვნა, პარალელური სათაური (თუ ორ ენაზე მოცემული სათაური), ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ—ავტორების, რედაქტორების, შემდგენლების და სხვათა დასახელება. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ თუ ავტორი რამდენიმეა, ზოგ შემთხვევაში იწერება რამდენიმე ავტორი და შენიშვნა — „და სხვ.“. სათაურის შემდეგ დახრილი ხაზის ქვეშ იწერება ყველა ის ინდივიდუალური თუ კოლექტიური ავტორი, ორგანიზაცია თუ საზოგადოებრივი გაერთიანება, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ამ გამოცემისთვის.

**2. გამოცემის სფერო**— ცნობები პარალელური თუ განმეორებით გამოცემის შესახებ. ეს ელემენტი მეტად საყურადღებოა, რადგან ყოველი ახალი გამოცემა, როგორც წესი, შეესებულები და უფრო შესწორებულია, ვიდრე წინა გამოცემა იყო.

**3. მასალის (ან გამოცემის ტიპის) დამახასიათებელი სფერო**  
— რა სახისაა გამოცემა.

**4. გამოქვეყნების ადგილის, გავრცელების სფერო**— აქ შედის გამოქვეყნების ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის თარიღი.

**5. ფიზიკური აღწერილობის სფერო**— მასალის მოცულობა: გვერდების რაოდენობა, ზომა, ილუსტრაციები, ნახაზები, ცხრილები, ცნობები თანმხლები (თანდართული) მასალის შესახებ.

**6. სერიის სფერო**— სერიის ან ქვესერიის ძირითადი სათაური, სერიის ნომერი და აღწერილობის ყველა დანარჩენი ელემენტი, რომლებიც ამ სერიას ეხება.

**7. შენიშვნების სფერო.**

**8. წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნომრის (ISBN), ყდის, ფასის და ტირაჟის სფერო.** წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნუმერაცია (ISBN) შემუშავდა XX საუკუნის 60-იან წლებში ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით. მისი შექმნის მიზანია წიგნის ნუმერაციის კოორდინირება და საერთა-

შორისო მასშტაბით სტანდარტიზება ისე, რომ წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნომრით (ISBN) იდენტიფიცირდებოდეს ერთი სათაური ან გამოცემა, რომელიც უნიკალური იქნება ამ გამოცემისათვის.

განასხვავებენ დოკუმენტების აღწერილობის ორ ძირითად სახეს — ძირითადად და დამხმარეს. ძირითად აღწერილობაში მოცემულია აღწერილობის ყველა ელემენტი, რომელიც შეიძლება მოცემული იყოს დოკუმენტის მიხედვით. ის ერთია ყველა ტიპის კატალოგში და ძიების უმთავრეს ობიექტს წარმოადგენს. რაც შეეხება დამხმარე აღწერილობას, იგი უმეტესად გამოიყენება ანბანური კატალოგისათვის და სრულყოფს მას.

**დამხმარე აღწერილობები: დამატებითი აღწერილობა, ანალიტიკური აღწერილობა, სერიული აღწერილობა.**

**დამატებითი აღწერილობა** უმეტესწილად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს რამდენიმე ავტორთან ან ავტორთა კოლექტივთან, ან როცა წიგნს საზოგადოება უფრო სათაურით იცნობს და არა ავტორით. მაგალითად, თუ მომხმარებელი იცნობს მეორე, მესამე, ან რომელიმე ავტორს, ან წიგნი მხოლოდ სათაურით ახსოვს, ის სულ სხვა ანბანზე იწყებს ძიებას, ვიდრე ძირითადი აღწერილობის საწყისი ანბანია. ამან რომ არ გამოიწვიოს გაუგებრობა, დამატებით ბარათს აღწერენ იმ პირებზე, სათაურზე, რომლის მიხედვითაც არის მოსალოდნელი ძიება. ეს ბარათი, ჩვეულებრივ, ანბანის მიხედვით ჩაირთვება ანბანურ კატალოგში. დამატებითი აღწერილობა, ისე როგორც ყველა დამხმარე აღწერილობა, შემოკლებულია. ამ შემთხვევაში მოცემულია ძირითადი ბარათის აღწერილობის საწყისი, რომლის მიხედვითაც მომხმარებელს შეუძლია იპოვოს ძირითადი აღწერილობა.

**ანალიტიკური აღწერილობა** არის არა მთელი დოკუმენტის, არამედ მისი ნაწილის აღწერილობა, როცა წინ არის წამოწეული დოკუმენტის ცალკეული ნაწილის (სტატიის, თავის) დასახელება ავტორის, სათაურის, ქვესათაურის ჩვენებით და მიეთითება წყარო, საიდანაცაა იგი ამოღებული. ამ შემთხვევაშიც არსებობს სათანადო სტანდარტები (ნესები), რომელთა მიხედვითაც უნდა გაკეთდეს ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი.

**სერიული აღწერილობაც**, როგორც დამხმარე აღწერილობა, შემოკლებულია და სპეციფიკურია იმით, რომ წინ წამოსწევს სერიას (მაგ. „სათავგადასავლო ლიტერატურა, „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“ დას ხვ.), შემდეგ კი მიუთითებს ძირითადი აღწერილობის საწყისს, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვიპოვოთ ძირითადი დოკუმენტი.

ანბანურ კატალოგში ძიებისას, მომხმარებელს დიდად უწყობს ხელს, აგრეთვე, ე.წ. დამხმარე ბარათები. მართალია, ისინი აღწერილობებს არ შეიცავენ, მაგრამ მიუთითებენ და აკვლიანებენ მომხმარებელს. მაგალითად, ძირითადი აღწერილობა გაკეთებულია ფსევდონიმზე (ვაჟა—ფშაველა, ა. ფაზბეგი, ი. ევდოშვილი დას ხვ.), მკითხველი კი ეძებს ნამდვილ გვარზე. ამ შემთხვევაში დამხმარე ბარათზე იწერება—„იხილე“, რაც მიანიშნებს ძირითადი აღწერილობის საწყისს.

ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის სწორად წაკითხვა მომხმარებელს ეხმარება საჭირო დოკუმენტისაგან ამომწურავი ინფორმაციის მიღებაში, რაც არ იქნება საკმარისი, თუ იგი ვერ შეძლებს ამ დოკუმენტის ზუსტი მისამართის დადგენას. დოკუმენტის მისამართს ბიბლიოგრაფიულ ენაზე „შიფრი“ ეწოდება. შიფრის აგებულება დამოკიდებულია გან-

ლაგების სისტემაზე. მაგალითად, შიფრი სხვაგვარად იწერება ფორმალური განლაგების დროს და სხვაგვარად — შინაარსობრივი განლაგებისას. შიფრი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: სისტემატური სქემის მიხედვით წარმოებული ინდექსისა და ფონდის განლაგების დამახასიათებელი ნიშნებისგან. ინდექსი პირობითი ნიშანია (ასო, ციფრი ან ორივე ერთად), რომელიც შეესაბამება კლასიფიკაციის ცხრილის გარკვეულ დანაყოფს და მიუთითებს ცოდნის იმ დარგზე, რომელსაც განეკუთვნება ბექდვითი ნაწარმოები, იგი დაისმება როგორც წიგნზე, ისე საკატალოგო ბარათზე და განსაზღვრავს დოკუმენტის ადგილს თაროზე და კატალოგებში. ინდექსი დაისმება წიგნის თავფურცელზე, მარჯვენა ზედა კუთხეში, საკატალოგო ბარათზე კი — მარცხენა ზედა მხარეს, ხოლო მის ქვემოთ იწერება ფონდის განლაგების ნიშანი. ფორმალური განლაგებისას მახასიათებელ ნიშნად გამოიყენება ჩვეულებრივი ციფრები—1, 2, 3, და ა. შ. რაც პირობითად აღნიშნავს დოკუმენტის ზომებს (ფორმატს). მაგალითად 1—ით აღინიშნება წიგნები, რომელთა ზომა 15 სანტიმეტრამდეა სიმაღლეში, 2—ით 16სმ-დან 18სმ—მდე და ა. შ. გარდა ამისა, საჭიროა განისაზღვროს, რომელ ფონდს განეკუთვნება—ქართულს, რუსულს, უცხოურს, თუ სხვა რაიმე ნიშნით გამოყოფილ ფონდს. ამისთვის გამოიყენება ლიტერები. რაც შეეხება შინაარსობრივ განლაგებას, ეს მეტწილად არის სისტემატურ — ანბანური განლაგება. ამ შემთხვევაში ინდექსის ქვემოთ იწერება საავტორო ნიშანი — რიცხვი, რომელსაც წინ უძღვის ავტორის გვარის საწყისი ასო.

სავტორო ნიშანი შექმნა ამერიკელმა მეცნიერმა ჩარლზ კეტერმა, ამიტომ, ზოგ შემთხვევაში, მას „კეტერს“ უწოდებენ. მისი დანიშნულებაა, გააადვილოს ფონდების ანბანური განლაგება. პრინციპი ის არის, რომ ყოველი გვარის (ან სათაურის) საწყის ასოებს მინიჭებული აქვთ რიცხვითი გამოსახულება; თუ ეს რიცხვი ორნიშნაა, ის ორნიშნა სავტორო ნიშანს წარმოადგენს, თუ სამნიშნა — სამნიშნას. რაც უფრო დიდია ფონდი, მით უფრო მეტია ავტორების მსგავსი გვარები, ამიტომ მეტი დაკონკრეტებისათვის იყენებენ ოთხნიშნა, ხუთნიშნა ან ექვსნიშნა სავტორო ტაბულებს. ეს ტაბულები აადვილებენ წიგნების თაროებზე განლაგებას, რადგან რიცხვების მიხედვით მათი განლაგება გაცილებით იოლია, ვიდრე ავტორების გვარებში შემავალი ასოების ანბანური ასოების მიხედვით. მაგალითად ასო „რ“-ს თანრიგში, რ-225-ის დადგება რ-225-ის შემდეგ და რ-227-ის წინ. წიგნის ფონდში განლაგების განსაზღვრისათვის გამოიყენებენ მის „შიფრს“, რომლის მრიცხვულში იწერება საკლასიფიკაციო ინდექსი (მაგ. 531(07)), ხოლო მნიშვნელობა — სავტორო ნიშანი (მაგ. მ-325). ეს შიფრი არის თაროზე წიგნის მისამართის განმსაზღვრელი —  $\frac{531.(07)}{მ-325}$ .

საკატალოგო ბარათის უკანა გვერდზე ან ზემოთ არშიაზე, საგნობრივი კატალოგისთვის წერენ საგნობრივ რუბრიკას. აგრეთვე საკატალოგო ბარათის უკანა მხარეს წერენ მოცემული დოკუმენტის საინვენტარო ნომრებს.

სრული ინდექსის წაკითხვა უაღრესად მნიშვნელოვანია სისტემატურ კატალოგში ძიებისას. ამ შემთხვევაში კატალოგი აგებულია ინდექსების მიხედვით 0—დან მე—9 დანყოფილების ჩათვლით. ინდექსი თავისი ქვეგანყოფილებებით და დეტერმინანტებით (განმსაზღვრელებით) წარმოადგენს კონკრეტული დოკუმენტის დარგობრივ—შინაარსობრივი განსაზღვრების საშუალებას. დეტალიზაცია ხდება უკვე მაშინ, როდესაც ძირითადი დარგის აღმნიშვნელ ინდექსს მიეწერება რომელიმე ქვეგანყოფილების



განმსაზღვრელი ციფრი. უფრო მეტი დაკონკრეტებისთვის არსებობს ზოგადი და სპეცი-  
 ციალური მსაზღვრელები, როგორც არის ფორმის, ადგილის, დროის, ენის, ეთნიკური,  
 მიმართების, მიმატების, თვალსაზრისის, ანბანურის აღმნიშვნელები. მაგალითად:  
 51-ს თუ მივუწერთ მრგვალ ფრჩხილებში 02-ს (02), მივიღებთ მათემატიკის სახელმძ-  
 ღვანელოს. ყველა დეტერმინანტს თავისი სტანდარტული აღმნიშვნელი აქვს. მომხ-  
 მარებელს შეუძლია ისარგებლოს ანბანურ—საგნობრივი საძიებლით, სადაც მითითე-  
 ბული იქნება საჭირო საძიებო ინდექსები და დეტერმინანტები. ბიბლიოგრაფიული  
 ჩანაწერის წაკითხვისას უნდა გავითვალისწინოთ ის განსხვავება, რომელიც არსებობს  
 ნიგნებისა და პერიოდიკის აღწერილობის დროს. პერიოდიკის აღწერილობა ორგვარია:  
 გამარტივებული (მოკლე) სარეგისტრაციო და სრული საკატალოგო აღწერილობა.

საკატალოგო ჩანაწერებში შეიძლება შეგვხვდეს დეშიფრაცია, რომელიც კვად-  
 რატულ ფრჩხილებშია ჩასმული და წარმოადგენს დამაზუსტებელ ცნობას მაშინ,  
 როცა აღწერილობა არ იძლევა ნათელ წარმოდგენას, თუ რას ან ვის შეეხება ნაშრომი.  
 უმეტესად ამას პერიოდიკის ანალიტიკური აღწერილობის დროს მიმართავენ. პუბლი-  
 ცისტურ სტატიებში, რომლებიც გამოირჩევა ხატოვანი სათაურებით, ხშირად საჭიროა  
 ერთგვარი დაზუსტება. მაგალითად: სათაური არის: „ერის მამა“—დეშიფრაცია: [ილია  
 ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ]. დეშიფრაცია შინაარსის გახსნას  
 გულისხმობს.

ყველა ჩანაწერი კეთდება საკატალოგო ბარათზე და ექვემდებარება საერთაშორ-  
 ისო სტანდარტებს.

## საკაცალტტმ აღწერილობათა ნიმუშები

### ერთავტორიანი

025.3/4 ოსაძე ოთარ.

ო—72 საბიბლიოთეკო კატალოგები: (სახელმძღვანელო)/ო. ოსაძე, რედ.: ა.  
 ლორია.—თბ.: ქალდეა, 1995.—160გვ.

### ორავტორიანი

94(479.22) აბესაძე ანა, გომართელი დავით.

ა—159 საქართველოს ისტორია: სახელმძღ. უმად. სასწ. სტუდ.—მე—2გამოც. /  
 ა. აბესაძე, დ. გომართელი, რედ.:ლ. აბაშიძე, მთარგმნ.: გ. ცერცვაძე; [მხატვ. შ. ნარ-  
 სია],—თბ.: ელფი, 2007.—450გვ.—ილ.

ISBN 99928-0-500

### სათაურზე

მარათონი—2007: ლიტერატურული კრებული/ [რედ. ანი ჭაბაშვილი, ლალი ქადა-  
 გიძე].—თბ.: დიოგენე, 2007.—104გვ. ISBN 9789994092291

მრავალტომეული

84 ფლობერი, გ.

ფ-74



- რჩეული თხზულებანი : ხუთ ტომად / გუსტავ ფლობერი; [გივი მელაძის საერთაშორისო რედაქციით]. - თბ.: მერანი, 1969 -  
ტ. 1: მაღამ ბოვარი : [რომანი] / [თარგ. ფრანგულიდან არისტო ჭუმბაძისა].  
— 1969. — 371 გვ.  
18.  
ტ. 2: სალამბო : რომანი / [ფრანგ. თარგმნა კ. ქილარჯიანმა (I - VII თავები) და მ. გიგინეიშვილმა (VIII-XV თავები)]. — 1970. — 301 გვ.  
96კ.  
ტ. 3 : გრძნობათა აღზრდა : [რომანი] / [ფრანგ. თარგმნა ა. ჭუმბაძემ].  
— 1972 — 462 გვ.  
18.40კ.
- ტ. 4 : ბუვარი და პეკუსე : [რომანი] / [ფრანგ. თარგმნა არ. ჭუმბაძემ].  
— 1974 - 317 გვ. 64კ.

#### **დამატებითი აღწერილობა**

215.613/3 წერეთელი აკაკი, მასზე.

აზიანძე გიორგი.

აკაკი წერეთელი.—თბ., 1960.

#### **ანალიტიკური აღწერილობა**

წერეთელი ცისანა.

ბიბლიოთეკები და სამართლებრივი ინფორმაცია//საქართველოს ბიბლიოთეკა.—

2006.—4.—გვ. 18—23.

## **სამბლიოთეკო მიმსახურება**

საბიბლიოთეკო და საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება ნებისმიერი ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკის უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს. მისი ფუნქციებითაა განპირობებული, ის, რომ იგი ეწევა საზოგადოების კითხვის მართვას ანუ წიგნების დანერგვასა და განვითარებას. ბიბლიოთეკა წარმოადგენს წიგნისა და ადამიანის საზოგადოებრივი ურთიერთობის ორგანოს და ამ მიმართულებით მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ქვეყნად წიგნიერების დონეს, უმთავრესად, კითხვის კულტურა განაპირობებს, რომლის ჩამოყალიბებისთვის ზრუნვა სწორედ ბიბლიოთეკის უმთავრესი მიზანია. ბიბლიოთეკის მოვალეობაა იმგვარი პირობების შექმნა, რომ მომხმარებელმა შეძლოს სრულყოფილად განახორციელოს თავისი მიზნები. სწორედ ამ მიმართულებით წარმოებულ სამბლიოთეკო საქმიანობას ეწოდება კითხვის მართვა.

ბიბლიოთეკაში მომხმარებელთა მომსახურების 3 ძირითადი ობიექტი არსებობს: აბონემენტი, სამკითხველო დარბაზი, საცნობო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო სამსახური. აბონემენტი ბიბლიოთეკის ის სტრუქტურული ქვეგანყოფილებაა, რომელიც დოკუმენტებს ვასცემს ბიბლიოთეკის გარეთ სარგებლობისათვის. სიტყვა

“აბონემენტი” გულისხმობს განსაზღვრული ვადით რაიმეს სარგებლობის უფლებას. ამ უფლების მფლობელს კი აბონენტი ეწოდება. აბონემენტი არის სხვადასხვა ტიპისა. ჩვეულებრივ, განვასხვავებთ **სტაციონარულ** ანუ **ადგილობრივსა, ბიბლიოთეკათშორისო და დაუსწრებელ აბონემენტებს**. ამ აბონემენტებს ბევრი რამ აქვთ საერთო, მაგრამ დანიშნულებით, სტრუქტურით, ორგანიზაციული თვალსაზრისით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ბიბლიოთეკებს შეუძლიათ გამოიყენონ როგორც სხვადასხვა ტიპის, ისე სხვადასხვა სახეობის აბონემენტები, კერძოდ:

**საერთო აბონემენტი**, რომელიც იმგვარად არის ორგანიზებული, რომ ერთი ბიბლიოთეკარი თანაბრად ემსახურება ყველა აბონენტს და ყველა პროცესს, რაც კი მომხმარებლის მომსახურებასთან არის დაკავშირებული.

**ფუნქციონალურ აბონემენტზე** სამუშაო ფუნქციები განანიღბულია რამდენიმე (2-3) ბიბლიოთეკარს შორის.

**ჯგუფური აბონემენტი** მომხმარებელს სხვადასხვა ნიშნით შედგენილი ჯგუფების მიხედვით ემსახურება (ახალგაზრდობა, მოსამსახურეები, მოსწავლეები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები და სხვ.).

**ასხვავებენ ე. წ. დარგობრივ აბონემენტსაც**, ამ შემთხვევაში მომხმარებელს ემსახურებიან ცალკეული დარგის ლიტერატურის მიხედვით. ყოველ ბიბლიოთეკარს გამოყოფილი აქვს გარკვეული დარგის ფონდი და მხოლოდ ამ დარგის ლიტერატურას გაცემს.

ამა თუ იმ ბიბლიოთეკაში აბონემენტის სახეობათა შერჩევა და მათი შერწყმა დამოკიდებულია ამ ბიბლიოთეკის შესაძლებლობებზე, იქ არსებულ პირობებზე.

**ყველა სახის აბონემენტი ორგანიზაციის წესით შეიძლება აიგოს: დახურული და ღია** — ფონდთან თავისუფალი დაშვებით. ძველი, ტრადიციული წესით, მომხმარებელი ფონდთან არ დაიშვება და მას უშუალოდ ბიბლიოთეკარები ემსახურებიან. ამჟამად ყველაზე მეტად გავრცელებულია ფონდთან თავისუფალი დაშვების სისტემა. (თუმცა ზოგი ბიბლიოთეკების უმრავლესობა ამ ფორმას ვერ იყენებს, რადგანაც ეს ფორმა ფონდის მოხერხებულად განთავსებასა და განლაგებას მოითხოვს). სხვაგვარად მას **ღია თაროს** აბონემენტსაც უწოდებენ. ღია თაროს აბონემენტი, როგორც დამოუკიდებელი სახეობა, თავისთავად არ არსებობს, ის რომელიმე სახეობის განსაკუთრებული ფორმაა. ამ შემთხვევაში მომხმარებელი მიდის თაროსთან და თავად ირჩევს წიგნებს. ფონდთან თავისუფალ დაშვებას ბევრი დადებითი თვისება აქვს. ისეა, როგორც ყოველგვარი ბარიერი ბიბლიოთეკარსა და მომხმარებელს შორის, რაც უფრო მეტად აახლოებს მათ. მომხმარებელი აღწერის მეშვეობით კი არ იღებს ინფორმაციას, არამედ თავად ათვალთვალებს (დევჩუ) და ეცნობა წიგნებს. ამის შედეგად, ხშირ შემთხვევაში, ისეთ წიგნებზე ჩნდება მოთხოვნილება, რომლებსაც მანამდე არც კი ახსენებდნენ. ღია თაროს აბონემენტის უპირატესობა კიდევ ის არის, რომ მომხმარებელს უფლება აქვს, აგრეთვე, არა მარტო

დამოუკიდებლად, არამედ ბიბლიოთეკარის დახმარებითაც შეარჩიოს საჭირო ლიტერატურა კატალოგებში ორიენტაციის შედეგადაც (არ უნდა ვიფიქროთ, რომ თავისუფალი დაშვების დროს კატალოგები კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას. ისინი აქაც იმავე როლს ასრულებენ, როგორსაც დახურული აბონემენტის დროს).

აბონემენტის ორგანიზაციისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა **დიფერენცირებულ მომსახურებას**. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჯგუფური აბონემენტი, სადაც მომხმარებელთა მომსახურების დიფერენციაციის საუკეთესო პირობებია. აბონემენტზე მრავალგვარი და საკმაოდ რთული საქმიანობა წარმოებს. ამიტომ აბონემენტი იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ ერთი მხრივ, მოხერხებულად წესრეგულირდეს წიგნების **გაცემა-მიღების ტექნიკური ოპერაციები**, ხოლო მეორე მხრივ, მოგვარებული იყოს მომხმარებელთან ურთიერთობა. საჭიროა, სააბონენტო ოთახში თვალსაჩინო ადგილას იყოს გაკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკაში მკითხველის ჩანერა ინდივიდუალური საუბრის წესით ხდება, როდესაც იესება ანკეპა მომხმარებლის პიროვნების შესახებ. ამ დროს საანკეტო მონაცემების გარდა, ბიბლიოთეკარი არკვევს სხვა მონაცემებსაც, კერძოდ, რომელ ენებზე კითხულობს იგი, რომელი დარგით არის დაინტერესებული და სხვ.

რეგისტრაციის სისტემა ნუმერაციულ განლაგებას მოითხოვს, ამიტომაც ყველა მომხმარებელს ეძლევა ნომერი, რომელიც ანკეტურ მონაცემებთან ერთად ინერება მის ფორმულარში. ყოველი მკითხველი, აგრეთვე, ანბანური რიგით ჩაინერება სარეგისტრაციო ფურნალში, რაც, ცალკეულ შემთხვევაში, საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ, რომელ მომხმარებელს რომელი ნომერი აქვს. მომხმარებლის ფორმულარი ბიბლიოთეკაში ჩანერის ერთადერთი იურიდიული დოკუმენტია. აბონენტზე წიგნები გაიცემა ბიბლიოთეკის მიერ დანერებული ვადით. სარეგისტრაციო სისტემა საშუალებას იძლევა, მყისვე შევინოთ, როდესაც ირღვევა წიგნების დაბრუნების ვადები. მომხმარებელთა მომსახურებისას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის ეკონომიას, ამიტომ აბონემენტი ახლოს უნდა იყოს საერთო საცავთან, რათა დაბრუნებული წიგნები დაუყონებლივ იკავებდნენ თავიანთ ადგილს, ხოლო მოთხოვნა წიგნზე გადაუდებლად სრულდებოდეს, ამავე დროს, აბონემენტი ახლოს უნდა იყოს ბიბლიოთეკის კატალოგებთან.

**ბიბლიოთეკაში მომხმარებელთან მუშაობა ინტენსიურად წარმოებს სამკითხველო დარბაზებში.** სამკითხველო დარბაზი არის ბიბლიოთეკის ერთ-ერთი სტრუქტურული განყოფილება, სადაც მომხმარებელი ადგილზე სარგებლობს დოკუმენტებით. დარბაზების მუშაობის ტექნიკა შედარებით უფრო მარტივია, ვიდრე აბონემენტისა. მომხმარებელი, მიღებული წიგნის სანაცვლოდ, ბიბლიოთეკართან ტოვებს თავის პირადობის მონმობას ან მკითხველის ბილეთს, რომელიც მანამდე რჩება ბიბლიოთეკართან, სანამ მომხმარებელი წიგნს არ დააბრუნებს. სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკებში გამოიყენება სხვა უფრო რთული ფორმებიც.

დარბაზს ის უპირატესობა აქვს, რომ მომხმარებელს საშუალება ეძლევა არა მარტო ბიბლიოთეკის მთელი ფონდით ისარგებლოს (ამასთან, ბშა-თი მიღებული ლიტერატურითა და იშვიათი გამოცემებითაც, რომლებიც, როგორც წესი, სახლში არ გაიცემა), არამედ შეუძლია ერთდროულად იმდენი წიგნი მოითხოვოს, რამდენიც სჭირდება, რადგან

არ არის განსაზღვრული მათი კონკრეტული როლდენობა. აგრეთვე, მკითხველს შეაღებება, მუშაობის პერიოდში ისარგებლოს ბიბლიოგრაფიული აპარატით, დამხმარე ლიტერატურით, მიიღოს ბიბლიოგრაფიული დახმარება და კონსულტაცია, საჭიროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დაამყაროს კონტაქტი ბიბლიოთეკართან რაიმე სახის დახმარებისათვის.

**დარბაზების** სახეები განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ როგორაა ორგანიზებული მომსახურება მომხმარებელთა კატეგორიის გათვალისწინებით. ამ ნიშნის მიხედვით, განასხვავებენ ორი სახის დარბაზს: **საერთო**სა და **სპეციალიზებულს**. საერთო დარბაზები განკუთვნილია განურჩევლად ყველა მომხმარებლისათვის. სპეციალიზებული დარბაზი კი შექმნილია მომხმარებელთა განსაკუთრებული კატეგორიისათვის (მოსწავლე ახალგაზრდობა, მეცნიერ-მუშაკები, პროფესორ-მასწავლებლები და სხვ.)

დარბაზებს ასხვავებენ აგრეთვე გასაცემი ფონდის, ლიტერატურის დარგობრივი შემადგენლობის მიხედვით. ამ შემთხვევაშიც შეიძლება იყოს ორი სახის დარბაზი: **უნივერსალური** და **დარგობრივი (სპეციალური)**. უნივერსალურ დარბაზში გაიცემა ყველა დარგის ლიტერატურა, დარგობრივი დარბაზი კი ემსახურება მომხმარებელს რომელიმე ერთი ან რამდენიმე მონათესავე მეცნიერების ლიტერატურის ფონდით. დარბაზებს განასხვავებენ, **აგრეთვე, მასალის გამოცემათა** სახეების მიხედვით, როგორც არის პერიოდიკის, კარტოგრაფიული, გრაფიკული გამოცემების, მუსიკალური, მიკროფილმების, აუდიოვიზუალური და სხვ. დარბაზები. მათი ასეთი დიფერენციაცია, ცხადია, შესაძლებელია მხოლოდ დიდ სამეცნიერო ბიბლიოთეკებში. დარბაზების მუშაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს სახელდახელო ფონდს, რომელიც დარბაზს მუშაობის გაადვილების მიზნით აქვს გამოყოფილი, მასში შედის ძირითადად ისეთი ლიტერატურა, რომელსაც ხშირად იყენებენ (ოპერატიული და დამხმარე ხასიათის მასალა, საცნობარო ლიტერატურა). დარბაზის ფონდში ძირითადად თავს იყრის: სახელმწიფო დოკუმენტები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ბიბლიოგრაფიული გამოცემები და ა. შ. სასურველია, რომ დარბაზში, თუ მთლიანად არა, სახელდახელო და დამხმარე ფონდთან მაინც, დაუშვან თავისუფლად მომხმარებელი. დარბაზი ახლოს უნდა იყოს საცავსა და აბონემენტთან.

ხშირად ბიბლიოთეკას, ობიექტური მიზეზების გამო, არ აქვს საშუალება, დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნილება წიგნზე, ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკები ერთმანეთს უცვლიან წიგნებს დროებითი სარგებლობისათვის, ერთი ბიბლიოთეკა ხდება მეორე ბიბლიოთეკის აბონენტი. ამ სისტემას **საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტის ენოდება (ბშა)**. ბშა კარგი საშუალებაა საიმისოდ, რომ შევავსოთ ბიბლიოთეკის ფონდის ხარვეზები და ამავდროს მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ მომხმარებელთა მოთხოვნილებები. თანამედროვე პირობებში მეტად მოსახერხებელია, რომ მომხმარებელს ბიბლიოთეკაში გამოუცხადებლად გაეწიოს მომსახურება დისტანციური საშუალებით. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ხელსაყრელია ე. წ. **დაუსწრებელი აბონემენტის გამოყენება**. ბევრი დაკვეთა, შეკითხვა, ინფორმაციის გაცემა შესაძლებელია ინტერნეტით, კომპიუტერის მეშვეობით. რაც შეეხება **საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ და საინფორმაციო** სამსახურს, ეს პროცესი მომხმარებელთან მუშაობის ყველა სფეროში ვლინდება.

მომხმარებელთან ბიბლიოთეკის მუშაობა შედგება იმგვარი პროცესებისგან, რომლებიც განპირობებულია ბიბლიოთეკარისა და მომხმარებლის უშუალო ურთიერთობით. ან სრულდება კონკრეტული მკითხველის კონკრეტული მოთხოვნით, ან მომხმარებელზე გარკვეული ზემოქმედებისათვის. ამგვარი პროცესები ქმნიან ერთგვარ კომპლექსებს და ოთხ ჯგუფად იყოფიან: 1. პროცესები დოკუმენტების ბრუნვასა და რეგისტრაცია-სთან დაკავშირებით, 2. საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების პროცესები, 3. საბიბლიოთეკო-ინფორმაციული და ტექნოლოგიური პროცესების დაუფლებასთან დაკავშირებული სამუშაოები, 4. მომხმარებელთა შესწავლა. ყველა ეს პროცესი შეიძლება იყოს დინამიური (შემოქმედებითი, მეთოდიკური) და სტატიკური (ტექნიკური). ეს უკანასკნელი მოიცავს ისეთ ტექნიკურ ოპერაციებს, რომლებიც არ ეხება მომხმარებლის საქმიანობას, ხოლო პირველი კატეგორიის პროცესები, ძირითადად, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, უკავშირდება მკითხველს და ორ ჯგუფად იყოფა: **ინდივიდუალურ და მასობრივ (ჯგუფურ) პროცესებად.**

**ინდივიდუალური მუშაობის** პროცესები რამდენიმე ფორმით მიმდინარეობს: სხვადასხვა სახის საუბრები, ინტერვიუები, კითხვის გეგმებზე მუშაობა, ბიბლიოგრაფიული მომსახურება ინდივიდუალურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენების სწავლება, კონსულტაციები, ინდივიდუალური დაკვეთის ანალიზი, მასალის შერჩევა (გამოვლენა). მომხმარებლისათვის დახმარების განსაკუთრებით გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს საუბარი.

**მასობრივი (ჯგუფური) ფორმებიდან** საქმე გვაქვს საგანმანათლებლო და საინფორმაციო ღონისძიებებთან. მასობრივი ღონისძიებები (ჯგუფური), თავიანთი ფორმით, სხვადასხვაგვარია: **თვალსაჩინო, ზეპირი და წერილობითი.** ყველა ეს ღონისძიება, ძირითადად, საბიბლიოთეკო დოკუმენტების შესახებ ინფორმირებასა და რეკომენდაციას ემსახურება. საბიბლიოთეკო პრაქტიკაში განსაკუთრებით გავრცელებულია **თვალსაჩინო ფორმები**, ძირითადად, გამოფენები, რომლებიც მომხმარებელს ინფორმაციას აწვდიან ახლად გამოცემულ ლიტერატურაზე, საცნობარო გამოცემებზე, უცხოურ ლიტერატურაზე და სხვ. აგრეთვე მხატვრული სტენდები, რომლებზეც რაიმე მნიშვნელოვან თემასთან დაკავშირებით გამოფენილია წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, ამონაწერები, მხატვრული მასალა, პლაკატები, ფოტოპირები. ბიბლიოთეკაში **ზეპირი** მასობრივი ღონისძიებებიდან მომხმარებელზე ყველაზე ეფექტურ გავლენას ახდენს საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, რომელიც ინფორმაციას და ზოგად შეფასებას იძლევა უახლესი ლიტერატურის შესახებ, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც საჭირო ხდება ადრე გამოცემული მასალის მიმოხილვაც, ამდენად, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა არის როგორც მიმდინარე, ისე რეტროსპექტული. მასთან, ფორმალურად, ახლოს დგას ახალი წიგნების პრეზენტაციები

მომსახურების ამ ფორმების პარალელურად, ხშირად ერთმანეთთან შერწყმულად, გამოიყენება **წერილობითი (ბეჭდური) ფორმებიც**: ხელნაწერი თუ ნაბეჭდი ბიბლიოგრაფიული სიები, რომელთა დანიშნულებაა, მიაწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია ამა თუ იმ სახის მასალის შესახებ.

ყველა ამ ღონისძიებათა უმთავრესი მიზანია, სრულად გამოვლინდეს ბიბლიოთეკის რესურსები, ყოველ დოკუმენტზე ხელი მიუწვდებოდეს მომხმარებელს, ინფორმაციული მოთხოვნების, დასაკმაყოფილებლად.

## საცნობარო-მიმლითგზავიული და ინფორმაციული ბიბლიოთეკაში მიმლითგზავი

ბიბლიოთეკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია საინფორმაციო სამსახური, რომელსაც თავისი ფუნქცია აქვს, კერძოდ: მომხმარებლის ინფორმირება, ინფორმაციისა და წყაროების გამოყენების ინსტრუქტაჟი, მომხმარებლისათვის დახმარების განევა, სწავლება. სწორედ ამისათვისაა მონოდეზული საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება — ბიბლიოთეკის ან საინფორმაციო ცენტრის მრავალფუნქციური სტრუქტურული ერთეული. საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება ყველა ბიბლიოთეკაში არ არის ცენტრალიზებული, ხშირ შემთხვევაში, საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება სრულდება სხვადასხვა განყოფილებებში, რომლებსაც მომხმარებლებთან აქვთ ურთიერთობა. ბიბლიოგრაფიული განყოფილებები ასრულებენ აგრეთვე ისეთ ფუნქციებს, როგორცაა მომხმარებელთა მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე საცნობარო-საინფორმაციო ფონდის დაკომპლექტება. **საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების დაკომპლექტების ტიპობრივი ფუნქციების** სქემა ასეთია: საცნობარო ფონდი, ძირითადი ფონდი, სპეც. ფონდები, სამთავრობო დოკუმენტაცია, მიკროფირები, კარტოთეკები, ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები. ამჟამად საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების ფუნქციები — ტრადიციული თუ ელექტრონული საშუალებებით ინფორმაციის ძიებას — მომხმარებელთა სწავლებაც ემატება.

თითქმის ყველა ბიბლიოთეკაში საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების დანიშნულებაა, დახმარება აღმოუჩინოს მკითხველს იმ ინფორმაციის მოძიებაში, რომელიც მას აინტერესებს. საცნობარო და საინფორმაციო სამსახური დღეს ნებისმიერი ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა. ის არის მომხმარებლისა და ინფორმაციის დამაკავშირებელი რგოლი. ასეთი კავშირის დასამყარებლად საჭიროა, ბიბლიოთეკარმა კარგად იცოდეს ის მრავალფეროვანი საცნობარო რესურსები, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის სახით. საინფორმაციო რესურსები წარმოადგენს საინფორმაციო ელემენტთა ჩანაწერების სიმრავლეთა ერთობლიობას, რომელიც შექმნილია საზოგადოების საინფორმაციო მოთხოვნებების დასაკმაყოფილებლად. საინფორმაციო ელემენტი წარმოადგენს ინფორმაციის ერთეულს, რომელიც უნდა დამუშავდეს, შეინახოს და გადაეცეს მომხმარებელს. ტერმინი „საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატი“ დაკავშირებულია საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობასთან. ბიბლიოთეკის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატი წარმოადგენს საცნობარო გამოცემების, ბიბლიოთეკის კატალოგებისა და კარტოთეკების ერთობლიობას, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მკითხველთა საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მომსახურება. ნებისმიერი ბიბლიოთეკის **საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატი შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან**. ეს არის ბიბლიოგრაფიული კარ-



ტოთეკები, შესრულებული ცნობების ფონდი, საცნობარო-ბიბლიოგრაფიული ფონდი; ყოველივე ამას ავსებს ბიბლიოთეკის კატალოგები. საცნობარო სერვისის წარმართვისათვის მეტად მნიშვნელოვანია ბიბლიოგრაფიული კონტროლის ძირითადი პრინციპებისა და მათი გამოყენების ცოდნა. საცნობარო-ბიბლიოგრაფიულმა განყოფილებამ უნდა იცოდეს, თუ როგორ არის ორგანიზებული სხვადასხვა ტიპის მასალები და რა წყაროებზე მიუწვდება ხელი. ინფორმაცია არის ზეპირი ან წერილობითი, აქ იგულისხმება ცნობათა გადაცემის და მიღების ფორმა.

საინფორმაციო სამსახურის მიზანია, მკითხველის მიერ დასმულ ყოველ კითხვას მოუძებნოს სათანადო პასუხი, მიუხედავად კითხვის სირთულისა და დროის ხანგრძლივობისა, რომელიც ამ პასუხის მოძებნას სჭირდება. ბიბლიოთეკარი მოწოდებულია, აუხსნას მკითხველს, თუ როგორ გამოიყენოს სხვადასხვა საცნობარო წყარო, იქნება ეს ნაბეჭდი მასალა თუ ელექტრონულ მონაცემთა ბაზები, საბარათო თუ ელექტრონული კატალოგები. შესაძლოა, ასევე, გააცნოს მკითხველს, თუ როგორ არის საბიბლიოთეკო მასალები ორგანიზებული, აგრეთვე დახმარება გაუწიოს მომხმარებელს მასალების შერჩევაში. არის კიდევ სპეციფიკური ცოდნის შექმნაში დახმარება. მაგ. როგორ უნდა მოიძიოს მომხმარებელმა მისთვის საჭირო ცნობა ბარათულ კატალოგში და ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. ბიბლიოთეკარის ყველა ეს მოქმედება მხოლოდ თეორიული დაყოფაა, პრაქტიკაში კი ეს ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენს.

საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას, შესაძლოა, განსაზღვრული ჰქონდეს საკუთარი პოლიტიკა, თუ რა სახის მომსახურების განევა შეუძლიათ მის თანამშრომლებს. მაგ., დაადგინოს დროის ხანგრძლივობა, რომელიც ბიბლიოთეკარს შეუძლია დაუთმოს ამა თუ იმ კითხვას. საქმისადმი ასეთ მიდგომას განსაზღვრავს განყოფილების თანამშრომლების რაოდენობა, განყოფილების დატვირთვის მოცულობა, საცნობარო წყაროების რაოდენობა, რომლის გამოყენებაც შეუძლია ბიბლიოთეკას და სხვ.

საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების ფუნქციას ასევე შეადგენს საჭირო და კოლექციისათვის შესაფერისი საცნობარო წყაროების შერჩევა, მათი კოლექციაში ჩართვა და ორგანიზაცია. კოლექციის (ფონდის) განვითარება გულისხმობს ამა თუ იმ ახალი გამოცემის, არსებული ელექტრონულ მონაცემთა ბაზების შექმნას და ა.შ. პირველ ყოვლისა, განყოფილების თანამშრომლებმა მიზანმიმართულად უნდა დაგეგმონ კოლექცია (ფონდი), განსაზღვრონ საცნობარო სპექტრისა და დოკუმენტების ტიპი, ჩაატარონ შერჩევის პროცედურები, გაწმინდონ კოლექცია და განახორციელონ ინვენტარიზაცია. კოლექციის ის ნაწილი, რომელშიც ყოველდღიურად და ყველაზე ხშირად შედის გამოსაყენებელი მასალები, გამოყოფილია სხვა წყაროებისაგან. კოლექციის წმენდა, ისევე როგორც ახალი დოკუმენტების ჩართვა, ხშირად უნდა ხდებოდეს. კოლექციაში რჩება რელურად გამოსაყენებელი დოკუმენტები. კოლექციის წმენდა თავიდან აგვაცილებს ბიბლიოთეკის არქივად გადაქცევას და მკითხველისათვის მოძველებული, არასწორი ინფორმაციის მიწოდებას. არსებობს კოლექციის წმენდის სხვადასხვა ფაქტორი: გამოყენების სიხშირე, გამოცემის სიძველე, ფიზიკური მდგომარეობა და სხვ. საცნობარო კოლექციის დაკომპლექტებისას ბიბლიოთეკარი აფასებს ამა თუ იმ გამოცემის კოლექციაში ჩართვის მნიშვნელობას. თავდაპირველად, შეფასების კრიტერიუმები გათვალისწინებული იყო ნაბეჭდი წყაროებისათვის, მაგრამ ეს კრიტერიუმები შეიძლება მიესადაგოს არა მარტო ნაბეჭდ, არამედ ელექტრონულ წყაროებს. შეფასების კრიტერიუმების

განსაზღვრისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ არგუმენტებს, როგორც მათი მხარეა, მაგალითად, **ფორმატი**. ამ დროს ყურადღება ექცევა დოკუმენტის ფიზიკურ ფორმას: ყდას, ქაღალდს, ხარისხს, შრიფტსა და გაფორმებას. ელექტრონულ წყაროებთან შედარებით, წიგნის უარყოფით თვისებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ნაბეჭდი გამოცემების შენახვისათვის გაცილებით დიდი ადგილია საჭირო, მათი განახლება, შედარებით, ხანგრძლივი პროცესია, კომპაქტური დისკები კი გაცილებით დიდი რაოდენობის ინფორმაციას იტევს და კომპლექსური ძიების კარგ საშუალებას იძლევა, მისი განახლება უფრო სწრაფად და ხშირად ხდება. დისკს ის უპირატესობა აქვს, რომ შესაძლებელია გამოსახულებისა და ხმის ჩანერა, მაგრამ, მეორე მხრივ, გაცილებით უფრო ძვირია, თანაც გამოყენების თვალსაზრისით, სხვადასხვა სირთულისა და საჭიროებს სპეციალურ ტექნიკას და ფიზიკურ ადგილს ამ ტექნიკისათვის.

**თემატური სფეროს კრიტერიუმის** განსაზღვრის დროს უკვე მხედველობაში იღებენ წიგნის შესავალ ნაწილს (ხშირ შემთხვევაში მკითხველი წიგნის შესავალი ეცნობა შინაარსს), თუ რამდენად შეესაბამება ის მოთხოვნას.

მხედველობაშია **მისაღები აგრეთვე შესაძენი დოკუმენტის მსგავს წყაროებთან შედარება**. ახლად გამოცემული წიგნის შესაძენად გათვალისწინებული უნდა იყოს, თუ რა ღონეზეა შესრულებული ის და რითი განსხვავდება პირველ წყაროსგან. რომელ გამოცემაში არის ინფორმაციის მოძებნა უფრო მარტივი და სხვ.

ხშირ შემთხვევაში **ავტორობა**, გამომცემლის, რედაქტორის ვინაობა (რამდენად კომპეტენტურია, ცნობილია თუ არა საზოგადოებისათვის) გადამწყვეტ როლს ასრულებს წყაროს შერჩევაში.

**როდესაც თემა მუშავდება**, გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული აუდიტორია, სახელდობრ, ვისთვის უნდა შეირჩეს წყარო: ჩვეულებრივი მკითხველისათვის, მეცნიერისა თუ ბავშვებისათვის.

**ისეთი კრიტერიუმის შერჩევის დროს, როგორცია ინფორმაციის ორგანიზაცია**, წყაროს განლაგების ფორმა — ანბანური, ქრონოლოგიური, თემატური და ა.შ. თუ წყარო ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმითაა (მაგ. ანბანი) განლაგებული, მაშინ მკითხველისათვის მარტივია ამ წყაროს გამოყენება, თუ ინდექსებია მოცემული, მაშინ დარგების (თემების) მიხედვით წარმოებს ძიება, რაც მეტად დიდ კვალიფიციურობას მოითხოვს.

**გასათვალისწინებელია, აგრეთვე**, რამდენად მოსახერხებელია წყაროდან ინფორმაციის მიღება, რანაირად შეიძლება ამის გაკეთება.

**კრიტერიუმების შერჩევის დროს მხედველობაშია მისაღები წყაროს ღირებულება**. ბიბლიოთეკარმა უნდა განსაზღვროს, თუ რამდენად ღირებულია საცნობარო წყარო (იგულისხმება შინაარსი, თემატიკა), რამდენად შეესაბამება ის ბიბლიოთეკის მკითხველთა მოთხოვნებს. ამისთვის ბიბლიოთეკარი იყენებს სხვადასხვა გამოცემას, რომელშიც მოცემულია ახალი გამოცემების მიმოხილვა. ასეთების სპეციალური გამოცემები: ჟურნალები, ბიულეტენები და სხვ. მასალა. არსებობს, აგრეთვე, ცნობარე-

ბი ელექტრონულ მონაცემთა ბაზებისათვის. მათში მოცემულია მონაცემთა ბაზების აღწერილობა. ასეთია „გვილის მონაცემთა ბაზების ცნობარი“. **საცნობარო წყაროები არის ის წიგნები, რომლებშიც გარკვეული ტერმინისა თუ ცნებების განმარტებები მოცემული**. ისინი საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საცნობარო საქმიანობაში. გარდა ამისა, არსებობს უამრავი ინფორმაცია კომპაქტურ დისკებზე და სხვა ელექტრონული წყაროები, რომლებსაც თვითონ ბიბლიოთეკარები იყენებენ ინტენსიურად ყოველდღიურ საქმიანობაში და ეს ყველაფერი, წიგნებთან ერთად, შეადგენს საცნობარო კოლექციის ნაწილს.

**საცნობარო-ბიბლიოგრაფიული ფონდის შერჩევა** ხდება ბიბლიოთეკის ტიპის, პროფილის, მკითხველთა მოთხოვნილებების გათვალისწინებით. **საცნობარო გამოცემები ბიბლიოთეკაში მეტად მრავალფეროვანია თავისი ტიპის, შინაარსის და თემატიკის მიხედვით**. ასეთებია: ენციკლოპედიები (უნივერსალური და დარგობრივი), ცნობარები, ენობრივი და ტერმინოლოგიური ლექსიკონები, სტატისტიკური კრებულები, გეოგრაფიული ატლასები, მეგზურები, კალენდრები, გზამკვლევები და სხვ.

არის დარგობრივი საცნობარო გამოცემები: ფილოსოფიური, ეკონომიკური, სოფლის მეურნეობის, პედაგოგიური, მუსიკალური, გეოგრაფიული, საბავშვო და სხვა სახის ენციკლოპედიები და ლექსიკონები.

საცნობარო ლიტერატურაში ორიენტირებისათვის ბიბლიოგრაფს ხელთ უნდა ჰქონდეს ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები, მაგ. „ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიები“, ბიბლიოგრაფიული წყაროები. მაგ. „ვინ არის ვინ“, „თანამედროვე ავტორები“ დ სხვ.

საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში ინტენსიურად გამოიყენება ისეთი წყაროები, რომლებშიც მოცემულია ინფორმაცია პიროვნებებისა თუ ორგანიზაციების შესახებ. ასეთ წყაროს **ცნობარი** ეწოდება და მისი დანიშნულებაა, ორგანიზაციის, დაწესებულებების ან პიროვნების ადგილმდებარეობის, მისამართის დადგენა. **ცნობარები** — ელექტრონული თუ ტრადიციული, ნაბეჭდი ფორმით, ერთმანეთისგან იმით განსხვავდრება, რომ პირველი ტიპის ცნობარების განახლება უფრო ხშირად და რეგულარულად ხდება და შესაბამისად მათში, ჩვეულებრივ, უახლესი ინფორმაცია შედის. **გამოდის ცნობართა ცნობარი**, რომელსაც ბიბლიოთეკარი იყენებს იმისათვის, რომ მოიძიოს ნებისმიერ თემაზე გამოცემული ცნობარი, რომლის ზუსტი სათაური მისთვის უცნობია, არსებობს კიდევ **საერთაშორისო ცნობარების ცნობარი**.

**საცნობარო კოლექციაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ენციკლოპედიებს**. ენციკლოპედიები ძირითადად ორი დანიშნულებისაა: ინფორმაციული და საგანმანათლებლო. ენციკლოპედიები მოიცავს შერჩეული, მნიშვნელოვანი თემების სისტემატურ მიმოხილვას.

**ასვე მნიშვნელოვანია ბევრი სხვა საცნობარო გამოცემა, როგორცაა ლექსიკონები, აღმანახები, წელიწდეულები და სხვა ლექსიკონები**. მათი დანიშნულებაა სიტყვათა მნიშვნელობის განსაზღვრა, დაზუსტება, სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენა, სიტყვების თარგმნა და სხვ. არსებობს სხვადასხვა სახის ლექსიკონები — განმარტებითი, დიალექტების, ჟარგონების, აბრევიატურების და სხვ.

**ალმანახი** არის სხვადასხვა ავტორთა ლიტერატურული ნაწარმოების კრებული, მაგრამ მასში მოიპოვება მრავალი ფაქტობრივი მასალა თანამედროვე თუ ისტორიულ მოვლენებზე, მოღვაწეებზე, მწერლებზე. იგი, უმეტესად, შემოიფარგლება ერთი ქვეყნის შესახებ ინფორმაციით.

**ნელინდეულეში**, ჩვეულებრივ, თავმოყრილია მასალა ერთი წლის განმავლობაში მომხდარი ფაქტების, მოვლენების, განხორციელებული გამოცემებისა და სხვათა შესახებ.

საქართველოს ბიბლიოთეკებს აუცილებლად ესაჭიროებათ ქართული წიგნისა და პერიოდიული მასალების რეტროსპექტიული ბიბლიოგრაფიული გამოცემები. ამათგან უმნიშვნელოვანესი გამოცემებია:

**ქართული წიგნის ბიბლიოგრაფია.** ტ. 1-3, რომელიც საქართველოს წიგნის პალატამ გამოსცა, 1969 წელს და მოიცავს მასალას 1629-1945 წწ.

**გ. ბაქრაძის “ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია”,** გვაძლევს ცნობებს 1819-1945 წწ. ქართული პერიოდიული გამოცემების შესახებ.

**ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია.** 1819-1905 წწ.

**ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია.** ნტ. მასში აღწერილია 1819-1904 წწ. გაზეთების სტატიები.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემათა ბიბლიოგრაფია.** 75 წიგნი. 1937-1977 წწ.

**წიგნის მატიაწე.** მიმდინარე სახელმწიფო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი. მოიცავს ინფორმაციას საქართველოს ტერიტორიაზე გამოცემული ყველა წიგნისა და ბროშურის შესახებ. გამოდის 1926 წლიდან (გამოიცემა შეფერხებით).

**ჟურნალის სტატიების მატიაწე** აღწესდა რესპუბლიკაში ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემული ჟურნალების, შრომების, პერიოდიული და არაპერიოდიული კრებულების სტატიებს, ნარკვევებს და მხატვრულ ნაწარმოებებს. გამოდის 1939 წლიდან (გამოიცემა შეფერხებით).

**გაზეთის სტატიების მატიაწე.** აღწესდა რესპუბლიკაში ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემული გაზეთების სტატიებს. გამოდის 1938 წლიდან (გამოიცემა შეფერხებით).

ყველა ამ გამოცემის ყოველ ნომერს დართული აქვს სახელთა და გეორაფიული დაძმარე საძიებლები

უცხოეთის რეტროსპექტიული გამოცემებიდან აღსანიშნავია „ბრიტანიკა“ — ბრიტანული ენციკლოპედია, ერთ-ერთი უძველესი უნივერსალური ენციკლოპედია მსოფლიოში. პირველი გამოცემა (3ტ) გამოვიდა 1768-71 წწ. საუკეთესოდ ითვლება მე-11 გამოცემა (1918-31 წწ 29 ტომი). ამის შემდეგ “ბრიტანიკა” ყოველწლიურად გამოიცემა. როცა

დაიწყო ინგლისურ-ამერიკული თანამშრომლობა, ფაქტობრივად, ის ბრიტანულ-ამერიკულ ენციკლოპედიად გადაიქცა. (დღემდე გამოდის)

„ამერიკანა“- უნივერსალური ენციკლოპედია, გამოდის აშშ-ში (ნიუ-ორკი) პირველი გამოცემა გამოვიდა 1903 წელს (16ტ). 1923 წლიდან გამოდის წელიწდეულები. 1961 წელს გამოიცა 30 ტომად (დღემდე გამოდის).

■ „იტალიანა“-იტალიური ენციკლოპედია, მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების დარგებითაა წარმოდგენილი. გამოდის 1929-39წლიდან 36 ტომად. აღსანიშნავია, რომ მას ერთვის სარეკომენდაციო ლტერატურა რამდენიმე ევროპულ ენაზე, ტერმინებს თან ახლავს მითითებანი ფრანგულ, ესპანურ, და ინგლისურ ენებზე (გამოდის დღემდე)

ლარუსის ენციკლოპედიების გამოცემა 1852 წელს დაიწყო პარიზში პედაგოგმა და ლექსიკოგრაფმა პ. ლარუსმა. ამ წელს გამოიცა ენციკლოპედია 15 ტომად. 1906 წლიდან გამოდის ერთტომეული „მცირე ლარუსი“, 1955 წლიდან — „ლარუსის სისტემატური ენციკლოპედია“ 60 ტომად (გამოდის დღემდე)

საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს ინფორმაციული რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ბიბლიოგრაფიული ძიების და ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის მომზადების ელემენტარული ჩვენების გამოშვებას, ეს კი მკითხველისაგან მოითხოვს ზემოთ ჩამოთვლილი წყაროების კარგ ცოდნასა და საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის გამოყენებისათვის საჭირო ჩვენების დაუფლებას.

რევოლუციამდელ რუსეთში არაერთი საყურადღებო საცნობარო გამოცემა გამოქვეყნდა, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა ენციკლოპედიები.

საბჭოთა კავშირში თავის დროს გამოიცა რამდენიმე ენციკლოპედიური ლექსიკონი, წინის პალატა გამოსცემდა სხვადასხვა სახის მატრიანებს რუსულ ენაზე. ამჟამად რუსეთში გრძელდება ამგვარი გამოცემები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროს გამოიცა „ქართული საბჭოთა-ენციკლოპედია“ (შ), ამჟამად გამოდის ქართული ენციკლოპედიის ახალი ვარიანტი.

ადრეულ საბჭოთა გამოცემებში, მიუხედავად იდეოლოგიური შეუთავსებლობისა, უხვად არის დაცული საინტერესო ინფორმაციები, რომელთა გამოყენება უდავოდ მხედველობაშია მისაღები.

## მიმდითგატყია და ოლქცდნული საინფორმაციო საშუალებები

ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ ხელმისაწვდომი გახადა ახალი მიღწევები ეკონომიკაში, მეცნიერებასა და კულტურაში. მთელ მსოფლიოში აღინიშნა ინფორმაციის ნაკადების ზრდის ტენდენცია. ციფრულმა ტექნოლოგიამ რევოლუცია მოახდინა მონაცემთა დამუშავებაში. მის საფუძველზე იქმნება მონაცემთა შენახვისა და გადაცემის ახალი საშუალებები, რომელთა გამოყენების სფერო შეუზღუდავია.

ბიბლიოგრაფიული მუშაობა ყველა ტიპის ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს, ბიბლიოგრაფიული საქმიანობის მიზანია, გამოავლინოს, აღრიცხოს და აღწეროს ყველა სახის დოკუმენტები, დაახარისხოს ცოდნის დარგების მიხედვით, შეადგინოს ლიტერატურის ნუსხები და გაავრცელოს ისინი. ამავე დროს, ბიბლიოთეკაში უნდა შეიქმნას საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატი, სისტემატურად ხდებოდეს ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების შედგენა, მომხმარებელთა საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ მძლავრი ზიძგი მისცა საბიბლიოთეკო საქმის წინსვლასაც. ბექდური სახით მოწოდებული ინფორმაციის პარალელურად გაჩნდა მომხმარებლის მომსახურების სრულიად ახალი სისტემა — **მომსახურება ელექტრონული ინფორმაციის გამოყენებით.**

**ელექტრონული ინფორმაციის** ეფექტიანი გამოყენებისათვის საჭიროა ისეთი **საინფორმაციო სისტემის** შექმნა, რომელშიც არა მარტო საიმედოდ იქნება დაცული ინფორმაცია, არამედ შესაძლებელი იქნება მისგან ასლის გადაღება და შეუფერხებელი გამოყენება. სისტემა, რომლის დანიშნულებაა ინფორმაციის შეგროვება, შინაარსობრივი და ტექნიკური დამუშავება, შენახვა, ძიება და სხვადასხვა სახით გაცემა, საინფორმაციო სისტემა ეწოდება. მოქნილმა საძიებო მექანიზმმა, ერთი მხრივ, მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს ბრძანების შესრულება, მეორე მხრივ, დაზოგოს მომხმარებლის დრო და ენერჯია. საინფორმაციო სისტემის შექმნა, როგორც წესი, მოითხოვს საკმაოდ რთული კომპლექსის ამოქმედებას, რომელიც პროგრამულ, ლინგვისტურ, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ, საორგანიზაციო და სხვა სახის მახასიათებლებს მოიცავს.

ნებისმიერი ინფორმაციის გაცემამდე ეს ინფორმაცია უნდა შეგროვდეს. საინფორმაციო სისტემა ემყარება **მონაცემთა ბაზას**. მონაცემთა ბაზა არის საინფორმაციო ელემენტების ერთობლიობა, რომელიც გარკვეული მექანიზმით გროვდება და გაიცემა. მონაცემთა ბაზაში, როგორც წესი, გროვდება ერთგვაროვანი საინფორმაციო ელემენტები. იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ცნობებს შეიცავს იგი, მონაცემთა ბაზა შეიძლება იყოს ბიბლიოგრაფიული, რეფერატული, სრულტექსტური, გრაფიკული, საცნობარო და ა.შ.

მონაცემთა ბაზის შევსებას გარკვეული ცოდნა სჭირდება. როგორც წესი, მონაცემთა ბაზის სამუშაო ფურცელი შედგება ველებისა და ქვევლებებისაგან. ეს ერთგვარად ჰგავს დიდ ანკეტას, სადაც თითოეულ ველში (გრაფაში) იწერება შესაბამისი ინფორმაცია. არ შეიძლება ინფორმაციის არევა და მისი ველიდან ველში გადაადგილება, რადგან ეს თვითნებობა ინფორმაციის ძიებისას არასწორი მიმართულებით წაიყვანს მომხმარებელს. ისევე, როგორც ბექდური ერთეულების ბიბლიოგრაფიული აღწერის შემთხვევაში, ელექტრონული კატალოგების მონაცემთა ბაზებში ინფორმაციის შეტანისათვის შემუშავებულია საერთაშორისო წესები (სტანდარტები). ამ წესების დაცვა უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას, მის შენახვა-დაცვას ინფორმაციის ერთი სისტემიდან მეორეში გადატანის დროს.

ელექტრონული საინფორმაციო სისტემების ერთ ნაწილს არ გააჩნია საკუთარ მონაცემთა ბაზები და მხოლოდ საძიებო ფუნქციას ასრულებს იმ სისტემებში, რომლებიც ინტერნეტშია განთავსებული, მაგალითად, *Google.com*. საინფორმაციო სისტემების მეორე ნაწილს აქვს საკუთარი საინფორმაციო რესურსები და მათ გარდა ინფორმაციას სხვა სისტემებშიც ეძებს, მაგალითად, *Yahoo.com*. საინფორმაციო სისტემების მესამე



ნაწილს კი ძიება მხოლოდ თავის საკუთარ მონაცემთა ბაზებში შეუძლია. ასეთია, მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-კატალოგი ([www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)).

ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსები გულისხმობს როგორც საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას, ისე ელექტრონულ ტექსტებს.

**ბიბლიოგრაფია** ცოდნის დარგია, რომლის დანიშნულებაა, გამოავლინოს და აღწეროს ბექდვითი ნაწარმოებები და დაახარისხოს დარგების მიხედვით.. იგი ხელნაწერი თუ ბექდური ნაწარმოებების მონაცემთა ერთობლიობაა და თავდაპირველად წიგნთმწერლობას ნიშნავდა (ძვ. ბერძნულად *Biblion*-ნიგნი, *graphos*-წერა), XVII საუკუნიდან კი წიგნთა აღწერის მნიშვნელობით იხმარება. აქედან გამომდინარე, ბიბლიოგრაფიაში შედის არა მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი სტატიები, არამედ ინფორმაცია იმ გამოცემებზე (ბექდურსა თუ აუდიო-ვიზუალურზე), რომლებშიც ეს მასალა არის მოთავსებული. მისი მთავარი ფუნქციაა წყაროების თავმოყრა და დახარისხება.

ბიბლიოგრაფიის წარმოშობა განაპირობა ჯერ ხელნაწერთა, მერე კი ბექდურ ერთეულთა აღნუსხვის აუცილებლობამ. აღნუსხვა კი სხვადასხვა მიზნით ხდებოდა. მაგალითად, XIX საუკუნეში, როცა განსაკუთრებით განვითარდა ბექდვითი საქმე, წიგნის მალაზიების და სტამბების მფლობელები აქვეყნებდნენ გამოცემული ან გამოსაცემი წიგნების სიებს, რითაც რეკლამას უკეთებდნენ საკუთარ გასაყიდ პროდუქციას. საქართველოში ცნობილია, მაგალითად, ასეთი გამოცემები — „კატალოგი გ. ჩარკვიანისა და ამხანაგობის ქართული წიგნის მალაზიისა“ (1881წ.), რომელიც პირველი ქართული ნაბექდი ბიბლიოგრაფიული ნუსხაა; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (ქმწკგ) წიგნის მალაზიების კატალოგების 9 წიგნი (გამოიცა 1889-1914 წლებში) და სხვ.

წმინდა კომერციული დანიშნულებით შექმნილი ასეთი ნუსხები ფასდაუდებელი საინფორმაციო წყარო აღმოჩნდა როგორც წიგნთმცოდნეობის, ისე ზოგადად, ქვეყნის კულტურული განვითარების შეფასების მხრივაც.

დიდი ხნის განმავლობაში ბიბლიოგრაფიაში იგულისხმებოდა მხოლოდ ბექდური გამოცემები, რომლებშიც დოკუმენტების აღწერილობები გარკვეული სისტემით იყო განლაგებული. ინფორმაციის სწრაფი მოპოვების მიზნით, მათ თანდართული ჰქონდათ სხვადასხვა სახის საძიებელი: პირთა, სათაურთა, გეოგრაფიული, ქრონოლოგიური და ა.შ. სადღეისოდ ბექდური საცნობარო-ბიბლიოგრაფიული გამოცემების პარალელურად აქტიურად ფუნქციონირებს ელექტრონული საცნობარო სისტემები: ელექტრონული კატალოგები, ელექტრონული ბიბლიოგრაფიები, ელექტრონული ენციკლოპედიები, ელექტრონული ლექსიკონები და სხვ.

საქართველოს ბიბლიოთეკების უმრავლესობაში საძიებო სისტემები ჯერჯერობით სხვადასხვანაირი ბარათული კატალოგების სახით არის წარმოდგენილი: ანბანური, სისტემატური, საგნობრივი, ქრონოლოგიური და ა.შ. ელექტრონული კატალოგი ითავსებს ყველა ამ ტრადიციული კატალოგის ფუნქციას. ამჟამად განვითარებული ქვეყნების ბიბლიოთეკებში მხოლოდ ელექტრონული კატალოგებით ხდება მკითხველთა მომსახურება. ინფორმაციის მოპოვების ასეთი ფორმა თანდათანობით საქართველოს სინამდვილეშიც მკვიდრდება.

ელექტრონულ კატალოგს რამდენიმე უპირატესობა აქვს:

- ითავსებს ყველანაირი ტრადიციული (ბარათული) კატალოგის ფუნქციებს;
- ინფორმაციის მოძიება შეიძლება წარმართოს ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით;
- ძიება მიმდინარეობს სწრაფად;
- ელექტრონული კატალოგის სამუშაო ფურცელი იტევს კონკრეტულ დოკუმენტთან დაკავშირებული ინფორმაციის დიდ მოცულობას.
- ელექტრონული კატალოგის განახლება ყოველთვის შესაძლებელია.

**საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის (სპებ) ვებ-გვერდი** შეიცავს როგორც ელექტრონულ საცნობარო ლიტერატურას (კატალოგებს, ლექსიკონებს), ისე ე.წ. ელექტრონულ ბიბლიოთეკასაც (ელექტრონულ ტექსტებს). მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მყოფ დაინტერესებულ პირს ინტერნეტით შეუძლია გახსნას ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგები და გაიგოს, თუ რა ლიტერატურას შეიცავს მისი ფონდები. ამავე დროს, მომხმარებელს საშუალება ეძლევა კომპიუტერის საშუალებით წაიკითხოს კიდევ ის წიგნები, რომელთა ტექსტები განთავსებულია ელექტრონულ ბიბლიოთეკაში.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზები განთავსებულია მის ვებ-გვერდზე მისამართით: <http://www.nplg.gov.ge>.

**ჩვენი მომხმარებლისათვის უეჭველად საინტერესოა გაეცნოს ქართულ ელექტრონულ საცნობარო ლიტერატურას.**

#### **ა) კატალოგები**

სპებ-ის ვებ-გვერდზე მკითხველს შეუძლია გამოიყენოს ელექტრონული ფორმატით წარმოდგენილი წიგნების, დისერტაციების, რეფერატების, კომპაქტ-დისკების, კარტოგრაფიული გამოცემების, ქართული ჟურნალ-გაზეთების სტატიებისა და ა.შ. კატალოგები.

*CART* — ქართული წიგნების ელექტრონული კატალოგი სადღეისოდ შეიცავს დაახლოებით 135 000 წიგნის მონაცემს. ამ ბაზის შევსება დაიწყო XX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მასში შევიდა თითქმის ყველა ქართული წიგნის მონაცემი, პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნიდან მოყოლებული (1629 წ.), დღემდე, იმის მიუხედავად, არის ყველა ეს წიგნი ბიბლიოთეკაში თუ არა. ბაზის შესავსებად გამოყენებულ იქნა ქართული წიგნების დღემდე ცნობილი ყველაზე სრული ბიბლიოგრაფიები — „ქართული წიგნი“ (I, II და III ტომები) და ყოველწლიური ბიბლიოგრაფიული პერიოდული გამოცემა „წიგნის მატიანე“ (1921 წლიდან 1993 წლის ჩათვლით), რომლებსაც დაემატა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნების კატალოგის მონაცემები. მომხმარებელს ძიების ფორმების არჩევის საშუალება აქვს.

ინფორმაციის ჩვეულებრივი ძიების დროს მონიტორზე ჩანს ხუთი გრაფა: ავტორი, სათაური, გამოცემლობა, გამოცემის წელი და საგნობრივი რუბრიკა. ამ შემთხვევაში მხოლოდ ამ მონაცემების მითითებით არის შესაძლებელი ინფორმაციის მოპოვება მაშინ, როცა გაფართოებული ძიების შემთხვევაში ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით წარმოებს ძიება.

გაფართოებულ ძიებაზე გადასვლის დროს მონიტორზე ჩნდება მხოლოდ ოთხი გრაფა: ავტორი, სათაური, გამომცემლობა, გამოცემის წელი. კურსორის მეშვეობით გაიხსნება იმ სამუშაო ველების (გრაფების) ჩამონათვალი, რომლებშიც შესულია მომხმარებლისთვის სასურველი ინფორმაცია. მონიტორზე გამოტანილი ოთხი ძირითადი ველის გარდა, გამოიყენება სხვა ველებიც: საგნობრივი რუბრიკა, *ISBN, ISSN, UDC*, ნიგნის მატრიანის *N*, ტექსტის ენა, ორიგინალის ენა, გამოცემის ადგილი, სტამბა, გვერდები, სერია, პერსონალია, საკვანძო სიტყვები, სხვა პირები, კოლექტიური ავტორი, საგვარეულო ცნება, შენახვის შიფრი, ეგზემპლარობა და ყველა სხვა ველი.

სამუშაო ველებით ძიებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ნიგნის დამუშავების პროცესში ბიბლიოგრაფს სამუშაო ველებში მონაცემები შეაქვს მხოლოდ მათთვის განსაზღვრულ ადგილზე. არ შეიძლება მონაცემთა ქაოსური არევა. მაგალითად, ავტორის გვარი უნდა დაინეროს მხოლოდ ავტორის ველში და არა, ვთქვათ, გამოცემის წლის ველში. შესაბამისად, ველების მიხედვით ძიების ჩატარების დროსაც ზუსტად უნდა განისაზღვროს, თუ რომელ ველში რა ტიპის ბრძანება გაიცეს, მაგალითად, შეიძლება მომხმარებელი ეძებდეს ნიგნს, მაგრამ არ იცოდეს, რომ მას ჰყავს შემდგენელი და არა ავტორი. თუ იგი გვარს მიუთითებს ავტორის ველში, ნიგნი არ მოიძებნება. აქედან გამომდინარე, თუ მომხმარებელმა ზუსტად არ იცის ნიგნის მონაცემები, უმჯობესია, ძიება ჩაატაროს გრაფაში — ყველა ველი. ასეთ შემთხვევაში საძიებო სისტემა ერთად მოუყრის თავს ყველა იმ ნიგნს, რომელშიც ეს კონკრეტული გვარი ფიგურირებს, მიუხედავად იმისა, თუ რომელ სამუშაო ველშია იგი დაფიქსირებული.

გაფართოებული ძიების დროს შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე ბრძანების მიცემა. ბრძანების მიცემის შემდეგ საძიებო სისტემა გამოიტანს შესაბამისი ნიგნის ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერს, რომელსაც თან ახლავს ეროვნული ბიბლიოთეკის შენახვის შიფრები. შეიძლება ერთი და იგივე ნიგნი ინახებოდეს ბიბლიოთეკის სხვადასხვა ფონდში. ამიტომ, შენახვის შიფრების გასწვრივ მიეთითება, თუ სად შეიძლება მოცემული ნიგნის გამოწერა.

მონაცემთა ძიების დროს, თუ მომხმარებელს სჭირდება არაქართულენოვანი შრიფტი, მან კლავიატურა უნდა გადაიყვანოს მისთვის სასურველ ანბანზე.

ყველა მონაცემთა ბაზისათვის საერთოა თემატური კატალოგი. კურსორის მეშვეობით გაიხსნება უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის (უაკ) ცხრილის მიხედვით დაჯგუფებული მეცნიერების დარგები. ერთ-ერთ მათგანზე კურსორით დანკაპუნების შემთხვევაში, საძიებო სისტემა ერთად მოუყრის თავს ყველა იმ ნიგნსა თუ სტატიას, რომელიც მეცნიერების ამ დარგს შეეხება.

პერიოდული გამოცემების (ჟურნალების, გაზეთების) ანალიტიკურ აღწერილობათა ბაზებში, სხვა ბაზებისაგან განსხვავებით, დამატებულია რამდენიმე საძიებო ველი: გაზეთის დასახელება, პერსონალია, საგნობრივი რუბრიკა, სხვა პირები, ილუსტრაციები, გამოცემის ნომერი, თემატიკა, მოხსენებული პირები, ორგანიზაციები, რეზიუმე, კოლექტიური ავტორი, *ISSN* (პერიოდული გამოცემის საერთაშორისო ნომერი).

*AMAT* — ქართული ჟურნალების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია (1921-1925, 1939.) მონაცემთა ამ ბაზაში შევიდა 1921 წლიდან გამოსული ქართული ჟურნალების სტატიების ანალიტიკური აღწერილობები.

- ARXIV** — ბაზა შეიცავს მონაცემებს საარქივო მასალაზე, ე.ი. ისეთ დოკუმენტებზე, რომელიც არ ითვლება ბეჭდურ დამოუკიდებელ გამოცემად, მაგრამ შინაარსით მეტად მნიშვნელოვანია და ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში ინახება. ესენია: თვითგამოცემები, ამონარიდები, გამოუქვეყნებელი დოკუმენტები და სხვ.
- CART** — ქართული წიგნების ელექტრონული კატალოგი (1629 წლიდან).
- CDROM** — კომპაქტ-დისკების ელექტრონული კატალოგი.
- DIS** — დისერტაციების ელექტრონული კატალოგი.
- GAZET** — ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. ბაზაში შევიდა იმ სტატიების ანალიტიკური აღწერილობები, რომლებიც დაიბეჭდა გაზეთებში „საქართველოს გაზეთი“ (1819-1829), „დროება“ (1866-1885), „შრომა“ (1881-1883).
- GER** — ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის სახელობის გერმანული ლიტერატურის დარბაზის ელექტრონული კატალოგი. ეს დარბაზი მდებარეობს ეროვნული ბიბლიოთეკის II კორპუსში და ემსახურება ბიბლიოთეკის ნებისმიერ მკითხველს.
- GFB** — უცხოენოვანი წიგნების ელექტრონული კატალოგი. ამ ბაზაში შედის როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ დაბეჭდილი არაქართულენოვანი წიგნების მონაცემები. მისი წარმოება დაიწყო 1999 წლიდან, მაგრამ ჯერ კიდევ სრულად არ ასახავს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის უცხოენოვანი წიგნების ფონდს.
- GMAT** — ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია (2006 წ.).
- JMAT** — ქართული ჟურნალების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია (2005-2006 წწ.).
- KOMUN** — გაზეთ „კომუნისტის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია (1921-1940 წწ.).
- KVIRA** — გაზეთ „კვირის პალიტრის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია (2005 წლიდან)
- MAPS** — კარტოგრაფიული დოკუმენტების (რუკები, ატლასები, გეგმები) ელექტრონული კატალოგი.
- MICRO** — მიკროფორმები: მიკროფილმებისა და მიკროფიშების ელექტრონული კატალოგი.
- MUS** — სანოტო გამოცემების ელექტრონული კატალოგი.
- PERA** — ქართული ჟურნალების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია (1852-1912 წწ.)
- REF** — შეიცავს რეფერატების ბაზას როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე, ძირითადად, რუსულ ენაზე დაცული რეფერატების მონაცემებს.
- REVUE** — ჟურნალ „ლიტერატურული პალიტრის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია (2005 წლიდან).
- SAGA** — პლაკატების, ესტამპებისა და ფურცლოვანი გამოცემების ელექტრონული კატალოგი.
- SATI** — გაზეთ „24 საათის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია (2004 წლიდან)
- SER** — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია (1992 წლიდან).

## განსაკუთრებით მნიშვნელოვან საძიებო ბაზას წარმოადგენს ქართული გაზეთების ელექტრონული კატალოგი.

ეს კატალოგი მომხმარებლის სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო მოთხოვნას ასრულებს. საშუალებას აძლევს მას, მოიძიოს სასურველი გაზეთი არა მარტო სახელწოდების, არამედ გამოცემის დაწყების, ადგილის, რედაქტორის, თემატიკის, გამომცემელი ორგანოსა და ISSN-ის მიხედვით.

საძიებო სისტემა ბრძანებას მისი მიცემის ადეკვატურად ასრულებს. მაგალითად, თუ მომხმარებელი კატალოგის საწყის გვერდზე გამოტანილი გაზეთის დასახელების ველში დაწერს სიტყვა „საქართველოს“, საძიებო სისტემა ერთად გამოიტანს ყველა იმ გაზეთს, რომლის სახელწოდებაშიც ფიგურირებს ეს სიტყვა („საქართველო“, — „საქართველოს გაზეთი“, — „საქართველოს რესპუბლიკა“ და ა.შ.). სახელწოდებათა ჩამონათვალიდან მომხმარებელი კურსორის მეშვეობით აირჩევს მისთვის სასურველ გაზეთს. მონიტორზე ჩნდება მოცემული კონკრეტული გაზეთის მონაცემები: გამოცემის დაწყების წელი, პერიოდულობა, გამომცემელი ორგანო, რედაქტორი, მისამართი და ა.შ. ეროვნული ბიბლიოთეკის შენახვის შიფრებთან ერთად. გაზეთის გამოცემის წლების ჩამონათვალი მომხმარებელმა კურსორით უნდა გახსნას მისთვის სასურველი წელი, რის შემდეგაც მონიტორზე გამოდის ახალი გვერდი, რომელზედაც მოთავსებულია გაზეთების საკატალოგო ბარათის მსგავსი ცხრილი. ამ ცხრილის მიხედვით მომხმარებელს შეუძლია იხილოს, თუ დასახელებული გაზეთის მოცემული წლის რომელი თვისა და რა ნომრები ინახება ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში.

მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე, საძიებო სისტემას შეუძლია ერთად დააჯგუფოს ქართული გაზეთები თემატური, ქრონოლოგიური ან სხვა (ველების შესაბამისი) პრინციპების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე მომხმარებელს შეუძლია იხილოს და აქტიურად გამოიყენოს აგრეთვე **ელექტრონული ლექსიკონები**:

- ხელოვნების ენციკლოპედიური ლექსიკონი;
- უცხო სიტყვათა ლექსიკონი;
- ადამიანის უფლებათა ლექსიკონი;
- კომპიუტერული და საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონი;
- სამოქალაქო განათლების მოკლე ლექსიკონი.

**ელექტრონული ბიბლიოთეკა საბიბლიოთეკო საქმეში ყველაზე უახლესი, მნიშვნელოვანი და პროგრესული მოვლენაა.** ელექტრონულ ბიბლიოთეკაში შედის ელექტრონული ფორმატით მოწოდებული ტექსტები (ელექტრონული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები), რომელთა ნაკითხვა მხოლოდ კომპიუტერის საშუალებით არის შესაძლებელი. ელექტრონულ ტექსტებს აქვთ როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მხარეები.

**სასარგებლო მხარეები:** 1). ყველა მსურველს ინტერნეტით შეუძლია სახლიდან გაუსვლელად გაეცნოს ნებისმიერ ლიტერატურას. 2) ბეჭდური ერთეულები დროთა

განმავლობაში ზიანდება როგორც ხანგრძლივი და მრავალჯერადი გამოყენებების დროის ფაქტორის ზემოქმედებით. მათი ელექტრონული ტექსტებით ჩანაცვლება ბევრად შეამცირებს ბექდურის ნიგნების დაზიანების რისკს. 3) ჩვეულებრივი, ბექდური ნიგნებისაგან განსხვავებით, ელექტრონულ ნიგნებს არ სჭირდებათ დიდი მოცულობის შესანახი ადგილი. მათი რაოდენობა შეუზღუდავად შეიძლება გაიზარდოს. საჭიროების შემთხვევაში ტექსტების გადატანა ხდება საარქივო ფორმატში, რაც კიდევ უფრო ამცირებს მათი შენახვის ფართობს. 4) შესაძლებელია ელექტრონული ტექსტების გადატანა ბექდურ ფორმატში.

**უარყოფითი მხარეები:** 1) ინფორმატიკის განვითარებასთან ერთად, იზრდება ელექტრონული ინფორმაციის დამაზიანებელი ვირუსების რაოდენობა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან შექმნილ ელექტრონულ პროდუქციას. 2) ადამიანთა უმრავლესობისათვის კომპიუტერთი დიდი მოცულობის მხატვრული ლიტერატურის ნაკითხვა და ესთეტიკური სიამოვნების მიღება შეუძლებელია. ქართული ლიტერატურის ციფრული კოლექცია შეიქმნა 2004 წელს იუნესკოს მოსკოვის ოფისის პროექტით. კოლექციაში შევიდა ქართული კლასიკური ლიტერატურის ყველა ცნობილი ნაწარმოადგენლის მოკლე ბიოგრაფია და ნაწარმოებების ტექსტები. საერთოდ, კოლექციებში ინფორმაციის ძიების ოთხი გზა არსებობს:

- ძებნა ცალკეული სიტყვებით ან ფრაზებით;
- ძებნა ავტორთა გვარებით (ან უნიფიცირებული სახელით);
- ძებნა ნაწარმოებთა სათაურებით;
- ძებნა საუკუნეების მიხედვით.

**1. ძებნა სიტყვებით ან ფრაზებით.** ძიების პირველ გრაფაში უნდა შეირჩეს ძიების არე, ე.ი. უნდა დაკონკრეტდეს, სასურველი სიტყვა მოიძებნოს ნიგნების სათაურში, ტექსტში, დოკუმენტის რომელიმე თავსა თუ პარაგრაფში და ა.შ.

ძიების მომდევნო გრაფაში უნდა შეირჩეს სასურველი **ოპერატორი** (ყველა ან რამდენიმე). ოპერატორების გამოყენება ძიებას გააადვილებს. **სიტყვის ნაკვეთის ოპერატორი** — ვარსკვლავი (\*) — საშუალებას იძლევა, რომ მთლიანი სიტყვის დაწერის გარეშე ერთად დაჯგუფდეს მსგავსი ძირის სიტყვები, მიუხედავად მათი დაბოლოებებისა. მაგალითად, თუ მომხმარებელს სურს მოიძიოს დოკუმენტები, რომლებშიც არის სიტყვა „ცხოვრება“ სხვადასხვა დაბოლოებით, მან ძირითად საძიებო გრაფაში უნდა დაწეროს — ცხოვრებ\*.

**ზუსტი ფრაზით** ძიების შემთხვევაში საჭიროა ფრაზა მთლიანად ჩაისვას ბრჭყალებში. ბრძანების შესრულება დაინიშნება კურსორით ძებნის ლილაკზე დანკაპუნებით.

**2. ძებნა ავტორთა გვარებით.** ინფორმაციის ძიების ამ გრაფის გააქტიურების შემდეგ მონიტორზე ჩნდება ქართული ანბანის ასოები. ავტორის გვარის მოსაძებნად მომხმარებელი უნდა შეჩერდეს შესაბამის ასოზე, რის შემდეგაც ერთად დაჯგუფდება ყველა იმ ავტორის გვარი, რომელიც ამ ასოზე იწყება. არჩეული ავტორის ფაილი იძლევა ავტორის ბიოგრაფიასა და ნაწარმოებების სათაურთა ჩამონათვალს. სათაურის არჩევის შემდეგ იხსნება თვით ამ ნაწარმოების ტექსტი.



**3. ძებნა ნაწარმოებთა სათაურებით.** ნაწარმოებთა სათაურებით ძებნაც იმავე პრინციპით არის შესაძლებელი, როგორითაც — ავტორთა გვარებით ძიება. იხსნება ყველა ის სათაური, რომელიც მონიშნული ასოთი იწყება. სასურველი სათაურის არჩევის შემდეგ, შესაძლებელი იქნება თვით ნაწარმოების ტექსტის გახსნაც.

ქართული ასოების წინ მოთავსებულია ის ლათინური ასოები, ციფრები და სხვა სიმბოლოები, რომლებითაც იწყება რამდენიმე ნაწარმოების სათაური, მაგალითად, „VOILES“ (გ. ტაბიძე) ან „1871 წელი, 23 მაისი“ (ი. ჭავჭავაძე) და სხვ.

**4. ძებნა საუკუნეების მიხედვით.** ამ საძიებო ველის საშუალებით მომხმარებელს შეუძლია ნაწარმოებების ნახვა იმ საუკუნის მიხედვით, რომელშიც მოღვაწეობდა ავტორი ან შეიქმნა უცნობი ავტორის ნაწარმოები. ველის გააქტიურების შემდეგ გაიხსნება საუკუნეთა ჩამონათვალი მე-5 საუკუნიდან მე-20 საუკუნის ჩათვლით. სასურველი საუკუნის ამორჩევისა და გახსნის შემდეგ, მონიტორზე ჩნდება ამ საუკუნეში მოღვაწე ავტორები და მათი ნაწარმოებების სათაურები. სასურველი ნაწარმოების სათაურზე კურსორის მიტანითა და ლილაკზე დაწკაპუნებით გაიხსნება თვით ამ ნაწარმოების ტექსტი.

კოლექცია *CIVIL EDUCATION* შეიცავს ლიტერატურას შემდეგი თემების მიხედვით: ადამიანის უფლებები; განათლება; დემოკრატია; ეკონომიკა; კონფლიქტი; კულტურა; ლექსიკონი; მესამე სექტორი; პოლიტოლოგია; სამოქალაქო განათლება; სოციოლოგია. მასში საუკუნეების ძიების ნაცვლად გამოყენებულია თემატური ძიება.

**PDF-ციფრული კოლექცია** შეიცავს დისერტაციებს და ბეჭდურ არქივს. ძიების დაწყების წინ შესაბამის უჯრაში უნდა მიითითოს სასურველი კოლექცია (დისერტაციები ან ბეჭდური არქივი), საძიებო ველში კი დაიწეროს საკვანძო სიტყვა. ამავე დროს, მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს თემატიკა, რაც საგრძნობლად შეამცირებს საძიებო არეალს და დროს დაზოგავს. სიტყვის შეკვეცის შემთხვევაში, მის ბოლოს იწერება ვარსკვლავი (სიტყვის ნაკვეცის ოპერატორი), რომელიც ამ სიტყვას მოძებნის მისი ნებისმიერი დაბოლოებით. ორი ან მეტი სიტყვით შედგენილი ფრაზა უნდა დაიწეროს ბრჭყალებით. თუ მომხმარებელს სურს, ძიება ჩატარდეს მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ ველში, მან საძიებო უჯრაში ჯერ უნდა მიუთითოს შესაბამისი სამუშაო ველის სახელწოდება, შემდეგ — ორწერტილი (:); და ბოლოს — მოსაძებნი სიტყვა, მაგალითად,

**title:** მერანი  
ან  
**author:** ბარათაშვილი

საძიებო ველების სახელწოდებებია: **title** (ძიება სათაურების ველში); **author** (ძიება ავტორების ველში); **subject** (ძიება თემატიკის ველში); **date** (ძიება თარიღის ველში).

სამოქალაქო განათლების ვირტუალური ბიბლიოთეკა შეიცავს მონაცემებს სამოქალაქო განათლების საკითხებზე შექმნილი წიგნებისა და მათი ავტორების შესახებ. წიგნების ბიბლიოგრაფიულ აღწერილობებთან ერთად, გამოტანილია ამ გამოცემების ყდების სკანირებული გამოსახულებები. მკითხველი აქვე გაეცნობა წიგნების ანოტაციებსა და სარჩევებს, ხოლო ბმულის საშუალებით — მოცემული კონკრეტული ავტორების სხვა წიგნებსაც.



შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ ცნობარი „ქართველი ავტორები“ (<http://www.nplg.gov.ge/authors/main.html>). ამ კოლექციაში წარმოდგენილია თანამედროვე ქართველი ავტორების ბიოგრაფიული მონაცემები და მათი ავტორობით გამოსული ნიგუნების ბიბლიოგრაფიული აღწერილობები. მომხმარებელი თავდაპირველად ირჩევს საძიებო ველს („ავტორები“ ან „ნიგუნები“), რის შემდეგაც პირველ გვერდზე გამოდის შესაბამისი ველის ანბანური საძიებელი. ზედა ჰორიზონტალურ ხაზში გამოტანილი უჯრების მონიშვნის შემთხვევაში მომხმარებელი მიიღებს დამატებით ინფორმაციას ავტორის ან ნიგუნის შესახებ. საინფორმაციო ელექტრონული სისტემები დროთა განმავლობაში იცვლება, იხვეწება და ვითარდება მათი ნავიგაცია და ინტერფეისი.

## ინფორმაციის მიღების პიბტემში და წინასწადი ანალიზი

ბიბლიოთეკების მთელი მუშაობა მიმართულია იქით, რომ რამდენადაც შეიძლება, სრულად დააკმაყოფილონ მკითხველთა მოთხოვნილებები ინფორმაციაზე. ამიტომ ბიბლიოგრაფიული მეცნიერება დიდ ყურადღებას უთმობს როგორც ინფორმაციული მოთხოვნილებების შესწავლას, ისე ინფორმაციის მომხმარებელთა დიფერენციაციას. ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს ინფორმაციული მომსახურების სრულყოფას. ძიების დაწყებამდე საჭიროა მიზნისა და ამოცანის წინასწარი ანალიზი, აქ იგულისხმება იმის დაზუსტება, თუ რა მიზნით სჭირდება მომხმარებელს ინფორმაცია. ეს მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ სწორად წარიმართოს ძიება. წინასწარი ანალიზისთვის პირველი პროცედურა მომხმარებელთან გასაუბრებაა, რის შედეგადაც დგინდება საინფორმაციო მოთხოვნილება, ხოლო შემდეგ — ინფორმაციის ძიება საგნობრივ და სისტემატურ კატალოგებში. საინფორმაციო შეკითხვის ანალიზის წარმატებით შესრულებაში გადამწყვეტი როლი შეიძლება შეასრულოს საინფორმაციო შეკითხვის შემკვეთთან **საცნობარო-საინფორმაციო ინტერვიუმ**. საცნობარო ინტერვიუ, ზოგადად, წარმოადგენს დიალოგს ბიბლიოთეკარსა და მკითხველს შორის, რომლის მიზანიც ის არის, რომ დაეხმაროს მომხმარებელს მისთვის საჭირო ინფორმაციის მოძებნაში. ბიბლიოთეკარის დანიშნულებაა, განსაზღვროს მკითხველისათვის საინტერესო ინფორმაციის ხასიათი, მისი არსი. ბიბლიოთეკარს ყოველდღიურად უხდება მრავალი სხვადასხვა ხასიათის კითხვაზე პასუხის გაცემა. ზოგიერთი კითხვა მოითხოვს პირდაპირ და მოკლე პასუხს, ზოგჯერ კი საჭიროა სხვადასხვა სახის მასალის ზედმიწევნით და ღრმად შესწავლა, რათა მკითხველის კომპლექსურ ან არცთუ მთლად ზუსტად დასმულ კითხვას მოუძებნოს პასუხი. ამ შემთხვევაში სწორედ მკითხველთან ინტერვიუს დროს ხდება თემატიკის განსაზღვრა. **ინტერვიუ** შეიძლება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყოს. ეს დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. მათ შორის იმაზე, თუ რამდენად ზუსტად არის ჩამოყალიბებული კითხვის არსი. საცნობარო ინტერვიუ შეიძლება განვიხილოთ, როგორც კომუნიკაციის ორმხრივი საშუალება. ეს ურთიერთობა შეიძლება განხორციელდეს დამკვეთთან პირადი საუბრით მასთან შეხვედრის გარეშე — „ვირტუალურად“ (წერილი, ტელეფონი, ინტერნეტი). ბიბლიოთეკარი კომუნიკაციის დამყარებისას ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ შესაძლოა მკითხველი ცუდად იცნობდეს იმ სფეროს, რომელსაც მის მიერ დასმული კითხვა ეხება, არ იცნობდეს ბიბლიოთეკის კოლექციას, ან არ იცოდეს, როგორ გამოიყენოს ბიბ-

ლიოთეკაში არსებული საცნობარო წყაროები, გარდა ამისა, მომხმარებელს, შესაძლოა, გაუჭირდეს გარკვეულ თემატიკაზე კითხვის დასმა და სხვ. ბიბლიოთეკაში ყველა პირობა უნდა იყოს იმისათვის, რომ მკითხველსა და ბიბლიოთეკარს შორის არ შეიქმნეს რაიმე ბარიერი, შემოთავაზებულმა პირობებმა მკითხველი უნდა განაწყოს კომუნიკაციისათვის. დიდი მნიშვნელობა აქვს საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების ინტერიერს, სადაც ამ განყოფილების თანამშრომლები იმყოფებიან.

ინფორმაციის ძიებისას შეიძლება შევხვდეთ **მარტივ შეკითხვას**, როცა ყველაფერი ცხადია, ხოლო რთული საინფორმაციო შეკითხვის შემთხვევაში, უნდა ჩამოვყალიბოთ ძიების სამუშაო გეგმა, რომელიც შეიძლება შემდეგი ეტაპისაგან შედგებოდეს:

1. საინფორმაციო შეკითხვის მიღება, მისი ჩამოყალიბება.
2. საინფორმაციო თემის დაზუსტება.
3. საინფორმაციო შეკითხვის მიზნისა და ინფორმაციული ძიების სიზუსტის დადგენა.
4. საინფორმაციო შეკითხვიდან საკვანძო სიტყვების გამოყოფა, მათი სინონიმების, გვარუბითი და სახეობითი ტერმინების დადგენა. სიტყვის დაწერილობის გათვალისწინებული უნდა იყოს სიტყვის სხვადასხვა დასაშვები ფორმა. საინფორმაციო შეკითხვის სხვა სიტყვებით ჩამოყალიბება.
5. მოსაძიებელი მასალების ტიპის დადგენა (პოპულარული გამოცემა, სასწავლო მასალა, გაზეთების სტატიები, სამეცნიერო ნაშრომი, ტექნიკური დოკუმენტაცია, საცნობარო გამოცემები და ა. შ.)
6. მოსაძიებელი მასალების გამოქვეყნების სასურველი დროის დადგენა.
7. მოსაძიებელი მასალების სასურველი ენის დადგენა.
8. პასუხის მიღების სასურველი დროის დადგენა.
9. მოსაძიებელი წყაროს ავტორის რეპუტაციის განსაზღვრა..
10. რთული საინფორმაციო შეკითხვის შემთხვევაში, განსაკუთრებით დამწყებთათვის, სასურველია, რომ ძიების სტრატეგია იყოს დაწერილი, ხოლო ადვილი საინფორმაციო შეკითხვის შემთხვევაში, საკმარისია, რომ პასუხი იყოს კარგად მოფიქრებული ზეპირი პასუხისათვის.
11. ფასიანი საინფორმაციო სამსახურის დადგენა (ხშირ შემთხვევაში მომხმარებლისათვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს).
12. საინფორმაციო რესურსების მიმდევრობის განსაზღვრა.
13. პირველი ძიების შედეგად მიღებული დოკუმენტების რელევანტურობისა და პერტინენტულობის შეფასება, თუ მიღებული შედეგები საკმარისი არ არის მომხმარებლის საინფორმაციო ინტერესისა და მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მაშინ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე უნდა მოხდეს მოძიებული მასალის კორექტირება. (პერტინენტულობა არის საინფორმაციო ძიების შედეგად მიღებული დოკუმენტის შინაარსის შესაბამისობა მომხმარებლის საინფორმაციო მოთხოვნილებასთან. რელევანტურობა — ძიების შედეგად მიღებული დოკუმენტის ზუსტი შესაბამისობა საინფორმაციო შეკითხვასთან)



**არსებობს ინფორმაციის მიღების ორი წყარო: ტრადიციული ბიბლიოთეკები** რომლებიც ქმნიან დოკუმენტების საინფორმაციო სისტემას, სადაც კატალოგები და კარტოთეკები წარმოადგენს „ბარათულ მონაცემთა ბაზებს,“ და **ელექტრონული კატალოგები**, მონაცემთა ბაზებითურთ. აქვე შეიძლება განვიხილოთ ინფორმაციის მიღების ორი ვარიანტი: 1. ფონდთან თავისუფალი დაშვების შემთხვევაში, მომხმარებელი თვითონ მიდის ძიების შედეგად განსაზღვრულ თაროებთან, ათვლიერებს დოკუმენტს და მხედველობაში იღებს პერტინენტულობას, 2. დახურული ფონდის შემთხვევაში მომხმარებელი რელევანტურ დოკუმენტებს იწერს საცავიდან, იღებს მათ, ათვლიერებს და განსაზღვრავს მის პერტინენტულობას.

მომხმარებელი, სანამ სასურველ წყაროს მიაგნებს, ძიების ორ გზას ირჩევს: შეეცდება კონკრეტულიდან ზოგადი ინფორმაცია მიიღოს ან ზოგადიდან — კონკრეტული. **პირველ შემთხვევაში** მკითხველმა იცის კონკრეტული დოკუმენტის ან გარკვეულ თემატიკაზე არსებული მასალების არსებობის შესახებ და სურს მსგავსი მასალის მოძებნა. მაგ., როცა მკითხველმა იცის წიგნის ავტორი ან სათაური, ეძებს სხვა ავტორის მიერ შესრულებულ მსგავს ნაწარმოებებს. მკითხველი, ბიბლიოთეკარის დახმარებით (ან დამოუკიდებლად), უწინარესად ნახულობს ნაცნობი დოკუმენტის საგნობრივ რუბრიკას, რომელიც შეიძლება იყოს საბარათო კატალოგებსა თუ ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში.

საინფორმაციო ძიებისას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მომხმარებლისათვის სისტემატური კატალოგის **ანბანურ-საგნობრივ საძიებელს**. ეს საძიებელი წარმოადგენს სისტემატური კატალოგის გასაღებს.

მომხმარებლის მიერ დასმული შეკითხვის წინასწარი ანალიზისათვის დიდ დახმარებას გვინევენ **საგნობრივი კატალოგი** და მას თანდართული რუბრიკათა საძიებელი.

საგნობრივი რუბრიკა შეიძლება იყოს რთული, როდესაც ძირითად რუბრიკას ქვერუბრიკებიც ახლავს, მარტივია, როდესაც ქვერუბრიკა არ ახლავს. რუბრიკა რაც უფრო მარტივადაა გამოსახული, მით უკეთესია. როგორც სისტემატურ კატალოგს, ისე საგნობრივ კატალოგს დაერთვის და ავსებს **რუბრიკათა საძიებელი**, რომელიც უნდა შედგეს და შეიცოს პარალელურად საგნობრივი კატალოგის შედგენისას. **მეორე შემთხვევაში** უმჯობესია, განმარტებითი ლექსიკონის ან კონკრეტული დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონის მოშველიება. ყოველივე ამისათვის კი საჭიროა მომხმარებელთა საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული ცოდნის გაფართოება, იმ ბიბლიოგრაფიული წყაროების ცოდნა, რომელიც აუცილებელია მკითხველისათვის. ინფორმაციის მოძიების ელემენტარული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში ბიბლიოთეკარ-ბიბლიოგრაფი დიდ როლს ასრულებს. თითოეულ ბიბლიოთეკაში მკითხველთა ბიბლიოგრაფიულ სწავლებაში თითქმის ყველა განყოფილება მონაწილეობს. ბიბლიოგრაფიული სწავლება მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. ბიბლიოგრაფიული ცოდნის გასავრცელებლად, აუცილებელია შემდეგი პირობები: ბიბლიოგრაფმა კარგად უნდა იცოდეს მკითხველთა ძირითადი ჯგუფების ინფორმაციული მოთხოვნილებები, ბიბლიოთეკაში უნდა იყოს შემუშავებული მათი შესწავლის სისტემა, მან უნდა შეძლოს, მკითხველს აღუძრას ბიბლიოგრაფიული ცოდნის შექმნის სურვილი, დააინტერესოს იგი კარგად ორგანიზებული საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატით, ბიბლიოგრაფი უნდა იყენებდეს ინფორმაციის გადაცემის

ყველა ფორმას და სახეებს (მაგ. კონსულტაციებს, თვალსაჩინო გამოფენებს, კონფერენციებს, სემინარებს, საცნობარო და ბიბლიოგრაფიული გამოცემების მიმოხილვებს). ამ დროს მკითხველთან ვსაუბრობთ არა მარტო საცნობარო წყაროებზე, ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებზე და მათი გამოყენების საშუალებაზე, არამედ მასში აღნუსხულ ნიგნებზეც, სწავლების ტექნიკურ საშუალებებზე და სხვ. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ბიბლიოთეკაში საინფორმაციო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მომხმარებელმა შეძლოს, სრულყოფილად გამოიყენოს ბიბლიოთეკის ყველა რესურსი.

## ინფორმაციული ძიების მეთოდების განსაზღვრა

თანამედროვე საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მეცნიერებაში დიდი ადგილი უკავია ბიბლიოთეკარის მიერ იმ ინფორმაციული ძიების მეთოდების გამოყენების შესწავლას, რომელიც ხელს შეუწყობს მომხმარებელთა მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას. მეთოდების ძიებისას მთავარია, მკითხველთა ბიბლიოგრაფიული სწავლება, რაც გულისხმობს ინფორმაციული რესურსების ეფექტიანად გამოყენებისათვის საჭირო ჩვევების დაუფლებას. ამისათვის აუცილებელია: 1. ბიბლიოგრაფიციზობდეს მომხმარებელთა ძირითადი ჯგუფების ინფორმაციულ მოთხოვნილებებს, ბიბლიოთეკაში შემუშავებული იყოს მათი შესწავლის სისტემა. 2. ბიბლიოგრაფმა შეძლოს, მკითხველს გაუჩინოს ბიბლიოგრაფიული ცოდნის შექენის სურვილი. 3. ბიბლიოთეკის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული რესურსების, მისი სტრუქტურის, მისი გამოყენების საშუალებების შესწავლა. 4. განუწყვეტილვ მიმდინარეობდეს ბიბლიოგრაფიული ცოდნის პოპულარიზაცია (მკითხველთან ნებისმიერი კონტაქტის დროს: ბიბლიოთეკაში ჩანერისას, მომსახურების პროცესში და ა. შ.). მკითხველთა ბიბლიოგრაფიულ სწავლებაში უპირველესი მნიშვნელობა აქვს მრავალფეროვან სახელმძღვანელო მასალას, რომელიც ბიბლიოგრაფიული ცოდნის პოპულარიზაციას ეწევა და რომელსაც დიდი ბიბლიოთეკები გამოსცემენ. დანიშნულების მიხედვით ეს საქმიანობა შეიძლება შემდეგნაირად დაეყოთ: 1. საცნობარო-საკონსულტაციო, 2. მეთოდური, 3. საინფორმაციო. პირველი მომხმარებელს აწვდის ცნობებს ბიბლიოთეკის, მკითხველის უფლება-მოვალეობის, ბიბლიოთეკის საინფორმაციო მომსახურების, საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატისა და მისი გამოყენების შესახებ, ხოლო მეორე გულისხმობს მეთოდური სახელმძღვანელოების გამოყენებას როგორც ბიბლიოგრაფიული მეცადინეობისათვის, ისე მკითხველთა დამოუკიდებელი მუშაობისათვის. მესამე ეხება ცნობარებს — ცნობილია, რომ საინფორმაციო გამოცემებში შეიძლება გამოიყოს სხვადასხვა სახის ცნობარები.

ადამიანის ყველა პროფესიული ან არაპროფესიული საქმიანობა წარმოქმნის შესაბამის საინფორმაციო მოთხოვნილებებს. შეიძლება ვანვიხილოთ ინფორმაციული მოთხოვნილების მხოლოდ სამი სახე, რომელთაც უფრო ხშირად ვხვდებით პრაქტიკაში. ესენია: საზოგადოებრივი, კოლექტიური და ინდივიდუალური მოთხოვნილებები.

მკითხველთა უკეთ მომსახურების მიზნით, ინფორმაციულ მოთხოვნილებათა შესწავლას დიდი როლი ეკისრება, ამისათვის პრაქტიკაში იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორცაა: დაკვირვება, დოკუმენტური წყაროების შესწავლა და გამოკითხვა.

**დაკვირება**, როგორც მასალის შეგროვების მეთოდი, პირველ ყოვლისა, მართლაც ხოვს დაკვირვების ობიექტის განსაზღვრას საინფორმაციო მოთხოვნილებათა შესწავლის მიზნით. ეს მეთოდი გამოიყენება მაშინ, როდესაც მკითხველები იყენებენ საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ აპარატს (კატალოგებს, კარტოთეკებს, ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებს და სხვ.).

**დოკუმენტის ანალიზი** უფრო ხშირად კეთდება დაკვირვებათა შედეგებზე. ამ შემთხვევაში სწავლობენ სხვადასხვა სადირექტივო მასალას და საანგარიშო დოკუმენტს, რომლებშიც არის მონაცემები იმ დანესებულებების შესახებ, სადაც უშუალოდ ხდება რაციონალური წინადადებებისა და სხვა მასალათა ანალიზი, შეისწავლება პრიორიტეტული წყაროები. რაკი საინფორმაციო მოთხოვნილებები საკმაოდ სწრაფად იცვლება, ბიბლიოგრაფიული მომსახურებისათვის საინტერესოა ის, თუ რა ინტერესები აქვს მკითხველს სადღეისოდ და როგორი ექნება ახლო მომავალში.

**გამოკითხვა** ყველაზე ეფექტური და გავრცელებული მეთოდია საინფორმაციო მოთხოვნილებათა დასადგენად და წარმოებს ზეპირად ან წერილობით (ანკეტის ფურცლების მიხედვით). ცნობების სისწორე, რომელიც ამ მეთოდით მიიღწევა, საშუალებას აძლევს ბიბლიოთეკარს, უფრო ზუსტად განსაზღვროს მკითხველის საინფორმაციო მოთხოვნილებები.

**საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მომსახურებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია მეტწილად ერთჯერადი ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება. ბიბლიოგრაფიული შეკითხვა (შეკვეთა) წარმოადგენს მკითხველის მოთხოვნას ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციაზე, ხოლო პასუხს ერთჯერად შეკითხვაზე, რომელიც ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას შეიცავს, ბიბლიოგრაფიული ცნობა ეწოდება. საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება მიმდინარეობს რეჟიმით — შეკვეთა (შეკითხვა), პასუხი (ცნობა), ცნობის შესრულება და მკითხველზე გაცემა, რაც საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების ძირითადი შედეგია.**

**ცნობის ხარისხი განისაზღვრება** მისი რელევანტურობით: რამდენად შეეფერება (რელევანტური) ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია მკითხველთა შეკითხვას, აგრეთვე პერტინენტულობით: რამდენად ზუსტად (პერტინენტულად) უპასუხებს მკითხველის მოთხოვნას ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია. ფორმის მიხედვით არსებობს ზეპირი და წერილობითი ცნობა. ზეპირ ცნობას ახასიათებს მცირე მოცულობა, როგორც წესი, ის სრულდება მკითხველის თანდასწრებით, გაიცემა ზეპირად, ზოგჯერ ტელეფონითაც. წერილობითი ცნობა ფორმდება ბიბლიოთეკის სპეციალურ ბლანკზე.

**შინაარსობრივად ასხვავებენ თემატურ, დამაზუსტებელ და ფაქტობრივ ცნობებს. თემატური ცნობა** წარმოადგენს ლიტერატურის ნუსხას, რომელიც შეიცავს ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას გარკვეული თემის ირგვლივ. თემატურ ცნობებზე მუშაობა საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების მნიშვნელოვანი ნაწილია. შეკვეთის მიღების დროს ბიბლიოგრაფი საუბრობს მკითხველთან, არკვევს მის ვინაობას, განათლებას, პროფესიას, შეკითხვის მიზანს, რა სახის, რომელი წლების, რა ენაზე და რო-



დისთვის სჭირდება მას ეს ცნობა. ბიბლიოგრაფი, აგრეთვე, აზუსტებს თემის შინაარსს აკონკრეტებს მას. თემის შესწავლის შემდეგ ბიბლიოგრაფი შეუდგება ლიტერატურის ძიებას. გადაისინჯება კატალოგები, ბიბლიოგრაფიული წყაროები, შემდეგ ხდება შერჩევა, „დე ვიზუ“ (ხილვით), დაჯგუფება (სისტემატური, ქრონოლოგიური, ანბანური), კატალოგებში აღრიცხული ლიტერატურის სიის შედგენა.

თემატურ ცნობას ერთგვარად ემსგავსება **ბიბლიოგრაფიული კონსულტაცია**, რომელიც, აგრეთვე, წარმოადგენს პასუხს ერთჯერად შეკითხვაზე. ბიბლიოგრაფიული კონსულტაცია შეიცავს დარიგებას (რჩევას) ბიბლიოგრაფიული ძიების გზებისა და საშუალებების ირგვლივ. კონსულტაციაში მითითებულია წყაროები, რომელთა მეშვეობით მკითხველს შეუძლია მიიღოს პასუხი თავის შეკითხვაზე.

**დამაზუსტებელი ცნობა ადგენს** (ან აზუსტებს) ბეჭდურ ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფიული აღწერილობის რომელიმე ელემენტს (ავტორს, სათაურს, ადგილს, წელს და სხვ.). დამაზუსტებელი ცნობის სირთულე გამომწვეულია დამახინჯებული ვარიანტების სიმრავლით.

**ფაქტოგრაფიული ცნობა მოითხოვს** ფაქტის, მოვლენის, ავტორის ვინაობის, სტატისტიკური მონაცემების, თარიღის, ტერმინის, ციტატის და სხვათა დადგენას, გამორკვევას. მაგ., რომელი მწერლები შედიოდნენ ლიტერატურულ გაერთიანებაში „ცისფერყანწელი“. ფაქტოგრაფიული ცნობა სრულდება ენციკლოპედიების, ლექსიკონების და სხვა ცნობარების გამოყენებით. ახლად შემოსული ლიტერატურის ინფორმირებისათვის ბიბლიოთეკები იყენებენ ინფორმაციის გაცემის სხვადასხვა ფორმას: ბეჭდავენ სიებს ან აწყობენ ლიტერატურულ მიმოხილვებს, გამოფენებს, რომლებიც მიძღვნილია საცნობარო და ბიბლიოგრაფიული გამოცემებისადმი და სხვ. გამოფენა შედეგანია, თუ მასში კარგადაა შერჩეული საინფორმაციო გამოცემები. მნიშვნელოვანი დამხმარე ფორმა თვალსაჩინო მეთოდის გამოყენებისას არის **პლაკატი-გზამკვლევი**, რომელიც მომხმარებელს აცნობს ბიბლიოთეკის სტრუქტურას, მიუთითებს იმ განყოფილებების ადგილმდებარეობას, რომლებიც მკითხველთა მომსახურებას ეწევიან. გამოიყენება აგრეთვე განცხადებები, ალბომები, ბიულეტენები. ასევე იმართება სხვადასხვა ღონისძიება: კონფერენციები, სემინარები, ლექციები, რადიოგადაცემები, ტელეგადაცემები, ტელეფილმები, ტელეფონი, ინტერნეტი, კომპლექსური ბიბლიოგრაფიული დღეები (კვირეულები და ერთთვიურები), აწესებენ სისტემატურ რუბრიკას „**წიგნის თარო**“, „**ინფორმაციის დღე**“-ამ დროს მკითხველი უშუალოდ ეცნობა წიგნს და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია გაიტანოს იგი ბიბლიოთეკიდან.

**ბიბლიოგრაფიული მუშაობის** დროს ხშირად არ კმარა მხოლოდ ის კატალოგები, რომლებშიც ასახულია მხოლოდ წიგნები, რადგანაც მკითხველები ხშირად იყენებენ ჟურნალებსა და გაზეთებს, რომლებშიაც მოცემულია მეტად მნიშვნელოვანი და ახალი მასალები. პერიოდული მასალა ცნობების მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ამიტომ აუცილებელია პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი მასალების აღწერა, რაც ძირითადად კარტოთეკებში აისახება. ბიბლიოგრაფიული კარტოთეკები საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატის მნიშვნელოვანი ნაწილია, მასში ასახულია ჟუ-

რნალების, გაზეთების, გრძელდებადი გამოცემებისა და კრებულების სტატიებში  
ლიოგრაფია. კარტოთეკებს შორის ნამყვანი ადგილი უჭირავს **სტატიების სისტემატურ  
კარტოთეკას**, რომელშიც ასახულია მხოლოდ პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი  
მასალები. შინაარსის მიხედვით ის უნივერსალურია, მოიცავს მასალას ცოდნის ყველა  
დარგიდან.

**თემატურ კარტოთეკებში** აისახება წიგნები და სტატიები; მასალა აქ განლაგებუ-  
ლია ქვეთემების ანბანის მიხედვით ან ლოგიკური თანამიმდევრობით. უმეტეს შემთხ-  
ვევაში მას დროებითი ხასიათი აქვს, სანამ თემა აქტუალურია.

**მხარეთმცოდნეობითი კარტოთეკა** ასახავს მასალას, რომლის აღწერილობანი ში-  
ნაარსით დაკავშირებულია ქვეყნის გარკვეულ ტერიტორიასთან და მკითხველს მხარის  
შესწავლაში ეხმარება.

**ბიბლიოგრაფიული მასალების** კარტოთეკაში ასახულია ბიბლიოგრაფიული მაჩ-  
ვენებლების ცალკეული გამოცემები, პერიოდულ პრესაში დაბეჭდილი საძიებლები,  
ლიტერატურის სიები; მათში ასახულია ბიბლიოგრაფიული განყოფილების საცნობარო-  
ბიბლიოგრაფიული გამოცემების ფონდიც.

ყოველი კარტოთეკა უნდა ემყარებოდეს ბიბლიოთეკის პროფილს და შეესაბამ-  
ებოდეს მომხმარებელთა მოთხოვნილებას.

ბიბლიოთეკაში ბიბლიოგრაფიული ინფორმირება ხორციელდება აგრეთვე **ბიბ-  
ლიოგრაფიული მაჩვენებლების** მეშვეობითაც. ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი წარ-  
მოადგენს რთული სტრუქტურის ბიბლიოგრაფიულ სახელმძღვანელოს, რომელშიც  
შედის ერთიანი საკლასიფიკაციო სქემის მიხედვით გაერთიანებული მრავალი ბიბლიო-  
გრაფიული აღწერილობა. მას დაერთვის დამხმარე საძიებლები, აქვს წინასიტყვაობა,  
სარჩევი და სხვ. ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის შედგენისას მთავარი ამოცანაა მასა-  
ლის მაქსიმალური სიზუსტით შეგროვება. ლიტერატურის მოძიების მეთოდთა სწორედ  
წყაროების სწორად დადგენასა და მისი გამოყენების ზუსტი ხერხების განზოგადებას  
გულისხმობს.

**წყაროები იყოფა ორ ჯგუფად: მეორადი** ანუ ბიბლიოგრაფიული (მიმდინარე, რეტ-  
როსპექტული, უნივერსალური, დარგობრივი მაჩვენებლები, მიმოხილვები, წიგნის შიდა  
ბიბლიოგრაფიული სიები, კატალოგები, კარტოთეკები) და **პირველადი** ანუ ლიტერატ-  
ური (პერიოდული გამოცემები, დოკუმენტების კრებულები, თხზულებათა კრებულები,  
ქრესტომათიები). წყაროები არის აგრეთვე **ძირითადი და დამატებითი**. ეს პირობითი  
დაყოფაა. შეიძლება შეიცვალოს მათი ადგილი. ძირითადი წყაროა ის პერიოდული გა-  
მოცემები, რომელების ანალიტიკური აღწერილობა არ არსებობს. ამ შემთხვევაში მათი  
მთლიანი გადასინჯვა ლიტერატურის ძიების ერთადერთი აუცილებელი პირობაა. ადრე  
გამოცემული რეტროსპექტული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი დამატებით წყაროდ  
ითვლება, რადგანაც მასში აღრიცხული მასალა უკვე „შეირჩა“, შერჩევის პრინციპები  
კი იცვლება. შერჩევის ადრინდელი პრინციპები შეიძლება მოძველდეს მეცნიერულადაც

და პოლიტიკურადაც. ბიბლიოგრაფი ქმნის, აგრეთვე, ერთგვარ სამუშაო კატალოგს, რომელშიც აისახება გადასინჯული ბიბლიოგრაფიული და ლიტერატურული წყაროები (ძირითადი და დამატებითი) — „გადასინჯული ბიბლიოგრაფიული წყაროების კარტოთეკა“. ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში შეიძლება არ იყოს საკმარისი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მკითხველს დამატებითი ცნობები სჭირდება ავტორის, თემის, ჟანრის, დანიშნულებისა და სხვათა შესახებ. ამ ამოცანას ანოტაცია ასრულებს. ანოტაციაში მოცემულია ბეჭდურ ნაწარმოებთა მოკლე დახასიათება დანიშნულების, შინაარსის, ფორმისა და სხვა თავისებურებათა შესახებ, ანოტაციაში გათვალისწინებულია მკითხველთა მოთხოვნები, ინტერესები, ასაკი და სხვ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი წყარო, მეთოდების განხორციელების ფორმები, ელექტრონულ საინფორმაციო წყაროებთან კომპლექსურად წარმოადგენს ინფორმაციის მოძიების მთავარ საშუალებას.

## მომხმარებელი ინფორმაციის ხანდობის ხარისხი

ინფორმაციის მოძიების დროს ბიბლიოთეკარის და მომხმარებლის მთავარი მიზანია დადგინოს მიღებული ინფორმაციის ხანდობის ხარისხი, განსაზღვროს, რამდენად შეესაბამება მოძიებული მასალა მოთხოვნილებას, დადგინდეს ძიების მიზანი.

**ხანდობის ხარისხის განსაზღვრისთვის** ბიბლიოგრაფიული წყაროები გადაისინჯება როგორც მთლიანად, ისე შერჩევითაც. შერჩევით ისინჯება ის წყაროები, რომლებშიც მასალა განლაგებულია სისტემატურად (ცოდნის დარგების მიხედვით). ამ შემთხვევაში გადაისინჯება ის განყოფილებები, რომლებიც ამ თემას შეეხება ან ახლოსაა მის შინაარსთან. ამ პროცესის მთავარი ამოცანა ის არის, რომ მასალა შეგროვდეს მაქსიმალური სიზუსტით, შეესატყვისებოდეს მოთხოვნილ ინფორმაციას, მისი ადეკვატური იყოს.

როდესაც ინფორმაციის ხანდობის ხარისხს განესაზღვრავთ, უნდა გამოვიყენოთ წყაროს შეფასების კრიტერიუმები: რამდენად შეესატყვისება თანამედროვე მოთხოვნილებებს, რამდენად ახალია, რამდენად ამომწურავი, რა დონეზეა შესრულებული, რამდენად კომპეტენტურია, ვის მიერაა შედგენილი და სხვა. გასათვალისწინებელია მსგავს თემატურ სფეროსთან დაკავშირებული გამოცემები, ხდება შედარება, რამდენად ორიგინალურია ახალ გამოცემაში მოცემული ინფორმაცია, არის თუ არა ერთი და იგივე სახის ინფორმაცია ორივე გამოცემაში და რითი განსხვავდება ახალი გამოცემა ძველისგან, რამდენად უფრო მარტივია მასში ინფორმაციის მოძებნა.

არსებული წყაროს შეფასებისას ბიბლიოგრაფი იყენებს კრიტიკულ სტატიებს, რეცენზიებს, წყაროს შეფასების სხვადასხვა ფორმას. როდესაც წყაროს შეფასება ხდება ელექტრონული რესურსების გამოყენებით, ყურადღებით მოვეციდით მართლწერას. საჭიროა, სწორად ჩამოვყალიბოთ **საკვანძო სიტყვები**, მართლწერა, რადგან ხშირად სწორედ მართლწერაში დაშვებული შეცდომები იწვევს ფუჭ ძიებას. **ინფორმაციის ხარისხის კონტროლისათვის** კრიტიკულად უნდა შეფასდეს ყველა მოპოვებული ინ-

ფორმაცია. დაისმის კითხვები: ვინ შექმნა ინფორმაცია, რატომ და რისთვის, არის თუ არა ინფორმაციის შემქმნელი ცნობილი ექსპერტი თავის დარგში, კეთდება თუ არა ავტორის ციტირება ან მითითებები მის შრომებზე, არსებობს თუ არა ამ ინფორმაციასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები, როდის შეიქმნა ინფორმაცია? ავტორის, გამომცემლის, რედაქტორის სახელი ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებს წყაროს არჩევაში, მათ მიერ გამოცემული, მომზადებული წიგნების ხარისხიდან გამომდინარე. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ზოგ შემთხვევაში საცნობარო წყარო შეიცავს იმ დოკუმენტების სიას, რომელიც გამოყენებული იყო გამოცემის შედგენისას, რაც ასევე წარმოადგენს წყაროს ავტორობის დამახასიათებელ თვისებას, გარდა ამისა, თავისთავად მიუთითებს დამატებითი ინფორმაციის წყაროებს.

როდესაც მომხმარებელი ეცნობა იმ კრიტერიუმებს, რომლებიც გათვალისწინებულია ყველა ტიპის წყაროსათვის, მოძიებული იქნება ეს ინტერნეტში თუ ტრადიციულ ბარათულ კატალოგებში, რისი მიხედვითაც ხდება საცნობარო წყაროების შერჩევა-შეფასება, მომხმარებელი ეჩვენავს, სწორად შეაფასოს წყაროს დადებითი და უარყოფითი მხარეები, სწრაფად მიაგნოს მისთვის საჭირო ინფორმაციას, ერთმანეთს შეადაროს საინფორმაციო წყაროები და შეარჩიოს უმჯობესი. ამავე დროს, მომხმარებელი საინფორმაციო ძიებისას ეჩვენავს, კომპლექსურად გამოიყენოს ის მოძიებული წყაროები, რომლებიც ძიების პროცესში დაგროვდა.

ინფორმაციის არასანდოობის მიზეზი შეიძლება იყოს სინამდვილის მიზანმიმართული გაყალბება, არასრულყოფილი ინფორმაცია ან უნებლიე შეცდომა. ნებისმიერ შემთხვევაში ზარალდება მომხმარებელი.

გასათვალისწინებელია **პოლიტიკური დამოკიდებულება**. ზოგიერთი ქვეყანა თავისი ისტორიული განვითარების რომელიღაც ეტაპზე ერთგვარი პოლიტიკური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ ექცევა. ბეჭდური და ელექტრონული გამოცემები საკუთარი იდეოლოგიის გავრცელების ძალზე ეფექტური საშუალებაა. ბევრი პოლიტიკური პარტია თუ გაერთიანება საკუთარი შეხედულებების დამკვიდრებისათვის ხშირად ამახინჯებს ისტორიულ და მეცნიერულ ფაქტებს. მათ მიერ გამოცემული ჟურნალ-გაზეთები თუ სხვა სახის ლიტერატურა, რომელსაც წყაროდ იყენებენ ინფორმაციის მოძიების დროს, როგორც წესი, შეიძლება გაჯერებული იყოს მიზანმიმართული სიყალბით. ასე იყო, მაგალითად, XX საუკუნის 20-40-იან წლებში, როცა რამდენიმე ქვეყანაში ფაშისტური იდეოლოგია გაბატონდა და ამ პერიოდში გამოცემული ბეჭდური ლიტერატურა ამ იდეოლოგიის შესაბამისი მიმართულებების ინფორმაციას შეიცავდა. იგივე შეიძლება ითქვას კომუნისტური იდეოლოგიის ქვეყნებზეც, რომლებსაც ცოტა ხნის წინათ საქართველოც მიეკუთვნებოდა. ბუნებრივია, ამ პერიოდში გამოცემული საინფორმაციო წყაროების სანდოობის ხარისხი მეტად დაბალია და მათი უკრიტიკოდ გამოყენება საარისკოა.

არასწორ, განზრახ დამახინჯებულ ინფორმაციაში იგულისხმება როგორც რეალური ფაქტების დამალვა ან შეცვლა, ისე ფაქტების ან მოვლენების ტენდენციური შეფასება. მაგალითად, საბჭოთა ხელისუფლების დროს მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკის პირობებში არსებობდა ეკონომიკის განვითარების ხუთწლიანი გეგმები, რომელთა დასრულების შემდეგ პრესაში ქვეყნდებოდა ეკონომიკური მიღწევების აღმნიშვნელი ციფრები. როგორც წესი, ეს მონაცემები გაზვიადებული იყო და რეალურ მდ-

გომარეობას არ ასახავდა. მაგრამ ასეთი ყალბი მაჩვენებლები საბჭოურ პრესაში წლიდან წლამდე ქვეყნდებოდა და თითქმის წესადაც იქცა.

როგორც აღინიშნა, ასევე ხდებოდა კონკრეტული ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების, ისტორიული პირების ტენდენციური შეფასება. მაგალითად, თუ შევადარებთ ერთმანეთს დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის სხვადასხვა გამოცემას, დავინახავთ, რომ ერთი და იგივე პოლიტიკური პირის მოღვაწეობა განსხვავებულად შუქდება. ცნობილია, რომ დიდი საბჭოთა ენციკლოპედია (*Большая Советская Энциклопедия* – *БСЭ*) სამჯერ გამოიცა. ის ტომები, რომლებშიც შევიდა სტატიები სტალინის შესახებ, დაიბეჭდა 1947, 1957 და 1976წწ. ყველა სტატია, რა თქმა უნდა, ტენდენციურია, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოძიებული ინფორმაციის სანდოობის დონის შეფასებისას.

პოლიტიკური თვალსაზრისით, ინფორმაციის მიზანმიმართული გაყალბების თვალსაჩინო მაგალითია ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ მიმართული კამპანია.

ილია ჭავჭავაძეს საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. დღეს ეჭვმიუტანელია ილიას ფასდაუდებელი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მაგრამ ყოველთვის ასე არ იყო. თვით ილიას სიცოცხლეშიც კი, განსაკუთრებით მისი სიცოცხლის ბოლო ათწლეულში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული ახალი პოლიტიკური ძალები თავიანთი ავტორიტეტის დამკვიდრებას ილიას დაკნინებით ცდილობდნენ.

იმდროინდელ პრესაში რამდენჯერმე გამოქვეყნდა ილიას საწინააღმდეგო წერილები, რომლებშიც ილია გამოყვანილია, როგორც სასტიკი მებატონე და გლეხების მჩაგვრელი, მაშინ, როდესაც ილია ბატონყმობას უბრალოდ კი არ უარყოფდა, არამედ საქმითაც განამტკიცებდა თავის შეხედულებებს. ავტორიტარული რეჟიმების პირობებში შექმნილ ბეჭდურ პროდუქციაში სინამდვილის ტენდენციურად გაშუქებას ერთგვარად ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა, მაგრამ არც თავისუფალი საზოგადოება არის დაზღვეული არაობიექტური ინფორმაციისაგან. თითქოს მასმედია აღარ არის დამოკიდებული ხელისუფლებაზე და არც სახელმწიფო ცენზურა მოქმედებს, მაგრამ აქ მეორე უკიდურესობა იჩენს თავს: რიგით ადამიანებს, პოლიტიკურ თუ სხვა სახის გაერთიანებებს, საშუალება აქვთ, საჯაროდ გამობატონ საკუთარი აზრები და შეხედულებები. საკუთარი იდეების დასამკვიდრებლად ისინი ყველა შესაძლო საშუალებას იყენებენ. ზოგიერთი მათგანი — დეზინფორმაციასაც. ამიტომ, ნებისმიერ შემთხვევაში, ინფორმაციის გაცნობისას ყურადღება უნდა მიექცეს, თუ ვინ, რომელი კონკრეტული ადამიანი თუ ადამიანთა ჯგუფია მოცემული მასალის მომწოდებელი.

იგივე ითქმის ინტერნეტით ინფორმაციის ძიებისას მიღებულ მასალაზეც. ინტერნეტი არის მსოფლიოს მასშტაბით საკუთარი იდეების გავრცელების ეფექტური საშუალება. საიტების გაკეთება დღეის ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, მით უმეტეს, ეს სირთულეს არ წარმოადგენს ადამიანთა სხვადასხვა გაერთიანებისათვის. ამიტომ ინტერნეტ-საიტების შერჩევას გარკვეული სიფრთხილე გვმართებს. მაგალითად, არსებობს ასეთი საიტები [www.abxazia.ru](http://www.abxazia.ru) და [www.abxazeti.ru](http://www.abxazeti.ru), რომლებიც თითქოს აფხაზეთის ამბების შესახებ ერთი და იგივე ინფორმაციის შემცველი უნდა იყოს, მაგრამ საიტების დათვალიერებისას თვალსაჩინო ხდება, რომ ერთი და იგივე ფაქტი განსხვავებული ინტერპრეტაციით შუქდება. თუ საიტების სახელწოდებასაც დააკვირდებით, გასაგებია ხდება, რომ ერთი პროქართული მიმართულების საიტია, ხოლო მეორე — პროაფხაზური, უფრო სწორად კი — პრორუსული.

ინფორმაციის მოპოვების დროს გასათვალისწინებელია საინფორმაციო წყაროს

მეცნიერული ღირებულების ხარისხი. მეცნიერების დარგები განუწყვეტილად ვითარდებიან. ბა. განვითარების პროცესში კი ხდება ადრინდელ მიღწევათა გადაფასება-გადარჩევა. ბევრი მეცნიერული დებულება, რომელიც ადრე უწყვეტ ქეშმარიტებად იყო მიჩნეული, შეიძლება მომავალში უარყოფილ იქნეს. თუკი ელექტრონულ საინფორმაციო წყაროებში გარკვეული პერიოდულობით ხდება ინფორმაციის განახლება, ბექდურ გამოცემებში ეს რთული განსახორციელებელია. ყოველი ახალი ინფორმაციის ჩამატების ან ძველის შეცვლის შემთხვევაში, ბექდური ერთეული (მაგ. წიგნი) ხელმეორედ უნდა დაიბეჭდოს, ეს კი ხანგრძლივი პროცესია და ხარჯებთანაც არის დაკავშირებული. ახალი ინფორმაციის შემცველი გამოცემა სწრაფად რომ დაიბეჭდოს, მის პარალელურად ძველი გამოცემებიც აგრძელებენ არსებობას. სწორედ ასეთი ტიპის საინფორმაციო წყაროს სანდოობა ხდება ხშირად საეჭვო.

ზემოთქმული ეხება მეცნიერების ყველა დარგს. მაგალითად, თუ მომხმარებელს სჭირდება დაამუშაოს ეკონომიკის თეორიის საკითხები, საბჭოთა პერიოდის ეკონომისტთა თეორიული ნაშრომების გამოყენებისას მათ კრიტიკულად უნდა მიუდგეს, რადგანაც ისინი საგრძნობლად განსხვავდებოდნენ საბაზრო ეკონომიკისაგან.

საცნობარო-ბიბლიოგრაფიული გამოცემების გამოყენებისას საჭიროა მომხმარებელმა, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინოს გამოცემის დრო, რადგან შეიძლება არასრული ინფორმაცია მიიღოს და ამით დაზარალდეს. მაგალითად, ქართული წიგნის ბიბლიოგრაფია „ქართული წიგნი“ გამოვიდა XX საუკუნის 50-იან წლებში. იგულისხმება, რომ იგი უნდა შეიცავდეს მონაცემებს ყველა იმ დრომდე დაბეჭდილი ქართული წიგნის შესახებ, მაგრამ ეს ასე არ არის. ბიბლიოგრაფია არასრულია ორი მიზეზის გამო: 1) იმ დროისთვის ყველა წიგნის მონაცემი არ გააჩნდათ; 2) ბიბლიოგრაფიაში არ შეიტანეს საბჭოთა პერიოდში რეპრესირებული ავტორების (ან სხვა სახის ინტელექტუალური პასუხიმგებლების) წიგნები.

არსებობს გამოთქმა „ყვითელი“ (ბულვარული) პრესა, რაც გულისხმობს გასართობ პრესას, რომელიც ნაკლებად შეიცავს პოლიტიკურ, მეცნიერულ ან სხვა სახის ინფორმაციას. აქ მასალა მოწოდებულია მსუბუქი ფორმით. სტატიების თემატიკაც ისეა შერჩეული, რომ მკითხველთა რაც შეიძლება ფართო ფენები დაინტერესდნენ ამ ჟურნალ-გაზეთების შექმნით. ამავ მიზნით ამ ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდება ისეთი მასალაც, რომლის სანდოობის ხარისხი მეტად დაბალია. ასეთია, მაგალითად, მისტიკურ თემაზე აგებული ამბები, ან თუნდაც სხვადასხვაგვარი ჰოროსკოპი, რომ ტექსტებსაც თვით რედაქციებში თხზავენ და რომელთა შინაარსი დამოკიდებულია არა ვარსკვლავთა განლაგებაზე ან ზოდიაქოს ნიშნებზე, არამედ ჟურნალისტთა ფანტაზიაზე.

სასურველი შედეგის მისაღწევად ანუ ზუსტი ინფორმაციის მისაღებად, სასურველია, მომხმარებელმა გაითვალისწინოს ყველა ზემოთ დასახელებული ფაქტორი. არაობიექტური ინფორმაციის თავიდან ასაცილებლად შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა წყარო, რომელთა კომპეტენტურობა ეჭვს არ იწვევს. როგორც ვხედავთ, უკვე მოპოვებული მასალის საიმედოობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რაც გასათვალისწინებელია მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის დროს. ამგვარად, მოპოვებული მასალის სანდოობის ხარისხის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება არა მარტო საინფორმაციო წყაროთა კრიტერიუმები, არამედ მასალის შერჩევის მეთოდოლოგია.



შეიძლება თუნდაც მაღალი დონის საინფორმაციო დოკუმენტში შეირჩეს მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ყველაზე უფრო კომპეტენტურად, მოთხოვნილების მაქსიმალური გათვალისწინებით, ამომწურავად ახდენს ინფორმაციის შეგროვებას.

## მიღებული ინფორმაციის შერჩევა, დამუშავება შენახვა

ინფორმაცია ყოველი მატერიალურად არსებულის თვისებაა. ის არის უნებლიე — (თავისთავადი) — სუბიექტის მიერ განუზრახველი, და ნებელობითი — ორგანიზებული. მისი მიღება შეიძლება დამოუკიდებლად და სხვათა დახმარებით. ამასთანავე იგულისხმება, როგორც ცნობების შეგროვება და შენახვა, ისე მათი გაცემა და გამოყენება. ინფორმაციის მიღების, გაცემისა და გამოყენებისათვის აუცილებელი პირობაა ინფორმაციის შეგროვება ანუ საინფორმაციო მასალის თავმოყრა, რომელიც სხვადასხვა საშუალებით მოიპოვება. ინფორმაციის მოპოვებისათვის იქმნება მთელი სისტემა. საქმიანობას, რომლის დანიშნულება არის ინფორმაციის შეგროვება, შინაარსობრივი და ტექნიკური დამუშავება, შენახვა, ძიება და სხვადასხვა სახით გაცემა, **საინფორმაციო სისტემა** ეწოდება, იგი წარმოადგენს შემდეგი კომპონენტების ერთობლიობას:

1. მომხმარებელთა საინფორმაციო მოთხოვნილებები და საინფორმაციო შეკითხვები.
2. საინფორმაციო სპეციალისტები და ბიბლიოთეკარები.
3. საინფორმაციო ძიების ტექნიკური და პროგრამული საშუალებები.
4. საინფორმაციო ერთეულების აღწერისა და წარმოდგენის წესები.
5. საინფორმაციო ერთეულის ინდექსირების წესები.
6. ფორმალური რელევანტურობის ანუ გაცემის კრიტერიუმები.
7. საინფორმაციო რესურსები.

**ინფორმაციული მასალა** თავისთავად ნიშნავს რაიმეს შექმნისათვის საჭირო საგანს (საგნებს), რომელიც შეიძლება დეტალად იქცეს — ერთიანი მთელის შემადგენელ ნაწილად ან რაიმეს შექმნისათვის გამოსაყენებელ წყაროდ. განსაკუთრებით საგულისხმოა ის მასალა, რომელიც შეიცავს ცნობებს, ფაქტებს, მოსაზრებებს, ინტერპრეტაციებს, განმარტებებს, აღწერასა და სხვ. მათ გარკვეული სისტემური ცოდნის შესამუშავებლად იყენებენ. შეიძლება ითქვას, რომ საინფორმაციო მასალა სწავლებისა და ცოდნის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს. მის გამოყენებას, შეიძლება, ბევრი სხვა მიზანიც ჰქონდეს: მოხსენება, ლექცია, გაკვეთილი, საჯარო გამოსვლა და ა. შ., იგი საჭიროა ასევე, სტატიის, მეთოდური მითითების, სახელმძღვანელოს, სამეცნიერო ნაშრომის, პუბლიცისტური წერილის, რეფერატის, კრიტიკული ნარკვევისა თუ ანალიზის, სხვადასხვა სახის გამოკვლევის შექმნა-დამუშავებისთვისაც. **საინფორმაციო მასალა** მოცავს განუსაზღვრელი მოცულობის ცოდნას ამა თუ იმ დარგის, საგნის, მოვლენის, ფაქტის, მდგომარეობის შესახებ. ხდება მისი დიფერენცირება სუბიექტის ინტერესების, მიზნების, მოტივაციისა და მოთხოვნილების მიხედვით.

**წყაროს შერჩევა** დამოკიდებულია მომხმარებლის მოთხოვნილებასა და საინფორმაციო ინტერესებზე. საინფორმაციო მასალა სხვადასხვაგვარია — ცნობილია ე.

ნ. თემატიკური მასალა, რომელსაც ასე, განზოგადებულად უწოდებენ მაგრამ უფრო მეტი სიზუსტისათვის შეიძლება მოხდეს მისი უფრო დაკონკრეტება. მაგ., „პედაგოგიკა“ დარგია, „დიდაქტიკა“ — საგანი, „ბავშვის აღზრდა ოჯახში“ — თემა. მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების დროს ამის გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ არსებობს სხვაგვარი ხასიათის მოთხოვნათა კატეგორიაც: მაგალითად, როდესაც მომხმარებელს აინტერესებს რაიმე კონკრეტული ინფორმაცია რომელიმე ენის შესახებ, პიროვნების, ავტორის, გამოცემის, გეორაფიული სახელწოდების, ფსევდონიმის (კრიპტონიმის), რომელიმე ერთჯერადი მოვლენის თაობაზე. საერთოდ, საჭიროა ისეთი წყაროს **შერჩევა**, რომელიც უფრო სწრაფად მოგვცემს ინფორმაციას. როგორც ვხედავთ, არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებს დოკუმენტში განხილული დრო, ხანა, პერიოდი.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასალის **თავმოყრა-შეგროვებას**, რაც სპეციალურ ტექნოლოგიურ ოპერაციებს მოითხოვს. თუ როგორ და რა მოცულობის ინფორმაციულ მასალას შეაგროვებს ადამიანი, ამაზე დიდადაა დამოკიდებული მისი ცოდნის, სიღრმისა და ხარისხის დონე. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ საქმეში მოპოვებული მასალის ადეკვატურობა, ის თუ რამდენად შეესატყვისება მასალა მომხმარებლის მოთხოვნილებებს.

ინფორმაციის მოპოვების შემდეგ ხდება მისი საფუძვლიანი **დამუშავება**. ინფორმაციის დამუშავება ორგვარია: ერთია, დამუშავება შინაარსობრივი ნიშნის მიხედვით, მეორე — ტექნიკური (გარეგანი) ნიშნის მიხედვით. ეს უკანასკნელი, ძირითადად, ტექნიკურ ოპერაციებს გულისხმობს და დაკავშირებულია კომპიუტერულ და ბიბლიოგრაფიულ პრაქტიკასთან. რაც შეეხება შინაარსობრივ დამუშავებას, აქ უკვე საქმე გვაქვს მოპოვებული მასალის შინაარსობრივ გააზრებასთან, რათა მასალა შეესაბამებოდეს მოთხოვნილებას და გამოსაყენებლად გაფორმდეს.

ინფორმაციის შინაარსობრივი დამუშავებისთვის შემდეგი ეტაპებია გასაგლელი:

1. დაზუსტება—რამდენად შეესაბამება მოძიებული მასალა მოთხოვნილ ინფორმაციას, რამდენად შეეფერება იგი შესასრულებელ ამოცანასა და დასახულ მიზნებს, რამდენად სრულყოფილად (ამომწურავად) განხორციელდა იგი.
2. ინფორმაციული მასალის კლასიფიცირება (ინდექსირება) ანუ დარგის, საგნის, თემის განსაზღვრა (საგნირება).
3. ინფორმაციის დავინროება, დაკონკრეტება, საჭირო კონდიციებამდე მიყვანა. ზოგადიდან კონკრეტულიზე გადასვლა (ან პირიქით).
4. მოცულობის განსაზღვრა, მასალის კორექტირება შემცირების ან ჩამატების თვალსაზრისით.
5. ინფორმაციული მასალის გაფორმება.
6. რეკომენდაციის შემუშავება ინფორმაციის სრულყოფილად გამოყენებისათვის.

ინფორმაციის მოპოვება, ძიება, დამუშავება ხდება სპეციალისტის (ბიბლიოთეკარი, ბიბლიოგრაფი) დახმარებით. ინფორმაციის მოპოვება საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია, რომელიც საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს, ძიების პროცესში შეიძლება ისეთ ინფორმაციას გადავაწყდეთ, რომელიც მომხმარებელს იმ დროისათვის არ

სჭირდება, მაგრამ მომავალში აუცილებლად გამოიყენებს. ამიტომ მოპოვებული ინფორმაცია საჭიროა შევინახოთ კარტოთეკის, არქივის ან ფაილის სახით.

**კარტოთეკა** არის გარკვეული წესით დალაგებული და სისტემატიზებული ბარათების ან ფურცლების ერთობლიობა, რომლებზეც ერთგვაროვანი ცნობებია აღნიშნული. მოპოვებული ინფორმაციული მასალა, რომელიც შედარებით ხანგრძლივი დროით არის შესანახი, შეიძლება არქივს გადაეცეს დასაცავად.

**ფაილი** არის საინფორმაციო ელემენტების ფიზიკური ჩანაწერების მიმდევრობა, რომელიც განიხილება, როგორც ერთი მთლიანი ერთეული და აქვს თავისი სახელწოდება. სხვადასხვა სახის ინფორმაცია შეიძლება ფაილის სახით შევინახოთ.

**საინფორმაციო ელემენტი** წარმოადგენს ინფორმაციის ერთეულს, რომელიც უნდა დამუშავდეს, შეინახოს და გადაეცეს მომხმარებელს სივრცესა და დროში. თავისთავად, საინფორმაციო ელემენტი შეიძლება შედგებოდეს სხვა საინფორმაციო ელემენტებისაგან. ფაილი ანუ საქალაქე გაიხსნება ვორდში, რომელსაც დაერქმევა შერჩეული სახელი და მასში მოთავსდება მოძიებული ინფორმაცია. ასევე მოპოვებული ინფორმაცია შეიძლება შევინახოთ დისკეტზე და ფლეშზე.

## მასალის დამუშავების მეთოდიკა

ინფორმაციული მასალის ათვისებისა და სრულყოფილად გამოყენებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი დამუშავების ხარისხს. ეს საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, მივიღოთ სათანადო ცოდნა, გავცნობიერდეთ, მეორე მხრივ — დამუშავებული მასალა დავიცვათ მისი შემდგომი გამოყენებისათვის, გრძელვადიანი, არაერთჯერადი ხმარებისათვის. ყოველივე ეს შესაძლებელია მხოლოდ მაღალხარისხოვანი ფიქსირების შემთხვევაში. ფიქსირება ნიშნავს წაკითხული (ნანახი) თუ მოსმენილი ინფორმაციის ჩაწერას ხელნაწერის სახით ან ელექტრონული საშუალებებით (კომპიუტერი, მაგნიტოფონი და სხვა).

ფიქსაცია არაერთგვაროვნად გაიგება. ჩვენ ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ მთავარს — ჩანაწერების გაკეთებას წერილობითი სახით—ტრადიციულად თუ ელექტრონული საშუალებებით (შეიძლება ხმოვანი ჩანაწერებითაც).

ფიქსირება, საერთოდ, რთული პროცესია, რომელიც მეტ-ნაკლებად საჭიროებს ყურადღების მაღალ კონცენტრაციას და ფიქსაციის მეთოდების ცოდნას.

ჩანაწერების წარმოებას სხვადასხვა მიზანი აქვს: დამახსოვრება, დასწავლა, განსახილველი საგნის ღრმად წვდომა, მზადება საჯარო გამოსვლისათვის, დისკუსია-პოლემიკისათვის, საგნის მომზადება ჩასაბარებლად, შესახსენებლად, ნაშრომის შესაქმნელად (რეფერატი, სტატია, ანგარიში, სალექციო კურსი, სადიპლომო საკურსო-საკონტროლო შრომა, და სხვა).

ფიქსაციის დროს მხედველობაშია მისაღები მასალის სირთულე და შესაბამისობა. გასათვალისწინებელია ინფორმაციის მოცულობა, მოთხოვნილება და ინტერესები, შეს-



რულების სიზუსტე; არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმას, თუ რა საშუალებებით და ხერხებით არის მოპოვებული საინფორმაციო მასალა და რას წარმოადგენს ის. მაგალითად, სრულიად განსხვავებული ფსიქოლოგიური და მეთოდოლოგიური პირობა არსებობს წერილობითი საშუალებებით მიღებული ინფორმაციის ფიქსირებისას, ვიდრე ზეპირი ურთიერთობით მიღებული ინფორმაციის შემთხვევაში.

ზეპირი ურთიერთობით მოპოვებული ინფორმაციის ფიქსირებას თავისებური სირთულეები ახლავს. ის ხდება, უმთავრესად, გამოსვლების, მოხსენებების, ლექციების, ანგარიშების, ზეპირი გამოხმაურებების, ინტერვიუების, საუბრების, დისკუსიების და სხვა ამგვარი ღონისძიებების დროს, როგორც პირადი ურთიერთობის (კონტაქტების), ისე ხმის ჩამწერი საშუალებების მოსმენისას, ელექტრონული ხილვითი საშუალებების გამოყენების დროს (ტელევიზორი, კომპიუტერი, სპექტაკლი, კინორგანიზაცია და სხვადასხვა სახეობები).

ამ შემთხვევაში ჩაწერა შეიძლება ხდებოდეს მომენტალურად, მოსმენისთანავე და აგრეთვე შემდეგ — მოსმენილის აღდგენით, მაგრამ ამ ვითარებაში გასათვალისწინებელია დრო — რაც უფრო მალე ჩაინერება მოსმენილი, მით უფრო ზუსტი და ეფექტური იქნება ის.

საერთოდ, ყოველგვარი ჩაწერა (განსაკუთრებით ზეპირი ურთიერთობის შედეგად) შემდგომ დამუშავებას მოითხოვს. საჭიროა ჩანაწერი გადაისინჯოს, ჩასწორდეს, ჩამატოს ან გამოაკლდეს დეტალები.

თანამედროვე ტექნიკური აპარატურა საშუალებას იძლევა, ზეპირი გამოსვლები ჩაინეროს ხმოვანი ტექსტითაც.

წერილობითი მასალის კითხვის დროს ფიქსირების შედარებით მეტი ფორმა გამოიყენება, საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში ყველაზე ტიპური გამოხატულებაა თანამედროვე პოლიგრაფიული ნიგნის დამუშავება — ფიქსირება. თვით ელექტრონული ტექსტების დამუშავება — ფიქსირება, ფაქტობრივად, იმ ელემენტებისგან შედგება, რომლებიც შეიცავს ნიგნი, თუმცა განსხვავებაც საკმაოა. იმდენად, რამდენადაც ნიგნის მიხედვით ინფორმაციის ფიქსირების მეთოდიკა განზოგადებულად შეიძლება გამოვიყენოთ, მთავარია ვიცოდეთ ნიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდები. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ამჟამად ინფორმაციული მასალის მიღება, უმეტესად სწორედ ნიგნის მეშვეობით ხდება.

ამიტომაც საჭიროა კარგად ვიცნობდეთ ნიგნის ელემენტებს. როგორც ცნობილია, ნიგნს აქვს როგორც ტექნიკური, ისე შინაგანი სტრუქტურა და კომპოზიცია, ნიგნის დამუშავების შემთხვევაში უმთავრესია სწორედ შინაგანი სტრუქტურა, ის ელემენტები, რომლებიც საშუალებას იძლევა, ამომწურავი ინფორმაცია მივიღოთ ნიგნის ხასიათის, შინაარსისა და დონის შესახებ.

ამ სტრუქტურული ელემენტებისაგან ყველას თავისებური დანიშნულება აქვს და ყველა მათგანი გარკვეულ ცნობას გვანდის. შეიძლება გამოვიყენოთ ყველა ელემენტი: თავფურცელი თავისი ძირითადი მონაცემებით, ანოტაცია, წინასიტყვაობა და ბოლოსიტყვაობა, გამომხაურება — რეცენზიები, შესავალი, ძირითადი ტექსტი თავისი ნაწილებით (თავები, პარაგრაფები), დამხმარე აპარატი — სქოლიოები, შენიშვნები, სარჩევი, ინდექსები, შიფრი). მათი გამოყენებით, საშუალება გვეძლევა, სრული წარმოდგენა შევქვეყნოთ ნიგნზე. გარდა ამისა, მათგან მიღებული ინფორმაციის ფიქსირებით, შეი-

ძლება შეიქმნას ისეთი მასალა, რომლის დამუშავებითაც მიღწეული იქნება ის მიზანი, რომელსაც ისახავენ ამა თუ იმ წიგნის დამუშავების შედეგად.

იმ ფორმათაგან, რომელსაც იყენებენ ფიქსირებისათვის, არის უმარტივესი, შედარებით უფრო რთული და ურთულესი ფორმები. ერთ-ერთ უმარტივეს ფორმას წარმოადგენს განახაზები ტექსტში. თუ წიგნი საკუთარია და რაღაც განსაკუთრებულ ღირებულებას არ წარმოადგენს, დასაშვებია კითხვის პროცესში საყურადღებო ადგილების ფანქრით მონიშვნა. სასურველია, მონიშვნის მთელი სისტემა შეიქმნას — ჩვეულებრივი საყურადღებო ადგილები ერთი ხაზით მონიშნოს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი — ორით, საინტერესო დებულებები — კლაკნით და ა.შ. შეიძლება გამოვიყენოთ სასვენი ნიშნები (ძახილის, კითხვა — ძახილის, ორი წერტილი), გეომეტრიული ფიგურები (სამკუ-თხედი, კვადრატი, წრე), მათემატიკური ნიშნები (პლუსი, მინუსი, ტოლობის ნიშანი), ფერადი ფანქრები და სხვა.

შედარებით უფრო შრომატევადია, მაგრამ ნაყოფიერი, ჩასანიშნი ფურცლების გამოყენება. მათზე კეთდება ჩანაწერები და იდება შესაბამის გვერდებზე, შემდეგ ისინი ამოიკრიბება და ერთიანი შენაკინძი იქმნება. განსაკუთრებით სასარგებლოა ამონაწერები. ისინი შეიძლება იყოს სიტყვასიტყვითი (ციტატების ამონარიდები) და თავისუფალი, როდესაც ნაკითხულის აზრს თავისი სიტყვებით ჩაიწერს მკითხველი.

ფიქსირების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს მინაწერები წიგნის არშიებზე (მარჯინალები). უმთავრესად ეს შეიძლება იყოს ტექსტის მონაკვეთის დასათაურება, დანოშვრა, შენიშვნები, კომენტარები, რაც საკუთარი შეხედულების გამოთქმის საფუძვლიანი კრიტიკული ანალიზისა და მოკლედ ჩაწერის ხელოვნებას მოითხოვს.

ჩანაწერების მეტად გავრცელებული ფორმაა გეგმა — კონსპექტი. ეს ფორმები ყველაზე ხელსაყრელია სწორედ სტუდენტებისათვის, რომლებიც ისმენენ ლექციებს და დამუშავებენ სახელმძღვანელოებს, დამხმარე ლიტერატურას, კომპიუტერულ ტექსტებს, რათა შეადგინონ კონსპექტი, სასემინარო, საკონტროლო თუ საკურსო სამუშაოები, მოემზადონ გამოცდებისა და კოლოკვიუმებისათვის.

გეგმა და გეგმა — კონსპექტი არ საჭიროებს წიგნის მეორედ გადაკითხვას, იგი იქმნება კითხვის პროცესში თანდათანობით, ფაბულის მიყოლებით. თუ ეს წიგნი საფუძვლიანად შესწავლას მოითხოვს და ერთი ნაკითხვა საკმარისი არ არის, მეორედ საჭიროა არა მისი, არამედ გეგმისა თუ გეგმა — კონსპექტის ნაკითხვა. მათი მეშვეობით თავისუფლად შეიძლება მთელი ტექსტის ანალიზი, წიგნისა და ფიქსირებული მასალის ურთიერთშეჯერება და ერთობლივი გამოყენება. ამგვარი ფიქსაცია ეხმარება მომხმარებელს მასალის გამეორებასა და გახსენებაში, მის ღრმად დაუფლებაში.

გეგმა შეიძლება იყოს მარტივი და რთული, რაც მის კონსტრუქციაში გამოიხატება. მარტივი გეგმა, ჩვეულებრივ, ციფრობრივად აიგება პუნქტებად, რთული გეგმა პარაგრაფებისა და პუნქტებისაგან შედგება, რომლებიც ურთიერთდაქვემდებარებულნი არიან.

თუ გეგმაში ცალკეულ პარაგრაფებსა და პუნქტებში შემოკლებით შევიტანთ აგტორის შეხედულებებსა და მტკიცებულებებს, ფაბულის მოკლე შინაარსს, ციტატებსა და ამონარიდებს, მაშინ უკვე ხელთ გვექნება გეგმა — კონსპექტი.

საერთოდ, გეგმა წიგნის შინაარსს გადმოგვცემს და მეორად ნაწარმოებს წარმოადგენს, რომელიც პირველადი დოკუმენტის მიხედვითაა შედგენილი.

კონსპექტი დოკუმენტის დამუშავების განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს. იგი ყველაზე სრულყოფილად გადაგვიშლის წიგნის შინაარსს. კონსპექტი თავისთავად შეიცავს გეგმის ელემენტებსაც, რაკი თანამიმდევრულად განიხილავს და მოკლედ გადმოგვცემს მასალას. ფაქტობრივად, ის თეზისებსაც ემსგავსება, რადგანაც მოსაზრებების დასაბუთებაა და რაიმე დასკვნის გამოსატანად მსჯელობის ფორმად გამოყენებული. იგი, ამვე დროს, შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა სახის ამონარიდებსაც ციტატებისა თუ მაგალითების სახით. არაა გამორიცხული, რომ კონსპექტი პირადი შეხედულებებითა და მოსაზრებებითაც შეივსოს, დასაშვებია ავტორთან პოლემიკაც, საზგასმებისა და სიმბოლოების გამოყენება, მაგრამ ყველაფერი ეს მკაფიოდ უნდა იყოს გამოყოფილი დასამუშავებელი ტექსტიდან. კონსპექტში ყველაფერი იმ თანამიმდევრულობით უნდა შექდებოდეს, როგორც ეს პირველად დოკუმენტში მოცემული.

კონსპექტი 4 ძირითადი სახისაა: 1. გეგმური, 2. ტექსტური, 3. თავისუფალი, 4. თემატური.

გეგმურია კონსპექტი, თუკი მას გავრცობილი, გაშლილი გეგმის სახით, პუნქტობრივად აგებენ. ასეთი კონსპექტი განსაკუთრებით ხელსაყრელია მასალის საფუძვლიანად, სწრაფად ათვისებისათვის და პირველადი ტექსტის დალაგებულად, მწყობრად, თანამიმდევრულად გადმოცემისათვის, ამიტომაც მისი გამოყენება ხელსაყრელია სტუდენტებისათვის.

ტექსტური კონსპექტი, ძირითადად, შედგება მასალის სხვადასხვა ნაწილის — ნაწყვეტის, ციტატისა თუ დეტალებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურად არიან დაკავშირებული მოკლედ გადმოსცემენ მთელ შინაარსს პირველწყაროს კონსტრუქციის შეუცვლელად.

შედარებით რთულ სახეობას წარმოადგენს თავისუფალი კონსპექტი. მისი თავისებურება ის არის, რომ იგი თითქმის ყველა ფორმას აერთიანებს, ერთგვარ კომბინირებულ ფიქსაციას წარმოადგენს: ამონაწერები, ციტატები, თეზისები, ზოგჯერ რომელიმე ნაწილის გეგმა და ა.შ. მაგრამ ყოველივე ეს ისე უნდა იყოს თავმოყრილი და კონსტრუირებული, რომ ნათელ წარმოადგენას იძლეოდეს, როგორც მასალის განვითარების თანამიმდევრობაზე, ისე მის ერთიან შინაარსზე.

თემატური კონსპექტის დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ იგი არა მთელ მასალას მოიცავს პირველადი ტექსტიდან, არამედ რომელიმე თემას ან საკითხს.

კონსპექტის ძირითადი სახეობების გარდა, არსებობს აგრეთვე ე.წ. მიმოხილვითი კონსპექტი, როცა მკითხველი მიმოიხილავს რომელიმე პირველადი დოკუმენტის მოკლე შინაარსს. ცნობილია აგრეთვე ქრონოლოგიური კონსპექტი. იგი შესახსენებელი და სასწავლო საშუალებაა, რომელშიც ქრონოლოგიის მიხედვით ხდება მასალის გადმოცემა.

ჩანაწერის ერთ-ერთ ურთულეს ფორმას წარმოადგენს თეზისები. თუ გეგმაში პირველადი დოკუმენტის მიხედვით უკვე დასაბუთებული, ჩამოყალიბებული, დადგენილია დებულებები და მოსაზრებები, ამ შემთხვევაში მსჯელობენ და დასაბუთებენ, ამტკიცებენ, დამოუკიდებელ აზრებს გამოთქვამენ.

თეზისები საშუალებას იძლევა, საფუძვლიანად განვიხილოთ მასალა, მოკლედ წარმოვადგინოთ მისი ძირითადი დებულებები ისე, რომ არაა სავალდებულო დავიცვათ ავტორისეული თხრობის თანამიმდევრობა. თეზისების გამოყენება მაშინაა განსა-



კუთრებით სასარგებლო, როდესაც საჭიროა ჩვენი აზრი შევიმუშაოთ პირველად დოკუმენტზე, კრიტიკულად გაეანალიზოთ, შეექმნათ რეცენზია, დავეწროთ ნარკვევი, ნარმოვთქვათ სიტყვა ან გავაკეთოთ მოხსენება სესიებზეა თუ კონფერენციებზე და ა.შ.

ნიგნზე მუშაობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანოტაციას. ეს არის ნაბეჭდი თუ ხელნაწერი ტექსტის შინაარსის, დანიშნულებისა და იდეურ-პოლიტიკური მიმართულების ძალზე მოკლე დახასიათება, ამასთანავე ტექსტის უკეთ და სწრაფად გაცნობის ყველაზე მოხერხებული საშუალება. უმეტესად მას იყენებენ, როცა ნიგნებზეა დართული. არ არის გამორიცხული, რომ ნიგნებზე მომუშავე პირებს—მეცნიერებს, პედაგოგებს, სპეციალიტებს, სტუდენტებს მისი გამოყენება მოუხდეთ უმთავრესად მაშინ, როდესაც რამდენიმე ნიგნის განხილვა, გადასინჯვა და დასამუშაებლად თავმოყრა სჭირდებათ.

განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს რეფერატი. ეს არის, მეტწილად, მეორადი დოკუმენტი. მეორადი რეფერატი დოკუმენტის ფიქსირების ერთ-ერთი უძველესი ფორმაა. იგი მოითხოვს ფიქსირების სხვადასხვა ფორმის გამოყენებას. საერთოდ, „რეფერატი“, როგორც ცნება, ნიშნავს — „ვაუნყებ“, „მოვასხენებ“, მაგრამ შინაარსობრივად, მეცნიერული ნაშრომის, მოძღვრების, პრობლემის შინაარსის წერილობით გადმოცემას, აგრეთვე რომელიმე საკითხის ირგვლივ მოხსენებას და არსებული ლიტერა-ტურის მიმოხილვას გულისხმობს.

რეფერატი თავისი არსით, როგორც კონსპექტის, ისე თეზისების ანალოგიურია. ეს არის ტექსტის შემოკლებული იდენტიფიკაცია, მისი სრული თანამიმდევრობა, შინაარსის თავისუფალი გადმოცემა. ამგვრად დაფიქსირებული დოკუმენტი საშუალებას გვაძლევს, ღრმად და საფუძვლიანად შევისწავლოთ ან გავეცნოთ რეფერირებულ მასალას, მაგრამ, ამავ დროს, რეფერატი შეიძლება იყოს პირველადი დოკუმენტი, რომელიც შექმნილია სხვისი თუ საკუთარი დებულებების, მოსაზრებების, შეხედულებების, საკითხების საფუძველზე და ამგვარად ჩამოყალიბებულია დამოუკიდებელი ნაშრომი. ამგვრი ნაშრომის შექმნას შირადღუნვეთჟურნალისტებს, ბიბლიოთეკარ-ბიბლიოგრაფებს, ინფორმატორებს, პედაგოგებს, სტუდენტებს, როდესაც ისინი რაიმე თემას ამუშავენ.

წაკითხულის ფიქსაციის მიზნით, მკითხველები ზოგჯერ საინტერესო ადგილებს ამოინერენ ხოლმე. მკითხველთა ერთი ნაწილი ცალკე რეგულაში უყრის თავს ამონაწერებს — საინტერესო მოსაზრებებს, ბრძნულ აზრებს, ლამაზ ფიგურალურ გამონათქვამებს, ფრთიან სიტყვებს, ანდაზებს, აფორიზმებს, საინტერესო ამბებს და მოვლენებს, თარიღებს და სხვა. ყოველივე ეს მათ ეხმარება, ერთი მხრივ, ამ მასალის დამახსოვრებაში, მეორე მხრივ, საჭიროების შემთხვევაში, მათ სწრაფად პოვნასა და გამოყენებაში.

მეტად სასარგებლო და საინტერესოა პირადი დღიურების წარმოება, რომელშიც აისახება, თუ რა წაკითხა მკითხველმა, როგორია მისი შეხედულებები, მოსაზრებები, შთაბეჭდილებები, სურვილები, შეფასება.

თავისებური მნიშვნელობა აქვს მოპოვებული ინფორმაციისა და მისი ფიქსაციით მიღებული შედეგების აკუმულირებას, თავმოყრას, აღნუსხვას. მასალის დამუშავებისათვის სწორედ ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, როგორც ცოდნის შექმნის, ისე მისი გამოყენებისა და შენახვისათვის, მიღწეული შედეგების რეალიზაციისათვის.

ჩვენს მიერ განხილული მასალის დამუშავებისა და ფიქსირების მეთოდები არის

უზოგადესი რეკომენდაციები, მაგრამ ყველამ შეიძლება იმუშაოს ინდივიდუალურად რჩევებით, ფორმებით და შეხედულებით.

ამის გათვალისწინებით, შეიძლება, რამდენიმე რჩევა მივცეთ მკითხველებს: ფიქსირებისას ჩანაწერი უნდა იყოს ადვილი გასაგები, მოკლე, ლაკონური, მაგრამ ტევადი, კონკრეტული; სხვადასხვა საკითხები მკვეთრად იყოს გამოყოფილი ერთმანეთისაგან; უმჯობესია, მთელი ტექსტი დიფერენცირებულად ჩაინეროს ნაკვეთებად, სათანადოდ დაინომროს, გამოიყოს თავები და პარაგრაფები; სასურველია, ერთ გვერდზე, რამდენადაც შეიძლება, მეტი ინფორმაცია მოთავსდეს, მაგრამ ვნეროთ იმგვარი ინტერვალებით, რომ შესაძლებელი იყოს შემდეგ, შიგადაშიგ, ჩანაწერების ჩამატება, თანაც ცალ გვერდზე და არშიების დაცვით; აუცილებელია ჩანაწერების ზუსტი ადრესირება — საიდანაა, რა წყაროდანაა ფიქსირებული მასალა, ურიგო არ იქნება, დროსაც თუ მიუთითებთ, შემდეგში ორიენტაციისათვის; ზუსტად უნდა იყოს მითითებული გამოყენებული მასალის, დებულების, მოსაზრების ავტორი, პირველწყარო და ბიბლიოგრაფიული ელემენტები; ჩანაწერები, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება შესრულდეს კითხვის დასმითა და პასუხით; სასურველია, მასალა გაკეთდეს კარტოთეკის, არქივის ან ფაილის სახით.

### საავტორო უფლების დაცვა ინტერნაციული მასალის გამტყუნების დროს

უფლება სოციალური ურთიერთობის კანონზომიერი მოვლენაა და მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. იგი არის „ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა, მოიქცეს გარკვეული სახით და სხვისგანაც მოითხოვოს გარკვეული მოქმედება ან ასეთი მოქმედებისაგან თავის შეკავება“ (ქსე).

უფლება შეიძლება ისევე იცვლებოდეს, როგორც კანონები — შედის კორექტივები, იზრდება ან მცირდება, უქმდება, იხვეწება.

პიროვნების უფლების დაცვას სახელმწიფო უზრუნველყოფს სათანადო ორგანოების მეშვეობით, კანონით დადგენილი წესებით. უფლებების შეუსრულებლობა ან თვითნებურად მითვისება დანაშაულია და სათანადოდაც ისჯება. მაგრამ ეს ყოველგვარ უფლებას არ შეეხება, არის უფლებამოსილება, რომლის ერთი პირიდან მეორეზე გადაცემა დასაშვებია; ცხადია, ამასაც ითვალისწინებს კანონი და დადგენილი წესები. ამ კატეგორიას განეკუთვნება მაგალითად, საავტორო და მემკვიდრეობითი უფლებები, რომლებიც ითვალისწინებენ ამგვარ უფლებამონაცვლებას. საერთოდ კი, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევა იწვევს სამოქალაქო, სისხლის სამართლებრივ და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, დამრღვევი პირი პასუხს აგებს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად.

დასაშვებია უფლების როგორც ჩამორთმევა, ისე მისი აღდგენაც იმის მიხედვით, თუ რა სიტუაციასთან გვაქვს საქმე. ცხადია ესეც სათანადო კანონებისა და წესების დაცვით ხდება. ერთ-ერთ რთულად მოსაწესრიგებელ საქმეს წარმოადგენს საავტორო უფლებები და მისი დაცვა.

სავტორო უფლებები ძალიან ზუსტად და კვალიფიციურად არის განსაზღვრული. სირთულეს იწვევს ის, რომ ავტორობასთან დაკავშირებით მრავალი შემთხვევა ვლინდება და ზოგჯერ ბევრი რამ გაუგებრობას იწვევს. თვით „ავტორის“, როგორც ცნების

განსაზღვრება მარტივია — „რაიმე ნაწარმოების შემქმნელი“ (ეგლ, 1990), მაგრამ ის, თუ ვის შეიძლება მიეცეს ავტორობა, აღიარონ ავტორად, ჰქონდეს პრეტენზია ავტორობაზე, ჩაითვალოს ავტორად, ფლობდეს საავტორო უფლებას და ა.შ., სხვადასხვა შემთხვევაში საკმაოდ სერიოზულ და კანონქვემდებარე საქმეს წარმოადგენს.

ავტორობა ნიშნავს, ფლობდე საავტორო უფლებას და სარგებლობდე მისით. საავტორო უფლება არის „იმ უფლებათა ერთობლიობა, რომელიც ეკუთვნის მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების შემქმნელს (ავტორს) ან მის მემკვიდრეს“ (ქსე).

ცნება „ავტორი“ არ არის გაიგივებული „საავტორო უფლებების მქონე პირთან“. საავტორო უფლებებს შეიძლება ფლობდეს პირი, რომელიც არ არის ამ ნაწარმოების შემქმნელი (მაგ. მემკვიდრე) ან ავტორია ისეთი ნაწარმოებისა, რომელზეც არ ვრცელდება საავტორო უფლებები: ასეთია ოფიციალური დოკუმენტები (კანონები, სასამართლოს გადაწყვეტილებანი, ადმინისტრაციულ-ნორმატიული სხვადასხვა ტექსტი), სახელმწიფოს ოფიციალური სიმბოლოები (დროშა, გერბი, ჰიმნი, ჯილდოები, სამკერდე ნიშნები და ა.შ.); ინფორმაციები სხვადასხვა ფაქტებისა და მოვლენების შესახებ.

ავტორად ითვლება ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია ესა თუ ის ნაწარმოები, ეს შეიძლება იყოს, აგრეთვე, იურიდიული პირიც, რომლის მიერაცაა შედგენილი დოკუმენტი, ავტორის უფლებით სარგებლობს აგრეთვე შემდგენელი, ინსცენირების ავტორი, ინტერვიუერი და სხვა.

საავტორო უფლების სუბიექტად ითვლება ავტორი ან მასთან გათანაბრებული პირი — მემკვიდრე (მემკვიდრეები). შეიძლება იყოს რამდენიმე კაცი ან კორპორაცია (დაწესებულება, ორგანიზაცია, გაერთიანება). არა აქვს მნიშვნელობა მოქალაქეობას, ასაკს, ეროვნებას, განათლებას, ჯანმრთელობას (თუ რაიმე ნიშნის გამო სასამართლოსაგან არა აქვს ამ პირს ჩამორთმეული უფლების ფლობა), შეზღუდვები ვრცელდება მხოლოდ არასრულწლოვანებზე. 15 წლამდე ასაკის ბავშვის უფლებებს მისი მშობლები განაგებენ, 15 წლიდან (ზოგან 18 წლიდან) პიროვნებას უკვე აქვს უფლება, მიიღოს დამოუკიდებელი საავტორო უფლებები.

საავტორო უფლებების ობიექტად ითვლება ისეთი ნაწარმოები, რომელიც უკვე შექმნილია და წარმოდგენილია რაიმე ობიექტური ფორმით, მნიშვნელობა არა აქვს მის ღირსებასა და ხარისხს, არც იმას, გამოქვეყნებული და გავრცელებულია თუ არა, რეგისტრირებულია თუ არა საავტორო უფლებების დაცვის ოფიციალურ ორგანოში.

საავტორო უფლებები ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ — შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, აკვარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამომხატვის ფორმისა და საშუალებისა. ესენია: ლიტერატურული ნაწარმოებები (ნიგნი, ბროშურა, სტატია, კომპიუტერული პროგრამა, დრამატული ან მუსიკალური ნაწარმოები, ქორეოგრაფიის ან პანტომიმის ნაწარმოებები და სხვადასხვა სასცენო რეპერტუარი, მუსიკალური ნაწარმოებები, მათი ტექსტები, კინო-ტელევიდეო მასალა, სკულპტურის, ფერწერის, გრაფიკის, სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ნიმუში, დეკორატიულ — გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები, თეატრალურ — დეკორატიული ხელოვნების ქმნილებები, არქიტექტურული ნამუშევრები, ბალებისა და პარკების განაშენიანების ხელოვნების ნაწარმოებები, ფოტოგრაფიული გამოსახ-

ულებანი, რუკები, გეგმები, ესკიზები, ილუსტრაციები, გადამუშავებული, თარგმნილი ნაწარმოებები, პნკარედები, ეკრანიზება, ადაპტაცია, მიმოხილვები, ინსცენირება, კომპილაცია, ორანჟირება, მეცნიერული ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა სხვაგვარი გადამუშავება, შედგენილი ნაწარმოებები — კრებულები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა და სხვა.

საავტორო უფლების ობიექტი შეიძლება არსებობდეს როგორც ნაბეჭდი, ისე ხელნაწერი და ელექტრონული ფორმით.

საავტორო უფლებები ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში კანონმდებლობით არის დარეგულირებული, მათ ბევრი რამ აქვთ საერთო. მაგრამ ყოველი მათგანი დამოუკიდებელ აქტს წარმოადგენს და გარკვეული ქვეყნის ადგილობრივ პირობებს ითვალისწინებს.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვისათვის საჭირო გახდა საკანონმდებლო ბაზის შექმნა, საავტორო უფლებების შესახებ პირველ კანონად მიიჩნევენ ინგლისში 1710 წელს გამოქვეყნებულ აქტს, რომლის საფუძველზეც ავტორმა პირველად მიიღო თავისი ნაწარმოების დაცვისა და სხვის მიერ გამოქვეყნების აკრძალვისა უფლება, მე-18 საუკუნეში კანონები შეიქმნა საფრანგეთში, აშშ-ში, გერმანიაში, დანიაში, ესპანეთსა და ნორვეგიაში. რუსეთში ამგვარი დოკუმენტი 1830 წელს მიიღეს. 1999 წლის 22 ივნისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა დამოუკიდებელი საქართველოს „კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, მაგრამ ამით არ ამოიწურება საავტორო უფლებების დაცვის საკანონმდებლო ბაზა. ამ უფლებების დაცვას არაერთი კანონი და სხვადასხვა საკანონმდებლო აქტი ითვალისწინებს, ასეთებია: საქართველოს კონსტიტუცია, სამოქალაქო კოდექსი, სისხლის სამართლის კოდექსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ და მრავალი დაწესებულების ინსტრუქცია.

ძირითად საკანონმდებლო აქტად, ცხადია, ითვლება საქართველოს „კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. მისი მიზანია, დაიცვას საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, რომლებიც მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნასა და გამოქვეყნებასთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, დაიცვას ზოგი მომიჯნავე უფლებაც, კერძოდ ის რაც ეხება ნაწარმოების შესრულებას, ფონო-ვიდეო ანაწერების წარმოებას, აგრეთვე უფლებრივ ურთიერთობას მონაცემთა ბაზების დამამზადებლებთან.

საქართველოს ხელი აქვს მოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და კონვენციებზე, როგორიცაა, მაგალითად: ბერნის კონვენცია ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების საავტორო უფლებების დაცვის შესახებ, ხელშეკრულება ინტელექტუალურ საკუთრებაზე ვაჭრობის თანამედროვე უფლებების შესახებ (TRIPS), ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) ხელშეკრულება ფონოგრაფების და შესრულების შესახებ.

საავტორო უფლება მოქმედებს იწყებს ნაწარმოების შექმნის მომენტიდან, როცა იგი გამოიხატება რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა. საავტორო უფლების წარმოშობისა და განხორციელებისათვის აუცილებელი არ არის ნაწარმოების რეგისტრაცია, სპეციალური გაფორმება ან სხვა

ფორმლობათა შესრულება, მაგრამ ყველგან არსებობს ოფიციალური ორგანიზაციები, რომლებსაც შეუძლიათ დააფიქსირონ ნაწარმოების ავტორობა და ამით უზრუნველყონ საავტორო უფლებების საკანონდებლო პირობები.

განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელს თავისი უფლების განცხადებისათვის შეუძლია გამოიყენოს საავტორო უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაერთვის ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარს და შედგება სამი ელემენტისაგან:

1. საავტორო უფლების სიმბოლო — ლათინური ასო — C ნრენიში: ©;
2. საავტორო უფლების მფლობელის სახელი დასახელება;
3. ნაწარმოების პირველი გამოცემის წელი.

სავტორო უფლების მისაღებად ნაწარმოები ტარდება რეგისტრაციაში სავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს რეესტრში, რის შემდეგაც გაიცემა ნაწარმოების უფლების აღიარების სერტიფიკატი.

სავტორო უფლება მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგაც და ვრცელდება მის მემკვიდრეებზე. საბჭოთა კანონმდებლობით, საქართველოში სავტორო უფლებათა ვადა ავტორის გარდაცვალებიდან 25 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. იგი რამდენჯერმე შეიცვალა და საბოლოოდ 1999 წელს 70 წლით განისაზღვრა.

რაც შეეხება ნაწარმოების ავტორის სახელის უფლებას — ავტორობას, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებასა და რეპუტაციის პატივისცემის უფლების დაცვას, ის უვადაოდ ხორციელდება.

ნაწარმოები, რომლის სავტორო უფლების ვადა გასულია, ნებისმიერმა პირმა შეიძლება გამოიყენოს ჰონორარის გადახდის გარეშე, ოღონდ დაცული უნდა იყოს ავტორობა, ავტორის სახელი, ნაწარმოების ხელშეუხებლობა, ავტორის რეპუტაცია.

ავტორს შეუძლია საკუთარი ნებით გადასცეს თავისი უფლება სხვა პირს და ნება დართოს, გამოიყენოს მისი ნაწარმოები, მაგრამ არ უნდა დაიკარგოს ამ ნაწარმოების ავტორობა, არ უნდა შეილახოს რეპუტაცია, არ დამახინჯდეს ავტორისეული სულისკვეთება და მრწამსი.

ავტორს ან მისი უფლების მქონე პირს შეუძლია გამოიყენოს ნაწარმოები ნებისმიერი სახით, ნება დართოს ან აკრძალოს მისი ნაწარმოების გამოცემა თუ საჯაროდ ჩვენება, რეპროდუქცირება, ნაწარმოების ან ასლის საზოგადოებაში ჩვენება და გავრცელება, თარგმნა, გადამუშავება და სხვა.

ავტორის ან მისი უფლების მქონე პირის ნებაა, მიიღოს სავტორო ჰონორარი, ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას, დართოს ორიგინალის ან ასლის გაქირავების ნება და სხვა.

როგორც უკვე ვიცით, არსებობს კონკრეტული ვადა (70 წელი) ავტორის გარდაცვალების შემდეგ მისი უფლების ფლობისა, მაგრამ არსებობს აგრეთვე უვალო სავტორო უფლებები — სახელის, ნაწარმოების ხელშეუხებლობის და რეპუტაციის დაცვისა.

სავტორო უფლების კანონი იცავს ავტორს კონტრაფაქციული ეგზემპლარების გავრცელებისაგან. კონტრაფაქციულ ეგზემპლარად ითვლება ის პროდუქცია, რომელიც ავტორის ან მისი უფლების მქონე პირის ნებართვის გარეშე გამოორდება ნებისმიერი წესით

და ვრცელდება კომერციული თუ სხვა რაიმე მიზნით. ეს ეხება როგორც წერლობით, ისე ელექტრონულ პროდუქციას. აკრძალვა ეხება იმ პროდუქციასაც, რომელიც უცხოეთიდან არის შემოტანილი საქართველოში.

როგორც ცნობილია, ამჟამად თანამედროვე ბიბლიოთეკები წარმოადგენენ ყოველგვარი სახის ინტელექტუალური პროდუქციის მფლობელ ორგანიზაციებს, რის გამოც გასათვალისწინებელია, თუ რა ურთიერთმიმართება არსებობს მასსა და საავტორო უფლებებს შორის, რამდენად პასუხისმგებელია ბიბლიოთეკა ავტორის წინაშე.

უკვე ბევრ ბიბლიოთეკაში არსებობს იმგვარი ფონდი, რომელშიც მრავალგვარი სახის დოკუმენტი იყრის თავს, მართალია, ოდენობა შეზღუდულია, მაგრამ მოთხოვნილება მათზე ძალიან დიდია. ბიბლიოთეკა კანონიერად ითვლება ნაწარმოების მფლობელად და უფლება აქვს, სხვადასხვა კანონით გათვალისწინებული მიზნით გამარავლოს ის, შეცვალოს, აღადგინოს, სხვა ბიბლიოთეკიდანაც მოითხოვოს დოკუმენტი ამ მიზნებისათვის.

არ უნდა აფუროთ ერთმანეთში საავტორო უფლებების ფლობა და დოკუმენტის ფლობა. საავტორო უფლება შეიძლება ერთს ეკუთვნოდეს, მისი მფლობელი ანუ საკუთრების უფლების მქონეს სხვა წარმოადგენდეს. მაგალითად, მონაცემთა ბაზის დამამზადებელმა შეიძლება ხელშეკრულებით გადასცეს უფლებები საინფორმაციო სისტემების მესაკუთრე ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკა, თავის მხრივ, ვალდებულია, კანონის შესაბამისად დაიცვას ავტორის უფლებები.

ეს ყველაფერი ეხება ბიბლიოთეკის ყოველგვარ დოკუმენტს — წიგნებს, ჟურნალებს, გაზეთებს, კარტოგრაფიულ და გრაფიკულ გამოცემებს, აუდიოვიზუალურ პროდუქციას, მაგრამ, როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში, პრობლემები იქმნება სწორედ ელექტრონულ პროდუქციაზე, რომლის საავტორო უფლებების დაცვა, მათი გამოყენების სპეციფიკის გამო, საკმაოდ რთულია.

აუდიოვიზუალური ნაწარმოებებისა და მათი ფონოგრამების გამოყენება რეგლამენტირდება ბიბლიოთეკასა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულებით, რომელშიც აღნიშნულია ჩანაწერის გამოყენების პირობები, ვადები, ადგილი და ჰონორარი.

ბიბლიოთეკაში შექმნილი და ინტენსიურად გამოყენებული კომპიუტერული პროგრამები, ელექტრონული გამოცემები და მონაცემთა ბაზები, ჩვეულებრივ, ასევე არის დაცული საავტორო უფლებებით და ამ მხრივ აბსოლუტურად გათანაბრებულია სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებთან.

კომპიუტერული პროგრამის ავტორი აღჭურვილია უფლებით, დართოს ნება ან აკრძალოს კომპიუტერული პროგრამის რეპროდუცირება ნებისმიერი საშუალებით, მისი თარგმნა, ადაპტირება ან სხვა ცვლილებების შეტანა, საჯარო ჩვენება ან შესრულება.

მომხმარებლის მიერ ამ მიმართულებით განეული საქმიანობის უფლება-მოვალეობის თაობაზე ბიბლიოთეკაში გამოკრული უნდა იყოს სათანადო წესები.

სავტორო უფლებების დაცვა სავალდებულოა ყველა მოქალაქისათვის, უმეტესად, ინტელექტუალური შრომის ადამიანებისათვის, რომლებიც თავიანთ შრომით საქმიანობაში სხვადასხვა ავტორის ნაწარმოებებს იყენებენ. განსაკუთრებულ სიზუსტესა და მონესრიგებულობას მოითხოვს სხვადასხვა ავტორის ტექსტების გამოყენება.

ამ შემთხვევაში რისი უფლება აქვს ბიბლიოთეკის მომხმარებელს?

ბიბლიოთეკის მომხმარებელს უფლება აქვს:



- გადაილოს მთლიანი ტექსტი ავტორის ნებართვის გარეშე;
- გააკეთოს ამონარიდები, ციტირება, პერიფრაზი ავტორის დასახელებით;
- მოახდინოს დოკუმენტის რეფერირება;
- გააანალიზოს ნაწარმოები, გამოთქვას კრიტიკული შენიშვნები, შეაფასოს ის;
- დააფიქსიროს წაკითხული ყველანაირი ფორმით (თეზისი, რეფერატი, კონსპექტი);
- ისარგებლოს ავტორის იდეითა თუ თემით, და მიუთითოს ავტორის ვინაობა;
- დაასახელოს ავტორის ნაწარმოები, როგორც გამოყენებული წყარო;
- ზოგ შემთხვევაში, შეუძლია, შეამოკლოს, შეცვალოს ავტორისული ტექსტი, მაგრამ იმგვარად, რომ სავსებით ნათელი იყოს, რომელ ნაწარმოებზეა ლაპარაკი (მაგ.: „კაკო ყაჩაღი“, „შუშანიკი წამება“, „აბოს წამება“ და სხვა);
- ნაწარმოების მიხედვით შეადგინოს საძიებლები;
- დაურთოს მხატვრული დეტალები (ილუსტრაცია, თავსამკაულები, გაფორმება);
- შეადგინოს საკატალოგო აღწერილობა;
- მის მიერ შედგენილი მეორადი დოკუმენტი (რეფერატი, თეზისი, კონსპექტი) გამოსაყენებლად გადასცეს სხვა პირს;
- მოახდინოს ნაწარმოების პოპულარიზაცია, ინფორმირება და ბიბლიოგრაფირება;
- გაუწიოს ნაწარმოებს რეკომენდაცია, პოპულარიზება;

ბიბლიოთეკა ეხმრება მკითხველს, ისარგებლოს დაცული მასალებით, გაეცნოს მათ, შეისწავლოს, მოახდინოს კომპილაცია, დაამუშაოს ისინი, ხელი მიუწვდებოდეს ყველა დოკუმენტზე; ამავე დროს, ბიბლიოთეკა მოვალეა, თავისი საქმიანობის ფარგლებში, განუხრელად დაიცვას მასში თავმოყრილი დოკუმენტებით სარგებლობის საავტორო უფლებები და თვალყური ადევნოს მათ შესრულებას.

ბიბლიოთეკის ყველა მომხმარებელი მოვალეა, უწყომანოდ შეასრულოს საავტორო უფლებების დაცვასთან დაკავშირებული წესები.

ყველა პირი, რომელიც სარგებლობს სხვისი ნაწარმოებებით, რა სახისა და ფორმისაც უნდა იყოს, მოვალეა იცავდეს ავტორობის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ ეთიკურ ნორმებს, უპირველეს ყოვლისა, სხვა ავტორების ტექსტების გამოყენებისა და მითითებების დროს. პრინციპულ აუცილებლობას წარმოადგენს ზუსტი ადრესირება — ნაწარმოების ავტორის ვინაობა, სათაური, ზოგ შემთხვევაში ქვესათაურიც; გამოცემისთვის პასუხისმგებელი იურიდიული თუ ფიზიკური პირი, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი, პაგინაცია — გვერდების რაოდენობა ან რომელ გვერდზეა მითითებული მასალა და სხვ.

როგორც ცნობილია, ზუსტი ადრესირების დროს, ბევრი დეტალი შეიძლება გამოტოვებული იქნეს, მაგრამ იმგვარად, რომ ამან რაიმე გაუგებრობა არ გამოიწვიოს. სავალდებულო არაა დაცულ იქნეს ზუსტი საკატალოგო აღწერილობა, მაგრამ მონაცემები ზუსტი ადრესირების სურათს უნდა იძლეოდეს.

მასალის მითითება (ადრესირება) უნდა ხდებოდეს ლიტერატურის გამოყენებისა და მითითების ტექნოლოგიის დაცვით. ამ შემთხვევაში რამდენიმე ვარიანტი არსებობს:

სქოლიოების გამოყენება, შენიშვნები, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და დამონმებული ლიტერატურის ჩამონათვალი, მითითებები უშუალოდ ტექსტში.

მითითებათა აღნიშვნის სისტემაზე რამდენიმეგვარია, რაც გათვალისწინებულია საყოველთაოდ აღიარებული თანამედროვე სტანდარტებით. ძირითადად გამოიყენება ნუმერაციული სისტემა. ამ შემთხვევაში სხვადასხვა ვარიანტი არსებობს: მითითებების დანომვრა გვერდების მიხედვით, გამჭოლი ნუმერაცია ყველა გვერდისათვის, დართული ლიტერატურის აღწერილობა ანბანური რიგით და შერეულად. მითითებებისათვის გამოიყენება აგრეთვე ე.წ. ასტერიქსები (ვარსკვლავები), მაგრამ უმეტესად იმ შემთხვევაში, როდესაც მითითებები გვერდების მიხედვით არის მოცემული.

ყოველივე ეს სპეციალური წესებითაა გათვალისწინებული, რაც აუცილებელია ვიცოდეთ და რასაც უეჭველად უნდა ვიცავდეთ, როდესაც საავტორო უფლებების დაცვის ეთიკას ვეხებით.

საავტორო უფლებების დაცვა უზრუნველყოფს მეცნიერული კვლევა-ძიების და, სერთოდ, ინტელექტუალური შრომის მაღალ ხარისხსა და მეცნიერულ კეთილსინდისიერებას, რაზედაც დიდადაა დამოკიდებული საზოგადოების სააზროვნო პოტენციის განვითარება.

<http://www.copyright.gov/>

<http://www.fairuse.stanford.edu>

## მიმლიდგატყიული მითითებებისა და მიმლიდგატყიული სიყმის გათმბმტა

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მასალის ადრესირებას — მითითებებისა და სიყმის შედგენის კულტურას. ეს აუცილებელია წყაროების იდენტიფიკაციასა და ძიებისათვის.

სამეცნიერო ნაშრომებში მითითებები კეთდება სხვადასხვაგვარი შენიშვნის სახით:

1. შიდატექსტური — როცა მითითება მოცემულია უშუალოდ ტექსტში და მასში მრგვალი ფრჩხილებითაა გამოყოფილი.
2. სტრიქონქვეშა — შენიშვნები მოცემულია გვერდებზე ტექსტის დასასრულს (სქოლიო).
3. ტექსტის ბოლოს — ძირითადი ტექსტის დასასრულს, ან ნაწილების ბოლოში (თავების, ქვეთავების, ნაწილის და სხვ.).
4. კომბინირებული — ეს იმ შემთხვევაში, როცა მითითების ნაწილი შიგ ტექსტშია, ნაწილი — ტექსტის ბოლოში.

მითითებები შეიძლება მრავალგზის გამოვრდეს, როცა ერთსა და იმავე წყაროზე ხდება მითითება, მაგრამ თვით წყაროს დასახელება შეიძლება გამოვრდეს და შეიძლება — არა, გააჩნია, რა სისტემა იქნება გამოყენებული.

ტექსტში ჩართული შენიშვნების გარდა, ყველა სხვა სახის შენიშვნა უნდა დაინომროს. ნუმერაციის სხვადასხვა ვარიანტი არსებობს: სქოლიოები შეიძლება დაინომროს ცალ-ცალკე გვერდების მიხედვით და გამჭოლი ნუმერაციით, როცა ყველა შენიშვნა საერთო ნუმერაციას ექვემდებარება.

ტექსტის ბოლოში დართული შენიშვნები იხილება ან ნაწილების (თავების) მიხედვით, ან მთლიანად — მთელი შრომის მიხედვით. ბიბლიოგრაფიული სია (ნუსხა) ამ შემთხვევაში შეიძლება გაეწყოს წყაროების გამოყენების თანამიმდევრობით, ან ანბანზე. დართული წყაროების განყოფილება შეიძლება აგრეთვე თემატური ჯგუფის მიხედვითაც (ოფიციალური დოკუმენტები, პოლიტიკური ლიტერატურა, ისტორიული და ა. შ.), გამოცემათა სახეების მიხედვით (წიგნები, ჟურნალები, გაზეთები), დაჯგუფება შეიძლება მოხდეს ქვეყნებისა და ენების მიხედვით, ქრონოლოგიურად, ცხადია, ჯგუფების შიგნით ანბანური განლაგებით.

რაც შეეხება კომბინირებული სისტემის გამოყენებას, ამ შემთხვევაში ტექსტში ტიხილ ფიხილებში აღნიშნული მოცემული წყაროს ნომერი და გვერდი (მაგ.:14, 321) ამ მაგალითის მიხედვით, მითითებულია: ბიბლიოგრაფიულ სიაში მე-14 წყაროს 321-ე გვერდი.

იგივე ხდება ბოლოში დართულ ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული სიის გაფორმებისას. ამ შემთხვევაში გვაქვს რამდენიმე ვარიანტი: 1. სახელდება წყაროები, რომელთაგან ბევრი შეიძლება არ იყოს გამოყენებული უშუალოდ ნაშრომის შექმნისათვის, მაგრამ ცნობილია ავტორისათვის და მას სასარგებლოდ მიაჩნია მათი გამოყენება ნაშრომში მოცემული საკითხის განხილვისათვის. ჩვეულებრივ, ამგვარ ბიბლიოგრაფიულ სიას „ლიტერატურას“ უწოდებენ. 2. „გამოყენებული ლიტერატურა“ — იგულისხმება, რომ ამ შემთხვევაში ყველა დასახელებული წყარო გამოყენებულია ნაშრომის შექმნისთვის. 3. თუ გამოყენებულ ლიტერატურასთან ერთად სიაში მითითებულია ისეთი ლიტერატურა, რომელიც არ დაუმუშავებია ავტორს, მაგრამ იცნობს სხვა წყაროების მეშვეობით და არა უშუალოდ, მას „გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა“ ეწოდება. 4. ზოგჯერ მიმართავენ წყაროების ისეთ სიას, რომელშიც დასახელებული ლიტერატურა გამოყენებულია ნაშრომის შექმნისას (ციტირება, დამონება). ასეთ შემთხვევაში იგი მოიხსენიება, როგორც „დამონებული ლიტერატურა“.

არსებობს, აგრეთვე, „სარეკომენდაციო ლიტერატურა“, უმეტეს შემთხვევაში, სახელმძღვანელოებში, დამხმარე სახელმძღვანელოებსა და მეთოდურ სახელმძღვანელოებში. ლიტერატურის აღწერილობანი ბიბლიოგრაფიული სიაში უნდა სრულად ასახავდეს წყაროს (ერთიანი წესების დაცვით), ისე, რომ უმნიშვნელოვანესი ელემენტები უქველად იყოს დასახელებული — ავტორი, სათაური, ტომი, ადგილი, წელი. პერიოდულ გამოცემებზე — ჟურნალებისა და გაზეთების შესაბამისად — წელი, ნომერი, თარიღი, გვერდები.

### ბმაცდვიქული სამუშაოთი:

1. **თემების შერჩევა** — სტუდენტები სურვილისამებრ ირჩევენ თემებს, იღებენ პედაგოგებისაგან კონსულტაციებს, ეცნობიან საჭირო ლიტერატურას და იწყებენ მის დამუშავებას.
2. **საძიებო სისტემები** — სტუდენტები ეცნობიან ტრადიციულ კატალოგებს: ანბანურს, სისტემატურს, საგნობრივს. შეუდგებიან ძიებას კატალოგებში საგნობრივ-თემატური საძიებლების გამოყენებით.
3. **ერთ, ორ, მრავალავტორიანი, უავტორო ნაწარმოების ძიება** — ანბანურ

კატალოგში ცოდნის სხვადასხვა დარგის ლიტერატურის ძიება სისტემატურ კატალოგში.

4. **კონკრეტული საგნის** ამსახველი ლიტერატურის ძიება საგნობრივ კატალოგში.
5. **ათწილადი კლასიფიკაციის** კომპიუტერის გამოყენებით საჭირო მასალის ძიება ინდექსის, სათაურის, ავტორის, რუბრიკის, გამოცემის ადგილის მიხედვით და სხვ.
6. **ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის კითხვა** — ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის სქემის შედგენა სფეროებისა და ელემენტების მიხედვით. აღწერილობის სტანდარტების სქემის გაცნობა.  
ერთავტორიანი, მრავალავტორიანი და უავტორო დოკუმენტის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შედგენა.  
ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შედგენა.
7. **საცნობო-ბიბლიოგრაფიული და ინფორმაციული რესურსები**  
ბიბლიოთეკაში სტუდენტი ეცნობა ბიბლიოთეკის დამხმარე საცნობო-ბიბლიოგრაფიულ აპარატს: ენციკლოპედიებს, ცნობარებს, ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებს და საძიებლებს. ეძიებს პასუხს დასმულ კითხვაზე.
8. **ბიბლიოგრაფია და ელექტრონული საშუალებები**  
ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების და საძიებლების შედგენა და მათი ელექტრონული ვერსია. კომპიუტერში საჭირო ბიბლიოგრაფიული ნყაროს გამოვლენა. მონაცემთა ბაზაში ქართველი ავტორების გამოცემათა მოძიება.
9. **პრაქტიკული სამუშაოების წარმოება, რომლის კონკრეტულ გეგმას ადგენს პედაგოგი**
10. **სამეცნიერო ნაშრომებში ბიბლიოგრაფიული მითითებებისა და სიების გაფორმებაზე მუშაობა.**

## ლიციატა

### ა) მონაგატაიული გამდრეში

1. ბიბლიოთეკათმცოდნეობა: სახელმძღვანელო/ალ. ლორიას რედაქციით. — თბ., 1992.
2. დამხმარე სახელმძღვანელო ბიბლიოთეკებისა და ინფორმაციის სპეციალისტებისათვის. — თბ., 2000.
3. დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერა: დამხმარე სახელმძღვანელო მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის/ შემდგ.: გ. თაყნიაშვილი, ო. ოსაძე, რედ. ს. პულუზაშვილი. — თბ., 1997.
4. იოსელიანი ავთ. ქართული მნიგნობრობის, ნიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები. — თბ., 1990.
5. კასრადე ო. ნარკვევები ქართული ნიგნის ბექდვის ისტორიიდან. — თბ., 1997.
6. კუნცევა-გაბაშვილი ნ. საავტორო უფლებები: თქვენი ადვოკატის 100 პასუხი 101 კითხვაზე. — თბ., 2002.
7. ლორთქიფანიძე ნ. ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის ისტორია.-თბ., 1962.
8. ლორია ა. კითხვა როგორც კვლევის საგანი: (ლექტოლოგიური პრობლემატიკა). — თბ., 1993.
9. ლორია ა., გურგენიძე ნ. საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში: (1921 წლამდე). — თბ., 1974.
10. ლორია ა., სურმავა მ., საბიბლიოთეკო საქმის ისტორია: ნაკვეთი პირველი. (სახელმძღვანელო ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სტუდენტებისათვის). — თბ., 2006.
11. ოთაროვა ა, ფოფხაძე ქ, ბიბლიოგრაფიული მუშაობა ბიბლიოთეკაში. — თბ., 1996.
12. ოსაძე ო. საბიბლიოთეკო კატალოგები — (სახელმძღვანელო)/რედ. ა ლორია. — თბ., 1995.
13. საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი/დ ქამუკაშვილი, რ. შენგელია, ს. გაბუნია და სხვ. — თბ., 2003.
14. საბიბლიოთეკო დოკუმენტების ანალიტიკური აღწერილობა: მეთოდ-ინსტრუქციული/შემდგ. მ.კალანდარიშვილი., რედ. გ. თაყნიაშვილი., საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო სტანდარტების განყოფილება. — თბ., 2007.
15. საქართველოს არქივები: ცნობარი (ცნობარი-მიმოხილვა)/მთ.რედ. ზ. მახარაძე, პას.რედ. რ. ხუციშვილი. — თბ., 2000. — 214გვ.
16. საქართველოს კანონი: ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ//„მაცნე“. — 2006.— 51, 31 დეკემბერი
17. ფილაური ი. საბიბლიოთეკო ფონდები. (სახელმძღვანელო). — თბ., 1997.
18. ყურაშვილი ფ, გურგენიძე ნ. ბიბლიოთეკათმცოდნეობის საფუძვლები — (ბიბლიოთეკების მუშაკებისა და მკითხველთა დასახმარებლად).-თბ., 1996.

19. ჩხენკელი თ., ჩხენკელი ნ. ინტერნეტი: ინფორმაციის ძიება მსოფლიო აბლაბუდაში. — თბ., 1999.
20. Байкова О.Ф. Библиотечная практика и авторское право: Научно-практ. пос.- М., 2004.
21. Библиографическая записи. Библиографическое описание: Общие требования и правила составления: ГОСТ 7.1. — 2009. — М., 2004
22. Бинхем Б., Харрисон К. Основы библиотечного дела: Учебник. — М., 1999
23. Вольдин Б.Ф. Всемирная история библиотек. — СПб., 2002.
24. Гранин Г.Г., Бондаренко С.М., Концевая Л.А. Как учить работать с книгой. — М., 1995.
26. Кацшржак Е.И. История книги. — М., 1964.
27. Коршунов О.П. Библиографоведение. — М., 1990.
28. Национальные библиотеки мира. — М., 2000.
29. Общее библиотековедение: Учебн. — М., 1998.
30. Фот А. П. Оформление библиографических ссылок на использованные источники в научных работах: Метод. рекоменд. соискателям ученых степеней. — Оренбург, 2005. // <http://www.osu.ru/img/nauka/biblinKS.doc>
31. Basic Facts. — Copyright. — 1991.

მ) საცნობარო ლიტერატურა —  
ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები

1. აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. სომბოლოთ ილუსტრირებული ენციკლოპედია: ტ.1 — თბ., 2006.
2. ბაქრაძე გ. ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია: 1819-1945; მასალები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან. — თბ., 1946.
3. ბიბლიის ლექსიკონი: 2 ტომად/შემდგ. ე. გიუნაშვილი, ზ. კალანდაძე; რედ. ზ. სარჯველაძე. — თბ., 2000
4. განათლების რეფორმა და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფა: როგორ მივიღოთ განათლება; გზამკვლევი. — თბ., 2005.
5. გზამკვლევი სასამართლო სისტემაში/მოამზ. ზ. ვანცელაძემ. — თბ., 2003.
6. გურჩინი თ. აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება: გზამკვლევი. — თბ., 2003.
7. თბილისი: ენციკლოპედია. — თბ., 2002.
8. თვდორაშვილი ნ., თვდორაშვილი რ. მართვა და კომპიუტერული ავტომატიზაცია: ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი. — თბ., 2000.
9. კოლინი ს. მულტიმედია: ინგლისურ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი. — თბ., 2001.
10. კომპიუტერული ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი. — თბ., 2000.
11. მაკოევი მ. გამოხატვის თავისუფლება: გზამკვლევი. — თბ., 2005.
12. მითოლოგიური ენციკლოპედია ყმანვილებისთვის: ნ. 1. — თბ. 2003.
13. მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია: ენციკლოპედია+ინტერნეტი. — თბ., 2006.



14. ოქსფორდის ილუსტრირებული სამეცნიერო ენციკლოპედია/მთარგმნ. ნ. მაჩხაშვილი, ა. მოსულიშვილი, მ. ფაცაცია; რედ. მ. ბაქრაძე. — თბ., 2005.
15. პენსი ე. ოჯახური ძალადობა: სტუდენტის გზამკვლევი. — თბ., 2005.
16. პირველკურსელების გზამკვლევი/შემდგ. ნ. სხირტლაძე, თ. კაკუშაძე; რედ. მ. ციციანი. — თბ., 2005.
17. ქარაია ი. საქართველოს მუზეუმები: გზამკვლევი. — თბ., 2006.
18. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია: ტ. 1-11. — თბ., 1975-1987.
19. ქართული წიგნი: ბიბლიოგრაფია; ტ. 1-3. — თბ., 1941-1964.
20. ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია. — თბ., 2004.
21. ჯავახიშვილი ივანე: ენციკლოპედიური ლექსიკონი. — თბ., 2002.





24.

ი<sup>6</sup>/541



ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0179, საქართველო

Ilia Chavchavadze State University Publishing  
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0179, Georgia



[www.iliauni.edu.ge](http://www.iliauni.edu.ge)

ISBN 978-99940-0-524-6



20. 557  
4  
94136920  
808-0110933